

619
2000

რითმები



№ 8—10
2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო – ინფორმაცია

საუკუნის სამეტი

სასურველი სტუმარი ლეშეკ ბალცეროვიჩი

№8–10 2000 (711)
ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

დროშა

პრეზიდენტს მასპინძლობს იალტა

მარელისი – საღანძლეს სარკინიგზო ხაზის გახსნაზე



საქართველო – თურქმენეთის თანამშრომლობის ახალი ეტაპი

შინაარსი:

ნუნუ კუპრეიშვილი.
ეძიებდე და ჰპოვებდე...
(ინტერვიუ სულხან
მოლაშვილთან).
ტაგუ მებურიშვილი.
ახალი ლექსები.
ანგორ აბჟანდაძე.
პოლიტიკური მინიატურები.
გაირა ნადარეიშვილი.
იმ ნათელმოსილ ბილიკებს
მივდევ...
გაირა სტურუა.
დაფნის რტო რენატო
გუტუზოსაგან.
ჯემალ მეხრიშვილი.
მიწის გერები (ნოველა).
თინა კობალაძე.
მთაზე წასული.
ნუნუ მაღრაძე.
აბა მე დღეს ვის რა ვარგე-
ლია ჭავჭავაძე.
ლექსები.

გვიად გაქაიძე.
თიანეთის ტკივილი და
იმედები.

გაირა თოფურია.
სიცილის დიდი ოსტატი.
გოგი ბიბილური.
უსიძო ქორწილი
(მოთხრობა).
ეთერ ლონდარიძე.
ცეცხლოვანი მგზნებარებით,
ქართული ტემპერამენტით.

ჯემალ ოგაანელი.
სადაური საით მიგყავს!
ანდრე კარბელაშვილი.
დიდი ქართველი ინჟინერი
„სიმენსის" გენერალური
დირექტორი გახდა
იტალიაში.
ამბები, ამბები, ამბები...
კროსვორდი

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსულ ჩარკვიანი –
შემოქმედებითი პროექტის
ხელმძღვანელი,

გულნარა ბახტაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი,

ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი,
გურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე,
დინარა ნოდია (მხატვარ -
რედაქტორი), ელდარ შენგელაია,
გურაბ წერეთელი, თამაგ ჭილაძე



„ДЛЕС САКАРТВЕЛОШИ ОПТИМИСТУРАД ГАНწყობის დრო დადგა. დაიწყო რეალური პროცესი კორუფციასთან გლობალური ბრძოლისა! ეს არ არის ლამაზი სიტყვები. საქართველოში მაფიოზურ კლანებს მოესპოთ არსებობის საშუალება!"

კიდევ ერთ ციტატს მოვიშველიებ კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მიერ „კვირის პალიტრისათვის" მიცემული ინტერვიუდან:

„... ყველასათვის ცნობილია და კონტროლის პალატის დასკვნაშიც ნათქვამია, რომ 120 მილიონი დოლარის დახმარება აქვს მიღებული ენერგეტიკის სისტემას... დავუმატოთ ამას სხვა დარგებსა და სფეროებში მიღებული გრანტები და კრედიტები, საქართველოს თითოეული ოჯახი, უხეში გაანგარიშებით მიიღებდა... 50 ათასი დოლარის ოდენობის დახმარებას!!!"

ასეთ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, თუმცა ბატონმა სულხანმა თავისსავე ნათქვამს კომენტარი თავად გაუკეთა:

„... წარმოგიდგენიათ?!. რამდენი პრობლემა მოეხსნებოდა ჩვენს გაწამებულ მოსახლეობას. მეტიც, ყველა შეძლებდა რაღაც საქმის, მცირე ბიზნესის დაწყებას და დღეს სულ სხვა ვითარება იქნებოდა ქვეყანაში..."

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, – ესეც ნათქვამია და ჩვენც გვაქვს იმის საფუძველი, რომ კონტროლის პალატის ახალგაზრდა წინამძღოლი სიტყვას არ გადაუხვევს და ნდობას, რომელიც მან უკვე საკმაოდ მოიპოვა, უთუოდ გაამართლებს.

სწორედ ასეთ პიროვნებებზე ამბობენ: „ეძიებდე და ჰპოვებდეო..."

მიუხედავად დროის დიდი დეფიციტისა, ბატონმა სულხან მოლაშვილმა ჩვენი სტუმრობისას „დროშის" ისტორიაც მოიგონა და ჩვენი ჟურნალისადმი კეთილგანწყობილი სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

– ბატონო სულხან, ალბათ, დამეთანხმებით, რომ თქვენმა სახელმა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში „ახალი თაობის" სტატუსით გაიჟღერა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, თქვენი ბიოგრაფია ბევრი თარიღით არ უნდა იყოს „გადატვირთული" და მაინც, მოკლედ გვიამბეთ მათ შორის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანზე.

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1992 წლიდან ვმუშაობდი უზენაესი სასამართლოს ინსპექტორად, ხოლო 1994 წლიდან კონსულტანტად. 1996 წლიდან კი ეროვნული უშიშროების აპარატის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი გახლდით, შემდეგ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ვიყავი, ამჟამად კი, როგორც მოგეხსენებათ, კონტროლის პალატის თავმჯდომარეობა მომანდეს.

– ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში გარდა გენეტიკური კოდისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს, გარემოს, სადაც ის ცხოვრობს და იზრდება. თქვენთვის ვინ იყო მისაბაძი, ანუ სიჭაბუკის წლებში ვისზე აკეთებდით სწორებას?

– ადრინდელი ასაკიდანვე თითქმის სერიოზულად ვფიქრობდი იურისტის პროფესიაზე. თანდათანობით ეს ფიქრი უფრო და უფრო მიზანდასახული ქმედებების სახეს იღებდა და საბოლოო ჯამში ჩამომიყალიბდა ერთიანი და შეუვალი ლტოლვა სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. რაც შეეხება იდეალს, იგი სხვადასხვა ფორმით შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ჩემში მხოლოდ ერთი იდეალი იწვევდა აღფრთოვანებას და მისაბაძი ხდებოდა – ის, ვინც მეტნაკლები სრულყოფილებით სამართლიანობისა და ჰუმანურობის ღირებულებებს ემსახურებოდა. ქვეცნობიერად ამაში ალბათ ის გარემოც დამეხმარა, სადაც მე გავიზარდე.

სულხან მოლაშვილი მეუღლესთან

ექიუკლე ჰკოვეკლე...

შეილებთან

– სხვა სამთავრობო უწყებებისაგან განსხვავებით, კონტროლის პალატას, რომლის ხელმძღვანელობა თქვენ მოგანდეს, ერთი შეხედვით, არ ჰქონია ცუდი საფუძველი, ამის თქმის საშუალებას თუნდაც თქვენი წინამორბედის მაგალითი იძლევა. რა დაგანახათ თქვენი სამსახურის სიღრმისეულმა ანალიზმა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რითი დაიწყო თქვენი მუშაობის პირველი ეტაპი?

– შევქმენით ახალი – რეფორმებისა და საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელსაც ახალგაზრდა და ნიჭიერი კაცი ჩაუდგა სათავეში. ამ დეპარტამენტის ფუნქციაა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა და კონტროლის პალატაში ინსტიტუციონალური რეფორმების რეალიზაცია.

– რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ კონტროლის პალატის მუშაობაში?

– კონტროლის პალატაში მრავალი ცვლილებაა დაგეგმილი. რეორგანიზაციის პროცესი უკვე დაიწყო. კონტროლის პალატა დაიყო ექვს დეპარტამენტად. ვაპირებთ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებას. აუცილებელია ბუღალტერიის, აუდიტის და რევიზიის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა. შიდა სარევიზიო კონტროლის განყოფილებების ჩამოყალიბება. კონტროლის პალატის სრული კომპიუტერიზაცია და ა. შ. დიდი სურვილი მაქვს, პალატას ჰქონდეს საკუთარი შენობა და მის თანამშრომლებს – მუშაობის ნორმალური პირობები.

– თქვენ მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე საკმაოდ თამამი და გაბედული განცხადება გააკეთეთ: კონკრეტულად ამხილეთ ენერგეტიკის სფეროს თანამდებობის პირები. როგორ ფიქრობთ, ამ ნაბიჯმა მტერი უფრო მეტი შეგძინათ თუ მოყვარე, და რაც მთავარია, რა შედეგი მოჰყვა ამ მხილებას?

– არცერთის ნაკლებობას არ ვუჩივი. გვერდში გვიდგას მთავრობა, უშიშროებაც და შინაგან საქმეთა სამინისტროც. რაც მთავარია, ჩვენმა მუშაობამ რეალური შედეგი გამოიღო, თანამდებობიდან გათავისუფლებულია დასახელებულთაგან უკვე ცხრა პირი.

– გყავთ თუ არა ერთიანი გუნდი, რომელიც საქმეს გაგიადვილებთ?

— ერთიან გუნდად მიმაჩნია ის შემადგენლობა, სადაც გაერთიანებული არიან პროფესიონალები და თანამოაზრენი, რომელთაც, უწინარეს ყოვლისა, საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემები აწუხებთ. ამ მხრივ, ბუნებრივია, სრულიად კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ უკვე დავიწყეთ ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების მოზიდვა. და საერთოდ, ჩემი გუნდის წევრად მიმაჩნია ყველა, ვინც ერთგულად, პატიოსნად და ღირსეულად ემსახურება საერთო საქმეს.

— „კვირის პალიტრამ" ერთ-ერთ ნომერში მკითხველთა გამოკითხვა-რეიტინგი ჩაატარა: „რომელ ახალ სახელს უწინასწარმეტყველებთ სერიოზულ წარმატებებს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში?", სადაც თქვენ პირველი ადგილი გერგოთ. როგორ აღიქვით ყველაზე პირუთვნელი მსაჯულის — ამ შემთხვევაში მკითხველის — ამგვარი შეფასება?

— ჩემთვის ძალიან დიდი პატივია მკითხველის, თუნდაც მცირეოდენი ჯგუფის, ასეთი შეხედულება, მაგრამ მე ამას აღვიქვამ, როგორც პირადი პასუხისმგებლობის უფრო მეტად შეგრძნებისა და სამსახურებრივი ვალდებულებების განუხრელად შესრულების აუცილებლობას.

სხვა მხრივ, ბუნებრივია, რომ კონტროლის პალატა ყოველთვის ვერ იქნება პოპულარული და ეს, ვიმეორებ, სავსებით ბუნებრივია, რადგან მას ხშირად მოუწევს კანონით გათვალისწინებული ისეთი ფუნქციის შესრულება, რომელიც ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის მძიმე, შესაძლოა, არცთუ სასიამოვნო აღმოჩნდეს. ამიტომ პოპულარობა და რეიტინგი კონტროლის პალატის საქმიანობაში ერთგვარი პირობითი კატეგორიაა.

— როგორ გესახებათ კონტროლის პალატის როლი დემოკრატიის აღმშენებლობის გზაზე?

— კონტროლის პალატის ფუნქცია უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცებაში, ისე ეკონომიკური განვითარების კუთხითაც. საქმე ისაა, რომ სახელმწიფოებრივი წესრიგის უმნიშვნელოვანესი დოზა სწორედ დისციპლინაზეა დამოკიდებული, ესეც რომ არ იყოს, დემოკრატიის ფუძემდებლური ღირებულებაა სწორედ ის, რომ საზოგადოებამ (გადასახადის გადამხდელმა) იცოდეს, თუ როგორ ხარჯავს ხელისუფლება სახელმწიფო სახსრებს. ამ მხრივ, დამეთანხმებით, კონტროლის პალატას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია. ამიტომაა, რომ ყველა განვითარებული ქვეყნის კონსტიტუციაში კონტროლის პალატა მოიზრება, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, ყველა შესაძლო კონსტიტუციური გარანტიების არსებობით, რომლებიც განამტკიცებენ პალატის, როგორც დამოუკიდებელი პარტნიორის სამართლებრივ, სოციალურ თუ პოლიტიკურ სტატუსს.

— ბატონო სულხან, როგორია თქვენი ცხოვრებისეული მრწამსი და კრედო?

— ძალიან მარტივი. ჯერ კიდევ თომას ჯეფერსონი ამბობდა, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება. სწორედ ეს გახლავთ ის ფუძემდებლური იურიდიული პოსტულატი, რომლის სულისკვეთების შესატყვისად უნდა იყოს მოწყობილი მმართველობის სისტემაც და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმიც.

— რას გვეტყვით პირადად თქვენს ოჯახზე?

— მყავს მეუღლე თათია ბახტურიძე, პროფესიით ისტორიკოსი, და ორი ვაჟი — ბაკური და თამაზი.

— რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ ყველაზე მეტად საკუთარ თავში?

— სიმართლე გითხრათ, დროის უქონლობის გამო ნაკლებად ვფიქრობ ასეთ საკითხებზე. თუმცა მშვენივრად მესმის, რომ რაც უფრო თვითკრიტიკულია ადამიანი, მით უფრო მეტ ნაკლს აღმოაჩენს საკუთარ თავში და ნაკლებად გაუჩნდება თავმოწონების სურვილი.

— როგორ ფიქრობთ, თანამდებობა დროის დეფიციტთან ერთად ადამიანის თვისებების შეცვლასაც ხომ არ იწვევს?

— ადამიანს გააჩნია. მე ვფიქრობ, რომ უბრალოდ დროის დეფიციტი საშუალებას არ მაძლევს ახლობლებთან და მეგობრებთან იმდენი დრო გავატარო, რამდენის სურვილიც მაქვს.

— რა არის თქვენი ყველაზე დიდი სურვილი ამჟამად?

— მინდა ისე ვიმუშაო, არ შემრცხვეს ჩემი თავის, საზოგადოებისა და ჩემი ოჯახის წინაშე. და კიდევ ჩემი დიდი სურვილია, რომ პალატას საკუთარი შენობა და მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეს.

— წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა **ნუნუ კუპრეიშვილი**

ახალი ლექსები

ტაგუ მებურიშვილი

„ჩიტის და ნარის" უცებ დაჭკნობისა და დაბერების გამო

ამ ლექსმა გული ჩამწყვიტა მგოსანს,
წუთისოფლიდან წასვლა იადრა...
მაშინ კი... მაშინ, დავწერე როცა,
მარადისობის ვთვლიდი ბინადრად,

ლხენად გამიჩნდა ქარიან მარტში,
სახელ-დიდების მიქადდა ნობათს,
როგორ ყვოდა სინათლით მაშინ,
რა მალე ექცა სიკვდილად ჭკნობა!

ხვალ რო დაადგნენ „ჩიტის და ნარის"
გზას სხვა ლექსებიც, რა მეშველება?!
ღმერთო, მასწავლე: გაუხუნარი
როგორ გავხადო მათი მშვენება?!

თუ ინამუსა

ბოლო დროს, ურჩი და დაგეზილი,
ვიგრძენ ვნებების ღელვა ხლვისებრი...
საკუთარ თავში მე პოეზიის
ვპოვე ახალი ოაზისები.

ჩემი წარსული მიცქერის შურით,
შურს ქვეყანაზე მალე ვინ მოსპობს...
ვიხატავ ქართულ სიტყვების ურიცხვ
და უცხო ფერის კალეიდოსკოპს.

ბებერი ქედით ვწევ ახლა ბევრად
ძნელ ჭაპანს, ვიდრე ჭაბუკი ვწევდი,
ტანზე ასდება ლექსს ბედისწერა
და დრო... რიჟრაჟის წინამორბედი.

სასოებით და სიმწრით ნაზარდი
სიჭარმაგეში ჯეელობს მუზა,
ბედს მწევს ეს სიბრძნე და ეს აზარტი,
ცოტა სიკვდილმაც თუ ინამუსა.

ახლა

საჩვენებელი არა ვარ თითით
არც სიქველეში, არც სიავეში...
მსურდა აშვება, საწუთრო თითლი
ვერ დავითანხმე, ერთხელ ავეშვი;

ერთხელ ქარივით მინდვრად გავეშვი,
მემტვერებინა გზები ტიალი,
შუქრს ვწვეოდი, სად გილგამეშის
ველურ ენქიდუს წვავდა ტრფიალი;

მეგრძნო მსოფლიოს ქანცის გამცლელი
მირიად ვნების ღელვა და ფრთონა,
არ ვყოფილიყავ ათას დაწერილ
და დაუწერელ კანონის მონა.

სულ უარები გასდევს ზოლივით
თხოვნებს, არ მწყალობს ბედი ზოგივით,
სულ მოწონილი და მოზომილი,
სულ განსაზღვრული და დაზოგილი!

ვერ გააყალეს ნათლის ნაფერთლით,
უსასობის ღამე ჭაღებმაც...
არ მღირსებია, ისე დავბერდი,
ერთი აწყვეტა და გალაღება.

ვიტან უმბობას, ანუ სიერთეს,
ნახევრად მკვდარი და შენამუსრი...
ახლა, კიდეც რო გავბედნიერდე,
თავს ვერ გამოვყოფ მტირალ მამულში.

ბევრია

აქ, ამ ჭალაში, გუშინ თეთრონს დავაქროლებდი,
სადაც ლეშისთვის ამტყდარიყო დავა ქორების.

დღეს ცხენის ნალით გათქერილი ვიხილე ნარი -
ცისფერი, ნ ორჩი, წელსპირველად განაფურჩქნარი.

ნარს ვნანობ, მაგრამ მასზე წუხილს ვერ შევეჭმევი-
ტრაგედიების უდიდესის შემსწრე ვარ მე ვინც.

სადაც ბევრია ცოცხალიც და დამიწებულიც
ვინმე ან რამე, — ნარივით ფეხდაბიჯებული.

სანამ

მე და ჩემი სიკვდილი ერთდროულად ვიშვით,
მე უმალ გავიღვიძე, მან განაგრძო ძილი
ეძინება, მე ვიდრე სული მიდგას პირში,
სანამ არ გავარდება ჩემს სიცოცხლეს ძირი.

იგი რომ გაცოცხლდება, მე თავს ძილში ვდურთავ,
მუდამ ძილში თუ არა ხანგრძლივ ძილში მაინც...
არ მოელის ჩემს ლექსებს ქცევა ნაცარტუტად,
თოვლ-ყინვაში გაძლებაც ძალუძს ედელვაისს.

საფიცარ სამშობლოში თუკი ვიშვი როსმე,
ჩემი წილი სიკვდილი ჩემში ჩაიძინებს,
ისევ რომ გაიღვიძებს, მზე იქნება მოწმე,
ჩემს ლაჩრულ აღსასრულზე ის ვერ გაიცინებს.

როგორ უნდა მეცოცხლა, მე ვსწავლობდი დღემდე,
აწი უნდა ვისწავლო: როგორ უნდა მოვკვდე.
სვე-ბედი დღეგრძელობის გამხდის მოიმედეს,
დიდ სამამულო ომში დღე რომ დამიმოკლდეს.

ქვაჩეხი

ქვაჩეხი არი ადგილი
ვარციხესა და როხს შუა,
არი თუ არა საერთოდ,
ქარი აქ მაინც მოქშუა.

იქ ავჯამეთის ტყე არი,
აქ ჯაგია და ხვილიფი...
მინდორი მოფენილია
რუხი, წვრილი და მსხვილი ქვით.

აქაურ ქარის ფერებით
ვერ იქნა და ვერ გავძეხი,
თან ფიქრი საშველს არ მაძლევს —
რად ჰქვია ამ ველს ქვაჩეხი?

გლეხები, ყანის თოხნისას,
ალბათ, ქვებს ჩეხდნენ თოხებით,
ჩინჩხლების ფრქვევით ცვიოდა
გარშემო ქვა-კოლბოხები.

ქვაჩეხიც, ალბათ, ამ ადგილს,
დაერქვა სწორედ ამიტომ,
ვახსოვარ, წელმოთრეული
ტვირთით ვეება ამ მინდორს,

ჩემი ქათქათა თეთრონი
აღვირს აქ ხრავდა ლიტრიანს...
ეს რუხი ქვები, უბრალო,
ჩემთვის თვალ-მაგალიტია.

თუ

ჯერ მხნედ ვარ, ჯერ წესით არ უნდა მოვსავდე,
გუდასთვის ჯერ თავი არ მაქვს მოკრული...
მე წავალ ქვეყნიდან, სიკვდილის მოსვლამდე,
სიკვდილით კი არა, სიცოცხლით მოკლული.

მე წავალ ქვეყნიდან, სულაც ცივ ზამთარში,
ერი და ბერისგან რამ უნდა გამრიყოს?!
თუ სიცოცხლეშია სიკვდილი ათასი,

სულიც ამომხდომია

გუშინ თოვლი მოვიდა, დღეს კი ავობს ჩუმქარი,
სადღაც მიაქვს ქარს თოვლი -თებერვლის ნაჩუქარი.

დაიფარა ნამქერით ჯაგნარები — ჩქონები,
ბონკო ლოკავს ნაპირებს ნარნარი აჩქროლებით.

დედულეთი — დიხაშხო — მიტომ მიყვარს ძალიან,
რომ ჩემს მოსაფერებლად დღენიადაგ სცალია.

აქ ვარ მირონცხებული სიყვარულის მირონით,
აქ ყმას მელანდებოდა საქმენი საგმირონი.

ისევ ავობს ნამქერი — აწყვეტილი ჩუმქარი,
ნირს ოდნავაც ვერ მიცვლის თებერვალი მუქარით.

ჩემს მიპატიჟებაში ნათესავებს ომი აქვთ.

მე კი ჰარმონიას ვითხოვ...

მწიკვლიანი ქვეყანაზე გენია და ჰორმონია,
ამიტომაც ბუნებაში არ არსებობს ჰარმონია.

არის ხილულ ამ ცის მიღმა სხვა მრავალი ფარული ცა,
არ ინდობენ ერთურთს მკვიდრნი ფლორისა და ფაუნისა.

ლანქრობისას ქვებს ქვებისგან ცვივა სილა, ცვივა ხრეში,
ხე ხეს ჩაგრავს, მცირეს დიდმა თუ გაუსწრო სიმაღლეში.

ზღაპარია ჰარმონია მხეცთა, სირთა, თევზთა შორის...
ერთურთისთვის მხოლოდ მკვდრები არ არიან საშიშნი.

ალბათ ცოტა მოიძევა ქვეყნად უტყვი თუ მეტყველი,
როცა შია, კბილით რომ არ გამოღადროს მოძძეს ყელი.

ამ საწუთროს ჰარმონიას არცა ვინ თხოვს, გიყის გარდა.

ანზორ აბჟანდაძე

დასაგმობი საქციელი

ოპოზიცია ნორმალურ ქვეყნებში ხელისუფლების მიერ გადადგმულ სწორ ნაბიჯებს მხარს უჭერს, არასწორს კი ეწინააღმდეგება.

ჩვენებური ოპოზიცია კი ხელისუფლებას ყველაფერში ეწინააღმდეგება — კარგ საქმეშიც და ცუდშიც.

არადა, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ნორმალური ოპოზიცია არსებობდეს და მას ყოველთვის სწორი პოზიცია ეჭიროს!

ოპოზიციას რომ სწორი პოზიცია ეჭიროს, ამისათვის ჩვენში ერთადერთი გზაა — ხელისუფლება იდგეს არასწორ პოზიციაზე.

ხელისუფლება ამ პირობას ხშირად ასრულებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლება ზოგჯერ კარგ საქმეებსაც სჩადის, რის გამოც ოპოზიცია იძულებული ხდება, ამ კარგ საქმეებსაც წინააღმდეგობა გაუწიოს.

აი, ასე აიძულებს ზოგჯერ ხელისუფლება ოპოზიციას არასწორ პოზიციაზე დადგეს.

ხელისუფლების ეს საქციელი დასაგმობია.

ცხრა ძმა და ცხრა ბოთლი ღვინო

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ზოგიერთმა დამარცხებულმა პარტიამ გაცხარებული მტკიცება დაიწყო — ხმები ბევრი მივიღეთ, მაგრამ ოქმები გააყალბესო.

ამასთან დაკავშირებით ერთ შემთხვევას მოგითხრობთ.

არჩევნების დღეს ხმის მისაცემად ერთად წავედით ცხრა მეზობელი. საარჩევნო უბანს რომ მივუახლოვდით, იქ მდგომმა ერთმა კაცმა ჩვენთან მყოფი მისი ნაცნობი დაინახა, გვერდზე გაიხმო და თხოვა, ჩვენს პარტიას მიეცით ხმაო. კარგიო, მაგაზე როგორ გაწყენინებთო, ამან უთხრა.

შევედით საარჩევნო უბანში და, რა თქმა უნდა, მისი თხოვნის შესრულება აზრადაც არ მოგვსვლია, ყველამ იმ პარტიას მივეცით ხმა, რომელზეც ადრევე ვფიქრობდით.

როცა გამოვდიოდით, ჩვენმა მეზობელმა იმ კაცს დაუძახა და „მიახარა" — ცხრავემ მოგეცით ხმაო. ის კაცი ძლიერ კმაყოფილი დარჩა და დიდად გაიხარა. ჩვენმა მეზობელმა კი სიცილით გვითხრა — მაგას ხვალ ცხრა ბოთლ ღვინოს ვაკისრებინებო.

აი, ასეთი ხმები დააგროვა ზოგიერთმა პარტიამ!

იმ კაცმა ცხრა ბოთლი ღვინო მართლაც იკისრა, რაზედაც ბევრი ვიცინეთ. მაგრამ ამას სტრასბურგში ვინ დაიჯერებს!

კარგისთვის კარგი ვის უქნია?

აბა, დავუკვირდეთ ამ პარადოქსს:

სახლში „თავისი ფეხით" მოვდის (თუკი საერთოდ არის) დენი, გაზი და წყალი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ მათში ფულს ცოცხალი თავით არ ვიხდით.

ხოლო რასაც ბაზრიდან ჩვენ თვითონ ჭაპან-წყვეტით მოვათრევთ — იმაში ვიხდით!

ცხადია, დენი, გაზი და წყალი რომ ბაზრიდან გვქონდეს სათრევი, მათშიც გადავიხდიდით (ისე ვინ გამოგვატანდა!).

აქედან მორალი: კარგისთვის კარგი ვის უქნია?

(ისე, ასეთი თავგამოდებული რეკლამისათვის ქე მეკუთვნის შეღავათები, მაგრამ კარგისთვის კარგი ვის უქნია?).

ჩვენი მთავრობის მწარე შეცდომა

ჩვენი მთავრობა ზოგჯერ მეტისმეტად მწარე შეცდომას უშვებს. ამის მაგალითად ქონებრივი დეკლარაციებიც კმარა.

მთავრობამ დეკლარაციების შევსების მოთხოვნა მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებს წაუყენა.

ისინი კი, რა თქმა უნდა, ჭკუას ხმარობენ და არმად ნაშოვნ ქონებას გაცილებით ნაკლებს აჩვენებენ დეკლარაციაში, ვიდრე სინამდვილეში აქვთ, რათა ნაკლები გადასახადი გადაიხადონ. მათი დეკლარაციები რომ ნახო, საცოდაობით დაიწვები, იქით მოგინდება დახმარება.



პოლიტიკური მინიატურები

ასეთი დეკლარაციების შევსებას შეუვსებლობა სჯობია.

სხვა საქმე იქნებოდა, დეკლარაციების შევსება ღარიბი მოსახლეობისათვის რომ მოეთხოვათ.

ქართველი კაცი, მით უფრო ღარიბი, თავმოყვარე და ამპარტავანია და კუდი ყავარზე აქვს გადებული. (გავიხსენოთ – ხანდახან შიმშილით კუჭი უხმება; მაგრამ მაინც მდიდრულ სუფრებს შლის, ძვირფას ტანსაცმელს იცვამს და ა. შ.). ამიტომ ასეთი ადამიანები თავიანთ დეკლარაციებში ერთმანეთის ჯინაზე და მტრისთვის თვალის დასავსებად გაცილებით მეტს

ჩაწერენ თავიანთი წვითა და დაგვით შეძენილი ქონების შესახებ, ვიდრე სინამდვილეში აქვთ.

ეს კი, რა თქმა უნდა, ბიუჯეტის შევსებას დიდად შეუწყობდა ხელს.

გაუმართლებელი უყაირათობა

1996-97 წლებში თავდაცვის სამინისტროს ჟურნალ „მეომარის" რედაქციაში ვმუშაობდი.

თავდაცვის სამინისტროს აღმზრდელობითი სისტემის მაშინდელი ხელმძღვანელი ყოველ შეხვედრაზე კატეგორიულად მაფრთხილებდა, წვერი მომეპარსა.

ვიფიქრე, ჩემი წვერით ქართულ ჯარს რაღაც ვნებას ვაყენებ-მეთქი, ამიტომ ავდექი და, საერთოდ წამოვედი სამსახურიდან. არადა, საქმე, შეიძლება ითქვას, სწორედ რომ პირიქითაა.

ჩემის აზრით, ქართულ ჯარში სწორედ წვერის გაპარსვა და მასზე დროის დახარჯვა უნდა აიკრძალოს, და, აი, რატომ:

ალბათ შენიშნავდით, რომ პატარა ბავშვებს ხშირად ეშინიათ წვერიანი კაცის. ეტყობა, წვერს აქვს შემაშინებელი რაღაც.

ამას ადასტურებს 80-იანი წლების ბოლოს გაჩაღებული ეროვნული მოძრაობაც, რომლის მონაწილეთა უმეტესობა წვერიანი იყო, რამაც საშინლად დააფრთხო კომუნისტები.

მახსოვს, ერთხელ ჟურნალმა „ნიანგმა" ეროვნულ მოძრაობას „წვეროვნული მოძრაობა" უწოდა და სრულიად სამართლიანად.

ერთი სიტყვით, ჩვენი ჯარის მწირი ბიუჯეტისა და იარაღის ნაკლებობის პირობებში მტრების შესაშინებლად წვერის გამოყენებაზე უარის თქმა, გაუმართლებელი უყაირათობაა.

ბიუჯეტის კლება საიმედო ტენდენციაა

ამ სათაურს რომ წაიკითხავს, ზოგიერთს ხუმრობა ეგონება.

არადა, სულაც არ არის სახუმარო საქმე.

თუნდაც იმიტომ, რომ ბიუჯეტის კლების ტემპი ძალზე ნელია.

საჭიროა ტემპის მომატება, რათა ბიუჯეტი, რაც შეიძლება მალე, უახლოეს წლებში დავიდეს ნულამდე.

რა მოხდება მაშინ?

როგორც ყველა ეკონომისტი აღნიშნავს, ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე მილიარდი დოლარი თუ ლარი ტრიალებს სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით.

ისიც გავიხსენოთ, რომ საკუთარი ბიუჯეტი აქვს ყველას – ცალკეულ პიროვნებას, ოჯახს, დაწესებულებას, ქალაქს... რაც მთავარია, მსხვილ ბიზნესმენებსა და მაფიოზურ კლანებს.

არადა, ყველა მათგანს სჭირდება ისეთი ორგანოები, როგორიცაა, მაგალითად, პოლიცია, სასამართლო, ჯარი და ა. შ., რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე არიან.

როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტი ნულის ტოლი გახდება, მსხვილი ბიზნესმენები და მაფიოზური კლანები იძულებულნი შეიქნებიან, თავად დააფინანსონ ეს ორგანოები, შეიძლება ითქვას, მათი „პრივატიზება" მოახდინონ, ე.ი. საკუთარი ბიუჯეტი, ფაქტობრივად, სახელმწიფო ბიუჯეტად აქციონ. ქვეყნის რეალური მმართველებიც ისინი გახდებიან ყოველგვარი არჩევნების გარეშე.

ერთი სიტყვით, ის დამალული ფული, დღეს რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით ტრიალებს, თანდათან გამოჩნდება.

აი, ასეთ დადებით შედეგს მოიტანს სახელმწიფო ბიუჯეტის თანდათან კლება და ბოლოს ნულამდე დასვლა.

ახლა, დანარჩენი წვრილმანები ეკონომისტებმა მოიფიქრონ!

ყველაფერზე მე ხომ არ ვიფიქრებ.

კი მოვიფიქრებდი რაიმეს, მაგრამ არა მცალია, ფულის საშოვნელად გავრბივარ.

ზაირა ნადარეიშვილი

იმ ნათელმოსილ

თამარ კაკიაშვილი თბილისში მეფეობდა ალექსი. თავდადებული ალექსი ბრძოლაში ფრთაჩეჩილ, მარანალი, ფეხშალა ბრძანდა და ვეფხვია. თამარიანა, საგმირთანი აპყრობოს რანაღაციანი, ბანგრეფილნი ფეხი ლაჩარანი.

ეფხვაღალეთი ქეთინა, თბილელი ხალხის ამოდარული ფაროსანლეთ, ამიტ ბაზიანლეთ ხასპეფლი და სიფლიანლის ლაპარი ბაზიანლეთია ფიქი ლეფლეთ ხაპეა. ფაქი ბრეფლანი რაფანა ფეფეა. ფეფეა, რომ ხალხანლი ფაფარანლეთეა ლეფა ხაპაფანლეთი.

ეფხიანლეთ ქეთინა, თბილელი ხალხის ამოდარული ფაროსანლეთ, ამიტ ბაზიანლეთ ხასპეფლი და სიფლიანლის ლაპარი ბაზიანლეთია ფიქი ლეფლეთ ხაპეა. ფაქი ბრეფლანი რაფანა ფეფეა. ფეფეა, რომ ხალხანლი ფაფარანლეთეა ლეფა ხაპაფანლეთი.

ეფხიანლეთ ქეთინა, ეფხიანლეთ ეფხიანლეთ ქეთინა ეფხიანლეთ ეფხიანლეთ ქეთინა ეფხიანლეთ ეფხიანლეთ ქეთინა



ასი წელი შესრულდა ედუარდო დე ფილიპოს დაბადებიდან /დაიბადა 1900 წ. 24 მაისს/. დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი – ბევრად წარმოგვიდგება იტალიური და მსოფლიო თეატრალური სამყაროს გამორჩეული ფიგურა, რომელმაც 78 წელი დაჰყო თეატრში და 52 კინოში – ალბათ მსოფლიოში ძნელად მოიძებნება მეორე ასეთი ხელოვანი!

სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე იტალიის პრეზიდენტმა ალექსანდრო პერტინიმ ედუარდო დე ფილიპო სიცოცხლეშივე სენატორად გამოაცხადა. ამაში გამოიხატა ის დიდი აღიარება, რაც ხელოვანს მიუძღვის იტალიური და მსოფლიო ხელოვნების წინაშე.

პირველად ექვსი წლისამ ითამაშა ედუარდო სკარპეტას პაროდიაში „გეიშა“.

ედუარდო დე ფილიპოს, როგორც მოაზროვნისა და დრამატურგის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მისმა წინამორბედებმა: პეტიტომ, სკარპეტამ და ვივანიმ. მან შემოქმედებითად შეითვისა პეტიტოს სრულყოფილი კომიზმი, ტექსტის ფილიგანალური დახვეწილობა, სკარპეტისა და ვივიანის მკცარი რეალიზმი.

გარდა კომედიებისა, ედუარდო დე ფილიპოს კალამს ეკუთვნის მრავალი სცენარი ფილმებისათვის, ლექსების კრებული, სპეციალურად ტელევიზიისათვის დაწერილი სცენარები. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია დე ფილიპოზე ლუიჯი პირანდელისთან ურთიერთობამ. მოგვიანებით მასთან ერთად დაწერა პიესა „ახალი ტანსაცმელი“.

1944 წელს ედუარდომ შექმნა საოჯახო ტრიო უფროს ძმა პენინისა და ტიტანასთან ერთად. მოგვიანებით „დე ფილიპოების იუმორისტული თეატრი“ დაიშალა. ამას, სხვა მიზეზებთან ერთად, ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი: პეპინი დე ფილიპო, რომელიც ამავე დროს ბრწყინვალე სახასიათო მსახიობი იყო, თავის პიესებს მხოლოდ ლიტერატურულ იტალიურ ენაზე წერდა და სასტიკად აკრიტიკებდა ძმას, რადგან ედუარდო თავის პიესებში უხვად იყენებდა დიალექტებს, განსაკუთრებით ნეაპოლიტანურს. ბევრი პიესა მხოლოდ ამ დიალექტებზე აქვს დაწერილი. ედუარდო დე ფილიპო მაღალ საზოგადოების წარმომადგენლებს ლიტერატურული ენით ამეტყველებდა, ხოლო მასას - დიალექტზე. ეს მეთოდი თავისებური კოლორიტისა და რეალისტური სურათის შექმნაში ეხმარებოდა.

1945 წელი აღინიშნა ედუარდო დე ფილიპოს ტრიუმფალური გამოსვლით ნეაპოლის სან კარლოსის თეატრში საკუთარი პიესით "ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქი", რომელიც თვითონვე დადგა და მთავარი როლიც მანვე განასახიერა. შემდგომში ამ პიესამ საქვეყნო აღიარება მიუტანა მას.

1954 წელს დე ფილიპომ ნეაპოლში საკუთარი სახსრებით შეაკეთა და საზეიმოდ გახსნა სან ფერდინანდის თეატრი, რომელიც ბავშვობის შემდეგ მიწასთან იყო გასწორებული.

თუ ადრე დე ფილიპოების ოჯახს თეატრალურ ოჯახად თვლიდნენ, ახლა შეიძლება ითქვას, მთელი დინასტია: ედუარდოს ვაჟი ლუკა დე ფილიპო და პეპინო დე ფილიპოს ვაჟი - ლუიჯი - წამყვანი კომიკოსი მსახიობები არიან.

„მე ვფიქრობ, ჩემი კომედიები ტრაგიკულია. ისინი ტრაგიკულია მაშინაც კი, როცა გვაცინებენ. თუ დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მათში მთელი კაცობრიობის ისტორიაა ასახული. იგი თავის პიესებში აქსოვს საკუთარ ტკივილს, აღშფოთებას და პროტესტს უსამართლობის წინააღმდეგ. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, პერსონაჟთა სულიერ სამყაროში წვდომის უნარი არაჩვეულებრივად ერწყმის მის მდიდარ პოეტურ ფანტაზიას. ამის გამოა, რომ ის ასე ამაღლდა, როგორც

თქმულება ლიმონათის საცობზე

ციური ივრისპირელი

მთის მიყრუებულ სოფელში დავიბადე და საშუალოც იქვე დავამთავრე. როგორც საერთოდ ყველა ბავშვს, მეც თავდავიწყებით მიყვარდა ლიმონათი. ჰოდა, ბავშვები როგორც კი ჩავინაშთენებდით ხურდა ფულს, მაშინვე ხის პატარა მაღაზიისკენ გავრბოდით იმ საოცარი გემრიელი, ქაფიანი და ცხვირში საამოდ მჩხვლეტავი გაზიანი სითხის საყიდლად.

ერთხელაც არის და, მე და ჩემმა მეგობარმა თითო-თითო ბოთლი ლიმონათის ფული გამოვტყუეთ ჩვენ ხელმოკლე მშობლებს და უმალ მაღაზიისკენ გავქანდით. ვიყიდეთ ნანატრი ლიმონათი და გახარებულები გამოვბრუნდით უკან.

ლიმონათის შინ მიტანამდე აღარ გაგვწვდა მოთმინება.

– მოდი დავლიოთ! - მომაძახა მეგობარმა.

– აბა როგორ გავხსნათ?!

მას ეშმაკურად აუციმციმდა თვალები.

– აი, გასახსნელი თანა მაქვს წამოღებული!

ბოთლები ფაცაფუცით გავხსენით, თუნუქის ბრჭყვიალა საცობები ხელუკუღმა მოვისროლეთ და ქაფმომდგარი ბოთლები საყვირივით მივიტანეთ პირთან - პირდაპირ ასე, ზეზეურად დავიწყეთ სმა.

– ჰაი, გიდი! - მოგვესმა უცებ საამო სითხის წრუპვისაგან ნეტარებაში გადაცვენილებს. გავიხედეთ: იქვე ცხვირწინ, ორღობის პირას, ფშატის ჩრდილში წიფლის ჯირკზე დასასვენებლად ჩამომჯდარიყო ჩვენი სოფლელი ბერიკაცი კაციელა და თავის განუყრელ ყალიონს აპლაკუნებდა. ჩვენს მიერ ისე უანგარიშოდ გადაყრილი საცობები სწორედ მის ფეხებთან დაცვენილიყო. მან იფნის თავკაუჭა ყავარჯნით ორივე საცობი ახლოს მიიცურა, კოჟრიან ხელისგულზე დაიწყო და სული შეუბერა.

დაფნის რტო რენატო გუტუზოსაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედი. ის ფაქტი, რომ დე ფილიპო არა მარტო ავტორი და დამდგმელია თავის პიესებისა, არამედ მთავარი როლის შემსრულებელიც. უადვილებდა გადმოეცა ცხოვრებისეული სინამდვილე, მოენახა ზუსტი სცენური სახე. დე ფილიპო სპექტაკლებზე პირველი წუთისთანავე მყარდება კონტაქტი მაყურებელთან, რომელიც ხარობს, იცინის, ტირის, იტანჯება ავტორთან ერთად. ამასთან დაკავშირებით სჯობს თვით ედუარდო დე ფილიპოს მოვუსმინოთ: ...ჩემი მუშაობა პიესაზე მთავრდება სიტყვა „დასასრულით". ამის შემდეგ იწყება ახალი ეტაპი. ესაა მუშაობა მსახიობებთან და მაყურებელთან... დიახ, მაყურებელთან. ნუ გაგიკვირდებათ, რადგან არა მარტო მაშინ, როცა რეჟისორულად ვამუშავებ პიესას, მანამდეც, წერის პროცესშიც მაყურებელი ყოველთვის ჩემთანაა. თუ კომედიაში ორი, ხუთი ან რვა პერსონაჟია, მეცხრე ჩემთვის მაყურებელია. მას ყოველთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან მხოლოდ მას შეუძლია გასცეს პასუხი ჩემს კითხვებს..." - წერს დე ფილიპო თავის ორტომეულის წინასიტყვაობაში.

ედუარდო დე ფილიპოს პიესებს ახასიათებს ღრმა რეალიზმი, პიესებმა: „ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქი", „ფილიმენა მარტურანი", „ჩემი ოჯახი", „შაბათი, კვირა, ორშაბათი", „დე პრეტორე ვინჩენცო", „კონტრაქტი", „სენატის რაიონის მერი", „მოჩვენებები", „კომედიის ხელოვნება", „ცილინდრი" მოიარა მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი თეატრის სცენა, მათ შორის ჩვენიც. ისინი დაიდგა მარჯანიშვილის, რუსთაველის, გორის, რუსთავის, ახალციხის თეატრებში.

1984 წლის 25 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა დე ფილიპო. მადლიერმა იტალიელმა ხალხმა დიდი პატივით დაკრძალა ხელოვანი. მრავალრიცხოვან ყვავილებს შორის, დე ფილიპოს ფეხებთან პატარა დაფნის რტოც იდო. ეს მისმა მეგობარმა და მისი ნიჭის დიდმა თაყვანისმცემელმა მხატვარმა რენატო გუტუზომ მოიტანა მასთან გამოთხოვებისას, როგორც პოეტთან. დიახ, ედუარდო დე ფილიპო პოეტიც იყო, ნეაპოლი ხალხის დიდი პოეტი. ის იყო არა მარტო რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგი, როგორც საერთოდ აღნიშნავენ ხოლმე, არამედ კომპოზიტორიც,... მხატვარიც – იგი მთლიანად განასახიერებდა თეატრს.

საინტერესოა ნაწყვეტი რენატი გენეზოს მოგონებიდან: „...ბედნიერება მქონდა ედუარდო დე ფილიპოსთან მემუშავა მისი პიესის „კონტრაქტის" გაფორმებაზე. ის მიკითხავდა სცენებს, უფრო სწორად, თითოეულ გმირს ათამაშებდა, მე იქვე ვთავაზობდი შესაფერის ესკიზებს კოსტუმებისათვის. საერთოდ – რეკვიზიტს – სტენოგრაფიისათვის.

დადგა სპექტაკლის ჩვენების დღე. სხვებთან ერთად მეც ძალიან ვღელავდი, ხუმრობა ხომ არ იყო, დე ფილიპოს პიესაში ამჯერად ჩემი კოსტუმები იქნებოდა გამოყენებული, ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო!

გაიხსნა ფარდა, სცენაზე შემოვიდა მთავარი გმირი – ჯერონტა, რომელსაც თვითონ დე ფილიპო ანსახიერებდა. პირკატა მეცა, ჩემი კოსტუმის ნაცვლად – ეცვა უხეში შალის ძაფით, მსხვილ ჩხირებზე ნაქსოვი, გრძელი, მუხლებამდე დაშვებული ჯემპრი, რომელიც პერანგს უფრო ჰგავდა. არა, რა თქმა უნდა, ის არ იყო ის კოსტუმი, რომელიც წინასწარ შევიმუშავე მასთან ერთად. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, ერთი პირობა, დარბაზის დატოვებაც გადავწყვიტე, მაგრამ ვიფიქრე, რომ ჩემი გასვლით უფრო ყურადღებას მივიპყრობდი, უცებ მოვთოკე გრძნობები და განვაგრძე სპექტაკლის ყურება. არ დამიჯერებთ და, სპექტაკლის ბოლოს, მეც აღტაცებული ვუკრავდი ტაშს მაყურებელთან ერთად. ეს „პერანგი" ბუნებრივად ჩაჯდა სპექტაკლში, ჯერონტა პიესის მიხედვით მკვდრეთით აღადგენდა წესიერ ადამიანებს, ამიტომაც ერქვა „ჯერონტა" /გერონტოლოგია/ და ეს კოსტუმი უფრო ორგანულად შეერწყა მის სახეს. უნდა ვაღიარო, რომ ის დიდი მხატვარიც იყო, მისმა მხატვრულმა ალღომ ჩემზეც და მაყურებელზეც წარუშლელი ეფექტი მოახდინა: ამით თავის პერსონაჟს რაღაც ახალი შტრიხი შემატა, მეტი მნიშვნელობა შესძინა..."

დე ფილიპოს თეატრს ვერ აურევ სხვაში – იგი თვითმყოფადია, ასევე მისი კომედიებიც. მათ გაუძლეს არა მარტო დროს, ყველაზე მკაცრ მსაჯულს, არამედ დამკვიდრდნენ როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კარგი პიესა მაშინვე კარგავს თავის მიმზიდველობასა და ღირსებას, როგორც კი დაიბეჭდება. ედუარდო დე ფილიპოს პიესებს კი ეს არ მოელით, რადგან ისინი მაღალმხატვრული შედევრები გახლავთ.

– მოდით აქა!

ჩვენ სმა მივატოვეთ, ბოთლის ტუჩს ცერი დავაჭირეთ, გაზი რომ არ ამომქრალიყო და მოწიწებით მივუახლოვდით მოხუცს. მას მთელი სოფელი პატივითა და რიდით ეპყრობოდა, როგორც ომის მონაწილეს და თან გერმანიაში შვიდი წელი ტყვედნამყოფს. ტყვეობის წლებს მასზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოეხდინა და სულ პაწაწინა, ყოვლად უმნიშვნელო საბაბიც ჰყოფნიდა ხოლმე, რომ იქაურ ამბებსა თუ ზნეჩვეულებებზე გრძელი, მაგრამ საინტერესო მასლაათი გაება. ახლაც ასე მოხდა.

– აი, ახლა თქვენ ეს საცობები გადაყარეთ, – მძიმედ შენიშნა და გვირილის მოყვანილობის საცობებს მოგონებით დაბინდული მზერა დააფინა, – იქ კი ასე არ იქცევიან – აგროვებენ!

– რისთვის? – ვიკითხე.

– რისთვის და აი, ამეებით მანქანებს გააკეთებენ, ჩასხდებიან შიგა და სულ დრიგინ–დრიგინით ივლიან – ჩვენსავით ფეხით კი არ დაწოწიალობენ!

მეგობარს ცუღლუტურად ჩაეცინა.

– ამ ორი საცობით რა მანქანა უნდა გააკეთონ?

– არც როგორი! – კოპები შეიკრა ხეიბარმა, – ორით კი არა, შვილო, მილიონობით გროვდება, მერე მიაქვთ ქარხანაში და ადნობენ!

– თუკი მართლა ეგრეა, ჩვენთანაც რატომ არ აგროვებენ? – შევეკითხე.

– ჩვენთან? ჰმ! – სევდიანად ჩაილაპარაკა და აქეთ–იქით გაიხედ–გამოიხედა, – იმიტომ, რომ უხეირო წეს–წყობილება გვაქვს... აბა, ახლა მოუსვით ბაყაყური და დაამთავრეთ ეგ ლიმონათი, თორემ გაგითბებათ და მერე პირში აღარ ჩაიშვება!..

ეს საუბარი სამუდამოდ ჩამებეჭდა მახსოვრობაში და ჩამრჩა როგორც მშვენიერი თქმულება ლიმონათის საცობზე, რომლებისგანაც მერე გერმანელები ავტომანქანებსა და სხვადასხვა ნივთებს ამზადებდნენ. ამის რწმენამ კი გერმანელების თვითშეგნების, ერთსულოვნებისა და ყაირათიანობისადმი ღრმა პატივისცემით გამაწყო. ოღონდ ეგ არის, თან გული მიკვნეანსოდა: რატომ ჩვენთანაც ასე არ არის–მეთქი. მით უმეტეს, რომ სოფლის სანაგვეებზე იმდენი დამტვრეული თოხი, ბარი, ცელი ეყარა, ბავშვები იმდენ ძირგამოჭშულ არყის ქვაბებსა თუ ურმის თვლის სალტეებს დავაგროვებდით, რომ მსუბუქი მანქანა კი არა, პირწმინდად რომ მოეგროვებინათ და გადაემუშავებინათ, ალბათ ერთი სამიოდე ავტობუსის გაკეთებას ეყოფოდა და ჩვენი სოფლიდან რაიცენტრში ფეხითაც აღარ ვიჩანჩალებდით!..

მინის გოლეში

ჯემალ მეხრიშვილი

ნოველა

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, იყიდეს სოფლად კოპწიაეზოიანი პატარა სახლი და ქალბატონ რუსუდანს აი, ახლა კი შეეძლო აესრულებინა თავისი დიდი ხნის ოცნება — სახლის წინ ყვავილნარი გაეშენებინა. მართალია, თბილისშიც მისდევდა მეყვავილეობას, მაგრამ აბა, სად მერვე სართულის სამოთახიან ბინაში წამოსკუპებული რამდენიმე ქოთანი და სად ღია ცისქვეშ, ქვეყნის დასანახად აყვავებული წალკოტი!

ადრე გაზაფხულზე რუსუდანმა ქმარშვილს ეზო დააბარინა და გაამარგვლინა. მეუღლის წინადადება — ერთ კუთხეში მწვანილეულობა და ლობიო დავთესოთო, შორს დაიჭირა.

— მხოლოდ ყვავილები!!!

— მაშინ საჩეხთან ზამბახები ჩაარიგე, — ისევ შენიშნა მეუღლემ, — მოუხდება!

— აჰ, აჰ, აჰ! — ხელები გაასავსავა რუსუდანმა და ხმას დაუწია, — ასე სოფლის ტეტია ქალებმა იციან: ცალ მხარეს იასამანს დარგავენ, მეორე მხარეს ვარდის უზარმაზარ ბარდს და შუაში კიდევ ზამბახებს ჩააყოლებენ ხოლმე. ეზოში ვარდსა და იასამანს გავაჭაჭანებ?!

— რატო, ქალო, რა დაგიშავეს?

— არაფერი, მაგრამ ორგანულად ვერ ვიტან, ლოყებდაბრაწული სოფლელი გომბიოები იასამნისა და ვარდის კუნწულებით რომ აივლ-ჩაივლიან ხოლმე სადალაქოს წინ. ფუჰ!

— მაშ, აბა, შენ რომელი ყვავილები უნდა გააშენო?

რუსუდანმა საქმიანი სახე მიიღო და თავმომწონედ ჩაიღიმა.

— ამ კვალში გლადიოლუსებს დავთესავ. ოღონდ ყველა ჯიშს არა, მხოლოდ სამ სახეობას — ბენვენუტოს, აუბერს და უაიტს უინდერსს. შეიძლება ჰეპი ენდიც მივაყოლო, მაგრამ მეტისმეტად ჭყეტელაა და საერთო ტონს დამირღვევს. გარდიგარდმო ქრიზანთემებს ჩავაყოლებ!.. კიბის ორივე მხარეს ტომფსონის კლეროდენდრონს ვაპირებ — ფოთლები მუქი მწვანე და ხორციანი აქვს, ყვავილები — ქარვისფერი, ხოლო ყვავილების ცენტრში ოთხი ისეთი ალისფერი პაწია ფურცელი ეზრდება, მისი ყურებით შეიძლება მოკვდე!.. ბილიკის გასწვრივ პონტოურ როდოდენდრონს გადავრგავ — თეთრ ყვავილს ყუნწთან ლილისფერი დაჰკრავს და საპნის ქაფივით ფუმფულაა. აქ აგაპანთუსი და ქსეროფიტუმი იქნება... იმ ბროწეულის ქვეშ... ის ბროწეული შეიძლება მოვჭრა კიდეც!.. მესრის დაყოლება დრაცენა და ალოე მოუხდება... მოკლედ, ისეთი ყვავილნარი უნდა გავაშენო, ხალხი პირდაღებული შემოგვცქეროდეს!

— აბა, შენ იცი!

რუსუდანმა უამრავი ყვავილის თესლი დათესა. კალმები და ჩითილიც ბლომად გადარგო. მეუღლის მანქანით თითქმის ყოველკვირა ჩადიოდნენ სოფლად. ქმარს თუ არ ეცალა, ყვავილების ხათრით არც ავტობუსით მარტო ჯაყჯაყს უკადრისობდა.

გაღივებულმა თესლებმა ერთმანეთის მიყოლებით ამოყვეს უნიათო წვერები. რუსუდანი ზაფხულობით ორი თვით იყო ხოლმე

ალაჰი რაჰიმია

ნოდარ კოჭლაშვილი

ხშირად, თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო ფაქტმა, შესაძლოა მნიშვნელოვანი, საინტერესო და დამაფიქრებელ საკითხის წინაშეც კი დაგვაყენოს.

ქალბატონ თამუნა ჩიქოვანის წერილის (ჟურნალი „დროშა" N 1-3, 2000) „დესნატორი ანუ ტახების ქელეხი" გაცნობამ უნებლიედ, გონებით ფერეიდნელ ქართველთა იგივე „ტახების" საინტერესო ტრადიციის საკითხი გამახსენა.

ალბათ, გაოცებით იკითხავთ, სად უნგრულ-ქართული „ტახების ქელეხი" და სად შორეული მუსულმანური ირანი, ბახტარიის მთები, ფერეიდანი და თანაც „ტახი"?

ქალბატონმა თამუნამ მშვენივრად აღწერა უნგრეთში ე.წ. „ტახების ქელეხი", რაც ქართლ-კახეთში, ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოშიც, არსებული ჩვევის იდენტურია. როდესაც ოჯახში ღორი იკვლება, აუცილებლად მეზობელ-ნათესავებს იწვევენ და დროს ატარებენ. ეს კი სხვათაშორის მეზობელ-ნათესაობას შორის ერთობისა და მეგობრობის შეუმჩნეველი განმტკიცებაა!

აღსანიშნავია, რომ ადრეულ ხანებში ქართველი გლეხკაცი ღორის მოვლა-მოშენებას ნაკლებად მისდევდა, რადგანაც ამ საქმისათვის ის დროს არ კარგავდა. ეს განაპირობა ქართული ტყის სიმდიდრემ საკვებითა და ცხოველთა ნაირსახეობებით. გლეხკაცი ტახზე სანადიროდ მხოლოდ ზამთრისპირს მიდიოდა. მოინადირებდა ტახს, გაატარებდა დროს და საზამთროდ ხორცსაც მოიმზადებდა.

დღეისათვის რომ ღორის დაკვლის შემდეგ ე. წ. „ქელეხი" იმართება, ეს მხოლოდ იმ ძველი ქართული ტრადიციის ნაყოფია, რაც ტახების მონადირეობიდან დარჩა.

ეს ტრადიცია ფერეიდნელმა ქართველობამაც შეინახა.

მოგეხსენებათ, ფერეიდანში შაჰ აბასის მიერ ტყვედქმნილი ქართველობა გასახლებული იქნა დაახლოებით ოთხი საუკუნის წინათ. მათ იქ, ბახტიარიის მთებში, უცხო მიწაზე და უცხო გარემოში, არამარტო დედა-ენა შემოინახეს, არამედ ბევრი ისეთი ქართული წეს-ჩვეულებაც, რომელიც დღევანდელ ქართულ სინამდვილეში დაიკარგა.

ფერეიდნელი ქართველი ძალით იქნა გამუსულმანებული, რადგან შაჰ აბასს ეს ქართველობა წაყვანილი ჰყავდა მხოლოდ და მხოლოდ მეომრებად, ხოლო მეომარი პატრონის ერთგული რომ ყოფილიყო, იგი მისივე რჯულ-რწმენისა უნდა გამხდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი (მოლეკულური ფიზიკის ლექციებს კითხულობდა ინსტიტუტში), ამიტომ გადაწყვიტა ერთი თვე თავის ყვავილებთან გაეტარებინა, ოცდოდ დღე ზღვაზე, იალტაში: ნიკიტინის ბოტანიკური ბაღის ნაცნობი თანამშრომლებიდან უნიკალური ჯიშის ყვავილების თესლი უნდა წამოეღო. მთელი ივლისი ყვავილებს დაჰფოფინებდა. მალე ზოგიერთი ყვავილი ისე წამოიზარდა და გალაღდა, კოკრებიც კი გაიკეთა. რუსუდანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: კვლებშუა ზედამხედველივით დააბიჯებდა და თუ სადმე გაპარულ სარეველას შენიშნავდა, სკალპელით ძირფესვიანად თხრიდა.

თვის თავზე ყვავილები ისე წამოიზარდნენ, რომ შესამჩნევად გამოიკვეთა ყველა კვალი და ეზოს დაგეგმარება. რუსუდანი ზღვაზე გულდამშვიდებული წავიდა. იალტიდან რომ დაბრუნდა, ელდა ეცა: კოპწია კვლები და ძვირფასი ყვავილები სადღაც გამქრალიყვნენ, სარეველა ბალახი კი ისე ბიბინებდა, თუნდა ცელს მოუსვამდა კაცი! გაოგნებულმა რუსუდანმა ლაპლაპა სკალპელი ამოიღო და მთელი დღე არ გამართულა წელში. სარეველებისაგან ძლივს გაწმინდა ეზო. ზოგიერთი ყვავილი უკვალოდ გამქრალიყო, ზოგან გამხმარი ღეროებიდა ამოშვერილიყო, ბევრს ფოთლები შეჭკნობოდა და ის-ის იყო შეჰპარვოდა ხმობა, დანარჩენებს უიმედოდ ჩამოეყარათ ყურები და შველას ითხოვდნენ.

თბილისში დაბრუნებულმა რუსუდანმა ყველას შესჩივლა თავისი გასაჭირი და რჩევა ჰკითხა. ერთმა მეზობელმა შენიშნა: ნაბარი ჰერბიციდებით უნდა დაგემუშავებინა, ყვავილები მერე დაგეთესა და გადაგერგოო. თანამშრომელმა ურჩია: ახლადამოსულ ყვავილებს დაფქული ნახშირი მოაყარე, რომ სიდამპლე არ შეეპაროთო. საკოლმეურნეო ბაზრის ფაშფაშა მეყვავილე დედაკაცებმა ჩააგონეს: კვლებს ცოტაოდენი ნეხვი და ნაცარი მოაყარე და ფიქრი ნურაფრისა გექნებაო. ვიღაც აგრონომმა დაარწმუნა: მიწა კალიუმით ღარიბი ყოფილა და მინერალური სასუქების შეტანაა საჭიროო. ერთმა კაბინეტის მეცნიერმა ყველა რჩევა უარყო და უპირატესობა მიანიჭა თხევად სასუქს, რომელიც, როგორც ის ირწმუნებოდა, სპეციალურად მეყვავილეთა დასახმარებლად იყო შემუშავებული...

ათასნაირი რჩევა-დარიგებებით შეიარაღებულმა რუსუდანმა უფრო მეტი ჟინით განაგრძო ბრძოლა. გავიდა ორი წელიწადი. ძალობს სარეველები, ძალობს რუსუდანი, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია თავის საწადელს. თავიდან თითქო ყველაფერი რიგიანად აეწყობოდა ხოლმე და ყვავილნარს კარგი პირი უჩანდა: აი, სადაცაა ეზო ზღაპრულ წალკოტად უნდა იქცეს, მაგრამ საკმაოა ორიოდე კვირით მაინც მოშორდეს მზრუნველი თვალი და ხელი, რომ ტანჯვა-წამების ფასად დაზრდილი უნიკალური ჯიშის ყვავილები გამოუბრუნებლად იღუპებიან, ხოლო შალაფა, წიაღა, შავთავა, შალგა, ძურწა, ბოლოკა, კუწეწა, რძიანა, მატიტელა, ჩიტის იონჯა, ნემსიწვერა ლურჯად ბიბინებენ!!!

ბოლოს დაიქანცა რუსუდანი და თავი დაანება სოფლის საშაგალითო ყვავილნარის გაშენებაზე უნაყოფო ოცნებას. გული მარტო იმაზეღა წყდებოდა, რომ ვერ ხვდებოდა, სად ემარხა ძაღლის თავი, რა იყო წარუმატებლობის მიზეზი.

— მიხო ძია, — ჰკითხა ერთხელ ფარხმალდაყრილმა რუსუდანმა თავის მეზობელს, ოთხმოცდაშვიდი წლის რევმატიზმებიან ბერიკაცს, რომელიც სულ მუდამ ვაშლის ქვეშ იჯდა და იქიდან თვალ-ყურს ადევნებდა ქალაქელი სწავლულის საქმიანობას, — მიხო ძია, იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ: თითოეულ ყვავილს ზედ დავკანკალებდი, არაფერს ვაკლებდი, მაგრამ ვერც ერთი მათგანი მაინც ვერ გავახარე. ამ სარეველა ბალახებს კი დანითა ვოხრიდი, და შეხედეთ, მაინც ვერ მოვერიე! რის ბრალია?

— რისა შვილო და, ის ყვავილები, შენ რო იძახი, ამ მიწის გერები იყვნენ, ეს სარეველები კი ღვიძლი შვილები არიან! ჰოდა, რა ხერხიცა და ოინიც უნდა მოიგონო, არ იცი, ღვიძლი შვილი მაინც ლაღი და თამამი რომ გაიზრდება? მაგას რაღა კითხვა უნდა, ცხოვრებაშიც ეგრე არ არი?!

რუსუდანმა უცებ ისეთი შვება იგრძნო, თითქო მხრებიდან ლოდები მოაშორესო.

მოგეხსენებათ, ღორი შარიათის კანონით უწმინდური არსებაა, რისთვისაც მისი ჭამა კი არა, ხსენებაც ზიზღის მიზეზადაა მიჩნეული. ფერეიდნელი ქართველი კი, უკვე თითქმის მეოთხე საუკუნეა, მუსულმანია!

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფერეიდნელმა ქართველმა ბევრი ძველი ქართული ადათ-წესი შემოინახა. მათ შორის, ნადირობის ჩვეულებრივი რიტუალიც.

ბახტიარიის მთებში დღეისათვის სხვა ნადირ-ფრინველთა შორის ტახიც მრავლადაა, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ადგილობრივ მოსახლეობას. ე. წ. ლიცენზია ნადირობისა და, რაც მთავარია, სანადირო იარაღი იქ ძალიან ძვირი სიამოვნებაა ჩვეულებრივი მშრომელისათვის.

ის, რასაც ახლა მოგახსენებთ, შემიძლია ვთქვა, რომ სრულიად ახალი იქნება ყველასათვის, რადგან ამის შესახებ არავითარი ცნობა თუ ნაწერი არ მოიპოვება. თავად ფერეიდნელთა შორისაც კი ბევრმა არ იცის ეს. შეიძლება რამდენიმე სოფელში იციან კიდეც, მაგრამ არ ამჟღავნებენ სახალხოდ. ერთ სოფელში კი, სადაც ბევრი ქართველი ცხოვრობს და ამ ამბის მომსწრე მეც შევიქენი, რამდენიმე წლის განმავლობაში მიყვებოდნენ თავად ამ ნადირობის მონაწილენი ამას, როგორც მათ „დიდ ოსტატს" და უახლოეს მეგობარს. გარკვეული მიზეზების გამო მათ გვარ-სახელებს ვერ მოგახსენებთ.

ფერეიდნის ხევებში ქართველებს გაშენებული აქვთ ვენახები. ყურძნისაგან ისინი ძირითადად ამზადებენ ქიშმიშს და ბაქმაზს (იგივე შარბათია, წყალგარეული), მაგრამ ზოგი ღვინოსაც აყენებს. შემოდგომით, როდესაც ყურძენი მოიწევა (ასე ამბობენ თავად ფერეიდნელები), ღამღამობით ტახები ლაშქრავენ ვენახს. ასეთ შემთხვევაში ვენახების პატრონები იწყებენ მორიგეობას ყურძნის დასაცავად. აი, ამ მეთვალყურე ქართველ მონადირეთა ჯგუფმა მოინადირა ტახი. დაანთეს ცეცხლი, შეწვეს მწვადი და ღამე ამ მწვადის ჭამასა და ღვინის სმაში სიმღერით გაათენეს.

წინა შემოდგომას ექვსნი ყოფილან, დიდი ტახი მოუკლავთ, კარგი დრო გაუტარებიათ. ჩემ შეკითხვაზე — „როგორ ექვსმა ქართველმა ერთი ტახი შეჭამეთ"? — „ვერა, ვერ მოვერიეთ და ტურებ დავუტოვეთო" — მიპასუხეს. არ მოვეშვი — სახლში რატომ არ წამოიღეთ-მეთქი? — „არა, ეგეთი წესყე არა გვაქვს, ჩონი ძველები ასე მარტო ვენახში ღამე ჭამდნენო" — მიპასუხეს.

— ბატონო რეზა, ხომ არ დაგავიწყდა, რომ თქვენ მუსულმანები ხართ? — გამომწვევად ვეკითხები ერთ მათგანს. — ალაჰის არ გეშინიათ?

— „ხომ გითხარ, ჩონი ძველების ადათია, ალაჰი კი რაჰიმია (მიმტევებელი)" — ღიმილით მომიგო რეზამ.

ესეც „ტახების ქელეხი", რომელიც ჩვენს წინაპრებს სცოდნიათ და ფერეიდნელ მუსულმან ქართველებსაც კი შემოუნახავთ.

თინა კობალაძე



...ეს ბატონ ლევანი

ცოტა ხნის წინ წავიდა ბატონი ლევან გოთუა ცხოვრებიდან და ჩამოქცეული ციხეების ტკივილიც თან წაიღო. მაინც ბედნიერი ყოფილა იგი, ყველა იმ ჯოჯოხეთის მომსწრე რომ არ შეიქნა, რაც მის შემდეგ მოხდა საქართველოში...

ერთი, განსაკუთრებით დამახასიათებელი თვისება ჰქონდა მას... თუ მის ნაწერებში ქართველი გლეხი მონაწილეობდა (ეს კი ძალიან ხშირად ხდებოდა), რა დიდი ტანჯვის გზებითაც არ უნდა ევლო ამ გლეხს, სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდა... ბოლოს მაინც უნდა გადაერჩინა. ეს შემთხვევით არ ხდებოდა: ეს მთელი მისი შემოქმედებისა და შემოქმედებისაგან განუყოფელი ცხოვრების მთავარი პრინციპი იყო: იდეაც, მიზანიც, სურვილიც...

მახსენდება მისი ბრწყინვალე მოთხრობა „უგზო ქარავანი" — შვილის მაგიერ რომ კვდებოდა მოხუცი ქართველი გლეხი გორგასალი.

— თავი თავია, მით უფრო მამა-შვილისა, სხვას ხომ არ გთხოვ? შეუძლებელსაც არას ვითხოვ, თორემ იქნებ სარდლისა მეთხოვა? (საუბარი გიორგი სააკაძეზეა) ეუბნება იგი ისკანდერ თურქს.

საქართველოს რადიოს ფონდში ამ მოთხრობის რადიოდადგმაც არსებობს. ბატონ ლევანს ეს დადგმა ძალიან მოსწონდა. მახსოვს, პირველი გადაცემის შემდეგ, ბავშვური ცრემლით იტირა. და ჩვენც, რაც იმ დღეს ყველაზე დაუვიწყარ მოგონებად დაგვრჩა, ეს ცრემლები იყო (ჩემთვის კი განსაკუთრებით სასიხარულო, რადგან რადიოდადგმის სცენარი მე გავაკეთე). უზარმაზარი ტკივილია ჩატეული ამ მოთხრობაში. ბატონი ლევანი თვითონაც მუდამ დაატარებდა ამ ტკივილს. ქართულ მიწაზე უმიზეზოდ უბრალო ხეც რომ მოეჭრათ, ესეც აწუხებდა, ესეც სტკიოდა. მისი სადარდელი ის ჩამონგრეული ციხეები და ტაძრები იყო. ყოველ მათგანთან საკუთარი ფეხით იყო მისული, ბევრი შრომაც გასწია მათ გადასარჩენად.

ბევრი რამ მახსენდება მასთან შეხვედრებიდან. ერთხელ ერთ მწერალზე თქვეს — მთაწმინდაზე არ უნდა დაეკრძალათ, დიდი პატივი მიაგესო... ტკივილით აევსო სახე, ზევით აიხედა და თითქმის თვალცრემლიანმა თქვა: — მსუბუქი იყოს მისთვის ის მიწაო.

ბატონი ლევანი...

როგორი დიდი და კეთილი, კეთილშობილური, როგორი კრძალვით სავსე იყო... თვით ბავშვებთანაც კი.

მრავალთა შორის მახსენდება კიდევ ერთი ნაღვლიანი დღე... ეს იყო 1965 წლის 11 აგვისტო... მე გიორგი ლეონიძესთან გამოსათხოვარ გადაცემას ვამზადებდი და ბატონ ლევანს ვთხოვე მასაც მიეღო მასში მონაწილეობა. რასაკვირველია, მაშინვე დამთანხმდა. ბევრი დაუვიწყარი და გულწრფელი სიტყვა ითქვა და დაიწერა იმ მწუხარე დღეებში დიდი პოეტის გარდაცვალების გამო და ამ სიტყვათა შორის ბატონი ლევანის ის სიტყვაც ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი იყო. სამწუხაროდ, იგი არ დაბეჭდილა.

მე მაშინვე ვთხოვე, რომელიმე გაზეთში მიეტანა. მას, რა თქმა უნდა, ყველა სიამოვნებით დაბეჭდავდა, მაგრამ — არავის შემოუთავაზებია და ჩემით მეკრძალვისო — თქვა. გამიკვირდა და დამამახსოვრდა.

მოკრძალებული, კეთილი, ბავშვური სიწმინდით, ქვეყნის საზრუნავით და სინათლით სავსე, — ასეთი დარჩა ბატონი ლევანი მის გარშემო მყოფ ადამიანთა გულებში, რომელთა შორის მეც ვიყავი.

ბევრჯერ მიფიქრია ამ სიტყვაზე. შესაძლოა, მისი ერთი ხელნაწერი მწერლის არქივშიც ინახებოდეს, მაგრამ მე იგი თვით ავტორის ხელმოწერით შემომრჩა.

ვფიქრობ, საინტერესო იქნება ფართო მკითხველმა საზოგადოებამ გიორგი ლეონიძის ასი წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ისევ მოისმინოს და წაიკითხოს ეს სიტყვა.

***

ქართველ მწერალთა კარზე ჩამოირეკა ზარი გლოვისა. ეს დღისა და ღამის ზღვარი კი არ არის, სულისა და ხორცის გაყრაა.

ქართული ლექსი ძაძით შეიმოსა, შავ ჩარჩოში ჩაჯდა ქართული წიგნი.

კვლავ კალმების დახრისა და შემჭიდროების დღეა, შემოქმედ შუბლის შეკვრისა, ისევ ამოუვსებ ხარვეზის შეძლებისდაგვარად თავმობმის ჟამია.

ხშირად იტყვიან ხოლმე, რომ შეუცვლელი პიროვნებანი არ არსებობენ. დიდი მწერლების მიმართ ეს მეტად პირობითია.

გიორგი ლეონიძე დიდი, გამოკვეთილი, ვეება ნიჭისა და თავის სამყაროს მქონე შემოქმედი იყო და ამიერით მას ველარავინ შეცვლის ისე, როგორც არსებითად შეუცვლელნი დარჩნენ ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი.

ისევ უბეს შლის მთაწმინდა. ამ ბოლო დროს მან მეტად დიდი ღალა აიღო, უფრო დიდი, ვიდრე სამშობლოს ერთობლივმა აკვანმა ახალი ფარდი ნიჭი შვა.

გადაიწურა დიდი მგოსნის ხორციელი წუთისოფელი. დადუმდა ლომის ბუბუნი, მისი ჩაბოხებული ხმა, ჟრიამულა ქუჩებში აღარ გაიელვებს მისი ცოტა აჩეჩილი მხრები, მკაფიო და მძლე, თითქოს ბოლნისის ქვიდან მოკვეთილი სახე — სხეული.

ადამიანის გარდაცვალება, საზოგადოებრივად, საზომების გამოცვლასაც ნიშნავს. ერის მეხსიერებაა ყველაზე დიდი სამხილავი და განსაწმენდელი. და მრავალ ამ ქვეყნის დიდს, მხოლოდ სამარის კარამდე მიჰყვა თავისი საქმე და სახელოვნება.

გიორგი ლეონიძე, ერში ლექსად გასული გოგლა, მუდამ სხვა ანდამატიანი შემოქმედი იყო. იგი თითქოს რამდენიმე ნიჭით აღსავსე კაცისაგან იყო შენადუღარი.

. მისთვის გულგრილობა ისევე უჩვეულო იყო, როგორც ნელი სიარული, ან ულექსოდ ნათევი ღამე. მუდამ შემოქმედების ქარბორბალში მშფოთვარე; ყოველი სამშობლოსეული და მწერლური, მისთვის იყო უაღრესად ახლო შემხები და არაფერი ადამიანური არ იყო მისთვის უცხო.

იშვიათად თუ რგებია ვისმეს ბედი მშობლიური ენის ასე გრძნობისა და ფლობისა. ერის ჩანგის მფლობელიც იყო იგი.

ამიტომაც ყოველი მისი ახალი ლექსი, თუ გუნდი ლექსთა, ჯერ ფრთამალ მერცხლად დაივლიდა მთელ საქართველოს, გულში ჩაუბუდდებოდა მრავალ მკითხველს, მერმე სიტყვა — სიტყვად ჩაჯდებოდა წიგნებისა და ლექსიკონების სათანადო ბუდეებში, როგორც ქართული სიტყვის ახალი თარგულ-კაზმული.

გიორგი ლეონიძე, როგორც ლიტერატურული მოვლენა, იმ სამკუთხედის არეშია, რომლის განმსაზღვრელი, ისეთი სხვადასხვა დროისა და ხასიათის მწერლებია, როგორც სულხან-საბა, ბესიკი, ვაჟა-ფშაველა.

იგი საოცრად გრძნობდა საქართველოს ყოველ სულიერ თუ ყოფით გამოვლინებას, აკადემიიდან — მარნებამდე... მის დაუცხრომელ ოცნებაში ერთად თავსდებოდნენ ძველი, დანგრეული ტაძრები, სასახლეები და ახალი ქოხ-სამკითხველოები, ბულდოზერები და ატომური დანადგარები, ალაზნის ჭალები და ივრის არხები, წინანდლის ვარდები და მარტოდ მდგარი ოლეები.

იგი — სულით და ხორცით დიდებული ქართლოსიანი, ჩვენს მქუხარ საუკუნეში, ჩვენს შორის ქარს შერკინებულ ნატვრის ხედ იდგა. ლექსსა და ხატოვან სიტყვას ხმლად იქნევდა, ჯაჭვის პერანგად აცმევდა თავის ერსა და მწერლობას.

„არ დაიდარდოს" გულითა და ღვიძლით წერდა. სხვას ამშვიდებდა, თავად შემხნევებულად დარდობდა და სწორედ გულ-ღვიძლში სწვდა მსახვრალი ხელი.

ლეონიძე ორმაგ გზაჯვარედინზე იდგა და ბევრ რასმე აკავშირებდა. იგი ამჟამად, ჩვენ მგოსანთაგან ყველაზე უფრო დიდი, ცოცხალი ხიდი იყო ძველსა და ახალ თაობათა შორის. მან დახურა ვაჟასეული ფრთა საუკუნის მიჯნიდან მადლიანად გამოწვდენილი.

... ლეონიძე ყველაზე უფრო მორჭმული და ფესვგადგმული, ხალხურ საწყისებნაწოვარი მგოსანი იყო... ლექსად მოსული ქართული მიწა, თავისი მთებით, ველებით, ზეცითა და მიწად ქცეული წინაპრებით... ჩამოხვეწილი, ჩუქურთმიანი, მზენასვამი შემოქმედებით. ამიტომ ახლავს მის ყოველ ლექსს ბუნებრივი სურნელი დაღვრილ ხსენისა, ხან დასეტყვილი ვაზის მტევნისა, ხან ახალგალეწილი ხორბლისა, ხან ცხელ თონიდან ამოყრილ დედას პურისა.

კეთილ წიგნს დაობლება არ უწერია. დამწერის შემდეგ მთელი ერი ხდება მისი მიმრქმელი. ამიერით ახალქართულ მწიგნობრობის თითქმის ყოველ დარგში მარად დარჩება ლეონიძური კალმის და

სულის მადლიანი მონაქნიერი. მისი წიგნები და ლექსები ჩვენ შორის ისევ ივლიან, როგორც მომავალში გატყორცნილი თანამგზავრები.

კიდევ ერთი მთაწმინდელის დასვენებით ამაღლდება უკვდავების წიგნად გადაშლილი მთა. უფრო გულმხურვალედ გადმოადგება ტფილისს. ჩვენც უფრო გულისხმიერ აღტაცებით აღვაპყრობთ მზერას... დიახ, „ვეფხისტყაოსნის" შემდეგ უდიდესი ჩვენი ერთობლივი რწმენისა და სიყვარულის „წიგნი" ხომ მთაწმინდა არის... ვაგლახ, რომ იგივე მრავალ განუხორციელებელ ოცნებათა და მწერლურ ზრახვათა დუმილთ სავანეა.

ჩვენი გულები შევამჭიდროვოთ, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს კალმებს, ფიქრებს, დარდებს... სადღეისო და სახვალიო საქმიანობას. ვიმოქმედოთ, ვისწავლოთ, ვიმუშაოთ, ვწეროთ წიგნები ჩვენი ერისა და მთაწმინდის შესაფერისი. ეს იქნება ჩვენი ნუგეში. თუ კალამი კალმობს, იგი ერის სულის საზომი და თერმომეტრია. ეს თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, ერთხელ კიდევ ნათელჰყო მთაზე წასულმა გიორგი ლეონიძემ — აწ მთაწმინდელმა.

***

ამ სიტყვის ჩანაწერი ისე, როგორც მწერლის სხვა მრავალი სიტყვისა, საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდში" ინახება. აქვეა მისი რამდენიმე მოგონება — და ყოველივე ეს ინახავს მისი სიცოცხლის ერთ ნაწილს — ხმას.

მისი მრავალნატანჯი სხეული კი არმაზის მიწაში განისვენებს... მხოლოდ მისი სულია უკვდავი... იგი მუდამ ჩვენ შორისაა ისევე, როგორც ჩვენ შორისაა სული დიდი გიორგი ლეონიძისა.

ნათელი ადგეს მათ.

გიორგი ლეონიძე

სიმღერა პირველი თოვლისა

ეს თოვლია, თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ,
ეხურათ ხავერდები...

ჩქარა,
მინდა ვუყელო,
მესმის მათი თქერანი...
სავსე თოფი მომეცით
და ცხენი ნაქერალი!

ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

წასულა და წასულა,
ნეტავ საით წასულან
ის პატარა სიზმრები?
სიჭაბუკის დღეები
შორიდან მომბღავიან,
როგორც მთიდან ირმები!

***

ვაი, შენ ჩემო თეთრო მტრედო,
გულო ჩემო კრიალა,
საყალმახე წყალივით
ლექსი ვერ ვაწკრიალე,
და როგორც
ციცნათელა
აბედს არ ეკიდება,
სიჭაბუკის გარეშე
ლექსს ვინ მისცა დიდება?

***

—ეს ცრემლია, თუ გულმა
დასძრა ლექსის მტრედები?—
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ
და ჰქონდათ იმედები...

— ეს ლექსია, თუ მღერის
გავლილ დღეთა კრებული?
გულია თუ მინდორი
დილას მოფუტკრებული?
— არა!
ეს თოვლი არი
ვარსკვლავების ქაფითა.
არა, ეს მტრედებია
მიმინომ დააფეთა!

ჩქარა!
მინდა ვუყელო,
თოფი ვტყორცნო ხმიანი,
ჩქარა, ზარით მარხილი
ოქროს ჩარდახიანი!
ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გაჩტოპა,
ჩქარა!
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა

1926

„ამოანათებს მზე პონტოსი“

ლია ჭავჭავაძე

ბარტყის ამოფრენა პონტოდან

ამ ლექსს ვუძღვნი პაწაწინა ნინველს –
სულს საკვირველს, სამოთხისა ფრინველს –
მშვენიერ ბარტყს სამოთხისა ჩიტის,
სიხარულს – დარდს წუთისოფლის დიდის,
სამოთხის ბარტყს, სამოთხისა ფრინველს,
შენს საყვარელ პაწაწინა ნინველს.

ბნელში გაიშრიალებს იანვრის კამელია

აყრილია რელსები და ბალახი ბიბინებს,
ახლა ქალაქი-წვიმა მინაზდება, იძინებს,
აწ აღარ მოაკივლებს ბათუმს მატარებელი,
რჩება მხოლოდ სიზმარი – ჩუმი ნეტარებაა,
და თოვაში გაისმის, ვითა წმინდა დარები,
ღვთისმშობლის, ნიკოლოზის და ბარბალეს ზარები.
კამელია იანვრის ბნელში გაიშრიალებს
და წითელი ყვავილი გამიყუჩებს იარებს,-
ბნელში გაიშრიალებს იანვრის კამელია,
ვხედავ ძვირფას სახეებს, თბილისში რომ მელიან.
თოვს იანვრის ბათუმში, ათოვს, ათოვს ბალახებს,
კამელიის ყვავილებს, პონტოს მწვანე სანახებს,
ჩემს მწუხარე ფიქრებში კამელია შრიალებს
და წითელი ყვავილი გამიყუჩებს იარებს,
თოვს იანვრის ბათუმში, თოვლსაც უყვარს
სტუმარი,
ათოვს სიზმრებს მდუმარედ, ათოვს ჩემს გულს
მჩუმარეს,
ნეტავ რატომ შემოვრჩი ამ ქალაქში ამდენ ხანს,
მე ვერ მიხსნის შელოცვაც, უნდა შევხვდე ამდენ
ხალხს,
ალბათ, მიტომ ინება ასე უზენაესმა,
სურდა, რაღაც გამეგო, რაც გულს ახლა ჩაესმა,
ალბათ მიტომ დამბორკა ხერხით ასე ნაცადით,
რომ გამეგო ამ ქვეყნად მონატრებად რაცა ღირს.

ვანგა

როგორ მინდოდა მეხილა ვანგა,
ცაში წავიდა და დამეკარგა,
წავიდა იგი და ველარ ვიგრძენ,
მიუწვდომელი იმისი სიბრძნე,
მისი უჩინო თვალების ჩინი,
წუთისოფელი რომ უწნდა ჩირად.
ოჰ, შემხებოდა ნეტავი ხელით,
სხივიან შუბლზე და ეგრძნო ხელი
გრძნობის ალმური, ალმური მწველი
– ეს ძველთაძველი ალმური მკვლელი,
იქნებ რაც ჰქონდა მარადის ჩვევად,
მოეცა ჩემთვის ძვირფასი რჩევა,
ოჰ, უცნაური ეს ჩემი ბედი
მიმზერს ტიბეტი და აბუქეთი,
როგორ მინდოდა, როგორ მეწადა,
რომ ბედი ჩემი გამოეცადა,

როგორ მინდოდა მეხილა ვანგა,
ის კი წავიდა და დამეკარგა.

თაბაშირიანს ზღვა ენატრება ბათუმში

მარტი ქრის,
ზღვა მენატრება,
მარტია და მემატება
სევდა, სევდაზე მეტი,
მარტი ქრის,
რა მემართება,
თოვს და წვიმს,
რა მემარტება
ჩემი პირქუში ბედით.
თოვს და წვიმს,
რა მემართება,
აღარც სხივს,
აღარც ნათებას
ვეჭვრეტ შუქურისა ერთის,
მარტი ქრის,
ისევ მარტო ვარ
და ისევ ზღვა მენატრება,
ისევ ვლოცულობ შენთვის,
მარტი ქრის,
ჭერმის ხესავით,
ყვავილი დამემართება,
სხვა რა იქნება მეტი...

***

ქონდარეთელი ქონდრისკაცი ქონდარს აქებდეს,
ეგაა განა საკვირველი?
არა,
სხვა უფრო –
შეხედე, ღმერთი გასულია ახლა აქედან –
ხედავ თეთრ ყორანს? თოვლსა შავსა
და პოეტს უფრთოს.

საგალობელი შემოდგომის სამშობლოს

მარანიონი, ღრუბლიონი, ცა – საყდრიონი,
მთვრალია, მთვრალი ოქტომბერი და ალიონი.

სამშობლოს სურნელს, ლეგი, მითხარ, რა
შეედრება,
ლალსა და ქარვას, ჩამოღვენთილს მთრთოლვარ
გულში,
მთებო, ჩამოწითლებულნო კოწახურით,
თრიმლით,
კოცონებად ანთებულნო შემოდგომის ჰიმნით,

ტაძართა შუქი გვეფინება გრძნეულ მთებიდან
ნათელი მოგვდგამს ოდიდგან და დაბადებიდან,

ო, მშობლიურო, შენს ძარღვებში ვაზი
მღელვარებს,
არსად იქნება შემოდგომა ასე ელვარე.

ვიგრძენი შენი უცხო ბრწყინვა, შენი
სურნელი
და რაღაც კიდევ ზეციური, განუკურნელი.

არა კაკუტი, ო, არა, არა,
არამედ შენი უღელი მხოლოდ,
მხოლოდდამხოლოდ შენი უღელი
ედგმევა ქართველს უკუნისამდე.

სერაპიონი – არავინ

ვინ ხარხარებს ხარხარით შემზარავით?
ბნელ ღამეში მიფრატუნობს არავინ.

ისმის წვიმა და ყმუილი ძაღლისა,
მოჩანს ლანდი, მონანავე, ბალღისა.

მღვრიე ტვინში ტორტმანებენ სახენი,
ო, რამდენი, ო, რამდენი სახელი,
ვით შეპბედოს, თვალებში ვით უყუროს,
ოჰ, რამდენი გაუწირავს უგულოს.

რამდენს მწყაზარს იმეტებდა ფერ-იერს,
რამდენ სულით ქათქათას და მშვენიერს.

სხივი სძულდა და წყვდიადისფერიანს
არაერთი ჩაუქვრია კერია.

ისმის წვიმა და ყმუილი ძაღლისა,
მოჩანს ლანდი, მონანავე, ბალღისა.

მღვრიე ტვინში რიალებენ ფიქრები –
არ ყოფილხარ, არ ხარ და არც იქნები.

დაშვებია ბაგე შავი ეშვივით,
საით მიდის უბედური შეშლილი.

საით, რომელ მოუსავლეთ მხარეში?
არსაიდან, არსაითკენ, არეთში.

ეს არ არის წიხლი ბედის ნაკრავი –
სამუდამოდ წაშლილია გზა-კვალი;

შვილს ეწვია სიკვდილი უეცარი,
(უგულოსი ძებნა გულის ფიცარი),

მოეჩვია, ამ კაცისთვის მალია,
შვილიშვილიც გაქრა, სული დალია.

დამეხილა ნათლისა უმეცარი,
შვილთაშვილიც – ფრთაგაშლილი მერცხალი.

გაქრა ისიც, გაქრა გულდამმდუღვრელი,
ის კისკისა შვილს გადაჰყვა წუხელის.

ბავშვი? ბავშვი თუ გადარჩა ასულის?
– ორთავენი დახოცილან, წასულან.

იქ მოეშვა სატანასთან შეკრული,
წუხელისვე ახარხარდა ბედკრული.

იქ აღმოხდა კვნესა გულისმიერი,
დარჩა ღამე და შეშლილი იერი.

ბნელ ღამეში დალეწილან ფიქრები
– არ ყოფილხარ, არც ხარ და არც იქნები.

და სიჩუმე ყვირის გულშემზარავი:
– არსაიდან, არსაითკენ, არავინ.

ნუნუ მაღრაძე

აბა, მე დღეს ვის რა ვარგე...

● უპირველესი „სავიზიტო ბარათი", რამაც საშუალება მოგვცა მხატვარი მურმან გელენიძე „დროშის" მკითხველისთვის უფრო ახლოდან გაგვეცნო, ჩვენი ჟურნალის უცვლელი შემოქმედების – სახალხო მხატვრების, ქალბატონ დინარა ნოდიასა და ბატონ თენგიზ სამსონაძის მიერ მისი წარდგენა გახლდათ.

ეს კი თავისთავად ბევრის მმანიშნებელია. უკვე იმთავითვე ვიცოდით, რომ მათ კარგი მხატვარი და კარგი პიროვნება გაგვაცნეს.

გაგვაცნეს უფრო ახლოდან, უფრო სრულყოფილად, მთელი თავისი შემოქმედებით, ადამიანური ღირსებებით.

შორიდან კი ადრეც ვიცნობდით, თუმცა ეს, ალბათ, მაინც ზედაპირული ნაცნობობა იყო.



იბადება კითხვა: რა არის შემოქმედისთვის ყველაზე ღირებული და ნიშანდობლივი?

გზა, რომელიც მან უკვე განვლო და კვალი, რომელიც მან უნდა გაავლოს.

ეს გზა-კვალი კი ხონის რაიონის ულამაზესი სოფლის, გორდის წიაღიდან, მისი ორღობეებიდან მოდის, მისი მადლითაა ცხებული, მისი წინაპრების, უბრალო, მშრომელი ადამიანების სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობითაა ნასაზრდოები.

და მაინც, მურმან გელენიძის შემოქმედების საწყისი მარცვალი დედის – შურა კირთაძის გენეტიკურ ფაქტორში უნდა ვეძიოთ.

თავად დედისერთა ქალმა სწორედ ხალხურ შემოქმედებასთან შესისხლხორცებითა და წილნაყარობით შეძლო გაეზარდა და სწორ გზაზე დაეყენებინა ცხრა ქალ-ვაჟი.

წიგნიერ განათლებას მოწყურებული ხატვით, ქარგვით, ქსოვით, კერვითა და სხვა ათასგვარი საოჯახო საქმიანობით ივსებდა და იმდიდრებდა სულიერ საზრდოს.

შვილებიდან ყველაზე მეტად მურმანს გამოჰყვა დედის გენები. ჯერ სულ პატარამ ზეპირად ისწავლა ქართული შრიფტი;

ხუთი-ექვსი წლისა კენჭით ხატავდა ქვაზე და თუ არა ბავშვური ასაკი, მაშინ, ალბათ, ერთგვარ გამბედაობადაც ჩაითვლებოდა მის მიერ ქვაზე დახატული სტალინის პორტრეტი.

სკოლის ასაკიდან უკვე „აქტიურ მხატვრად" ითვლებოდა.

მერვეკლასელი ბავშვთა რესპუბლიკურ გამოფენაზე გრაფიკულად შესრულებული ლომონოსოვის პორტრეტით წარსდგა.

ეს მისი პირველი წარმატება იყო.

თუმცა, პირველი მარცხიც მალე იწვნია.

ახლად სკოლადამთავრებულ და სწავლის გასაგრძელებლად დედასთან ერთად სოფლიდან ჩამოსულ ყმაწვილს, სამხატვრო აკადემიისაკენ მიმავალი გზა გადაკეტილი დაუხვდა. მიზეზი მისაღები გამოცდების ციებ-ცხელება იყო, რომელსაც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, უკვე ჩაევლო.

სწორედ ამ „მარცხმა" განსაზღვრა მისი მომავალი ბედი.

ჩაირიცხა მოსამზადებელ კურსებზე, რომლის გარეშეც, როგორც შემდეგ განჭვრეტს მომავალი მხატვარი, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა იმ დიდი საწადელის ასრულება, რასაც სამხატვრო აკადემიის სტუდენტობა ჰქვია.

აქედან იწყება მისი, როგორც შემოქმედის, ფართო ასპარეზი.

ბატონ თენგიზ სამსონაძის სიტყვები მაგონდება: – მხატვარზე ცოტა უნდა წერო, ბევრი მისი შემოქმედებიდან უნდა ამოიკითხოო. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა შემოქმედის ცხოვრებაში არის ალბათ, რამდენიმე გამორჩეული თარიღი თუ მომენტი, რომლის არდაწერა შეუძლებელია.

ასეთი საგულისხმო შტრიხები მურმან გელენიძის მიერ განვლილ გზასაც უხვად ახლავს:

1963 წელი, როცა ის სამხატვრო აკადემიის ქსოვილების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

როცა მესამე კურსის სტუდენტი გალერეის საგამოფენო დარბაზში პროფესიონალ მხატვრებს შორის „ბაბუის პორტრეტით" შეიპარება და სერიოზულ წარმატებას აღწევს..

როცა სტუდენტთა კონკურსზე წარდგენილი მეგობრული შარჟით – „ჩემი საუკეთესო მეგობარი", – აკადემიის რექტორი, აკადემიკოსი აპოლონ ქუთათელაძე პირველი პრემიითა და ფასიანი საჩუქრით აჯილდოებს.

როდესაც ტელევიზიაში რესპუბლიკის მოწინავე ახალგაზრდების საახალწლო შეხვედრაზე მიიწვევენ, როგორც საუკეთესო კარიკატურისტს (იქვე, იმ შეხვედრაზე შესრულებულ კარიკატურებს ტელევიზიით უჩვენებენ).

როცა მეოთხე კურსის სტუდენტი დიდი ხნის ოცნებას აიხდენს და კათედრის გამგის, ვლადიმერ კეშელავას შუამდგომლობითა და კათედრის სხდომის გადაწყვეტილებით გრაფიკის ფაკულტეტზე გადაიყვანენ (სტუდენტობის დროს მოიხდის სამხედრო სავალდებულო სამსახურსაც).

როცა აკადემიის დამთავრების შემდეგ თავის ბედს ერთის ნახვით შეყვარებულ მომხიბვლელ ქალიშვილს, მარინე ქაროსანიძეს დაუკავშირებს და მოსიყვარულე წყვილი ქვეყნად ორ ვაჟიშვილს მოავლენს.

1978 წელი, როცა მურმან გელენიძის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყობა. შეუძლოდ მყოფი ლადო გუდიაშვილი ვერ შეძლებს გამოფენის გახსნაზე მოსვლას და ვრცელ ტელეგრამას აგზავნის, სადაც მურმან გელენიძის შემოქმედების გულთბილი შეფასება და კეთილი სურვილებია გამოთქმული. მეორე დღეს კი მადლობის სათქმელად მისულ უმცროს კოლეგას დიდი მხატვარი ოთხ წითელ და ერთ თეთრ მიხაკს უსახსოვრებს. მურმანი კი ამ საჩუქარს მადლიერების ნიშნად „ძეგლს" აუგებს.

21.760



ᲔᲗᲠᲔᲘᲜ ᲕᲔᲚᲔᲜᲘᲫᲔ







,,ყვავილები ლადო გუდიაშვილისაგან'' – ასე ჰქვია ზეთის საღებავებში შესრულებულ ფერწერულ ნამუშევარს, რომელსაც მხატვრის კოლექციაში გამორჩეული და საპატიო ადგილი უჭირავს.

სამ პერსონალურ და ორ ათეულამდე რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო გამოფენებში წარმატებით მონაწილეობა, ვფიქრობთ, ჯერ მხოლოდ შუა ასაკს მიტანებული შემოქმედისთვის, არცთუ მცირე ნუსხაა.

მესამე პერსონალურ გამოფენას გასულ წელს მისმა მშობლიურმა აკადემიამ უმასპინძლა. პროფესიონალების სამსჯავროზე გამოტანილმა მხატვრის ადრინდელმა და ახალმა ნამუშევრებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ამის დასტურად საკმარისია, რამდენიმე ამონარიდი მოვიშველიოთ შთაბეჭდილებათა წიგნიდან:

,,ძალიან მომწონს ორგანიზებული ადამიანები, როგორც ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში. პერსონალური გამოფენა, რომელიც გაიხსნა სამხატვრო აკადემიაში, მურმან გელენიძის დახასიათებისათვის საუკეთესო მაგალითია''

თსს აკადემიის რექტორი, პროფესორი სოსო ქოიავა

,,...დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შენმა შემოქმედებითმა გამოფენამ. განსაკუთრებით მომეწონა: ,,შატილის გრაფიკული სერიები'', ,,საქორწილო სამზადისი'', ,,ზამთარი იმერეთში'', შესანიშნავი პორტრეტები: ,,გიორგი ბაბუა'', ,,მოხუცის პორტრეტი'', ,,დის პორტრეტი''. ბრწყინვალეა შრიფტის მრავლად წარმოდგენილი ვარიანტები''...

არქიტექტურის კათედრა, პროფესორი კიაზო ნახუცრიშვილი.

,,პერსონალური გამოფენა მხატვრის გაცნობა ან ხელახალი გაცნობაა. რაც ვნახე, ის ბევრად აღმატებული აღმოჩნდა იმაზე, რაც ვიცოდი. თქვენი შემოქმედება – სიყვარულით სავსე შემოქმედებაა და მას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. მადლიანი ხელისა და ანთებული გულის კაცი ბრძანდებით, ბატონო მურმან''.

სიყვარულითა და პატივისცემით ინტერიერის კათედრის უფროსი, პროფესორი საშა ბაქრაძე.

,,ბრძენნი ამბობენ, რომ სიცოცხლის არსს ადამიანის თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლა წარმოადგენს. თქვენ ამ ბრძოლაში გაიმარჯვეთ – ამის დასტურია ეს გამოფენა, რომელიც მურმან გელენიძის პიროვნული და შემოქმედებითი ,,მეს'' მრავალმხრივ და მრავალწახნაგობრივ წარმოჩენას ემსახურება. მუდამ გამარჯვებული ყოფილიყავით!

თსსა პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი ეთერ შავგულიძე.

სათქმელი თითქმის ითქვა. ითქვა მაღალპროფესიონალი და კომპეტენტური ადამიანების ხედვითა და თვალსაწიერით.

ძნელია, რაიმე ახლის თქმა, თუმცა ერთს მაინც დავძენ: ვერასოდეს გახდები ხალხის საყვარელი მხატვარი და შემოქმედი, თუ მხოლოდ ფუნჯს, საჭრეთელს, ფანქარსა და ყალამს ვერ გაცდი. ხელოვანი ჭეშმარიტი მაშინაა, თუ მისი ურთიერთობა ხალხთან, საზოგადოებასთან, უბრალო მშრომელ ადამიანებთან თანაბრადაა შერწყმული მის შემოქმედებით საქმიანობასთან. ამიტომაცაა მურმან გელენიძის იდუმალ ფერებად ქცეული ნამუშევრების გალერეა მნახველისათვის ასე ნაცნობი და მშობლიური.

განსაკუთრებით იტაცებს პორტრეტული ჟანრი და სხვადასხვა წლებში შექმნილი აქვს პორტრეტთა სერიები. პერსონაჟები უბრალო, მშრომელი ადამიანებია ყოველდღიური ყოფითა და ცხოვრებით. ,,გიორგი და ნოე ბობოხიძეების'', ,,ლეჩხუმელი გლეხის'', ,,დის პორტრეტი'' ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშებია.

მათი ხილვისას საოცარი განცდა გეუფლება: სურათი თითქოს ადამიანური შეგრძნებით სუნთქავს. სიყვარულითა და სითბოთი დამუხტული ემოციური ნაკადი შენსკენ მოედინება და მნახველის სულიერ სამყაროს ერწყმის. ალბათ, ეს არის ნამდვილი, რეალისტური ხელოვნება.

მიუხედავად გრაფიკის გამორჩეული სიყვარულისა, არც ფერწერა, აკვარელი, ჭედურობა და ქანდაკებაა მხატვრისათვის უცხო.

მურმან გელენიძე ძალიან სერიოზულად და აქტიურად მუშაობს ქართული შრიფტის მოდელირებაზე. ამ მხრივ იგი ქართული აკადემიური შრიფტის მამამთავრის ლადო გრიგოლიას ღირსეულ მოწაფედ და მისი საქმის გამგრძელებლად ითვლება.

არანაკლებ საინტერესოა მხატვრის სამსახურებრივი ,,იერარქიის'' ნუსხაც. რა სახის ჩანაწერებს არ ამოიკითხავთ მის შრომით ბიოგრაფიაში.

გორდის კოლმეურნეობის მუშა; თბილისის ტყავსაგალანტერეო ფაბრიკის მუშა; სხვადასხვა გამომცემლობები, სადაც მრავალი საინტერესო წიგნი, ბუკლეტი და პლაკატი აქვს მაღალმხატვრულად გაფორმებული.

1975-92 წლებში მუშაობს ცეკავშირის ცენტრალურ აპარატში უფროს ინსტრუქტორად და მთავარ სპეციალისტად.

1980 წლიდან კი თსს აკადემიის პედაგოგია. მხაზველობითი გეომეტრიისა და კომპიუტერული გრაფიკის კათედრის დოცენტი ლექციებს კითხულობს მხაზველობით გეომეტრიასა და ქართული აკადემიური და მხატვრული შრიფტის დისციპლინაში.

ამჟამად, პარალელურად პრეზიდენტის გამგებლობაში არსებული ოფიციალურ გამოცემათა სამსახურის მთავარი მხატვარია.

არის რამდენიმე წიგნის ავტორი. გამოსაცემად ამზადებს ახალ წიგნს, რომელიც მთლიანად ქართულ აკადემიურ შრიფტსა და მის მოდელირებას ეძღვნება და გამიზნულია როგორც აკადემიის სტუდენტებისათვის, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

დინჯი, დაფიქრებული, მიზანმიმართული, ზნეობრივად სუფთა პიროვნება და ჭეშმარიტი ხელოვანი – ასეთად იცნობენ მურმან გელენიძეს კოლეგები და ახლობლები.

მისი ცხოვრებისეული კრედო ხალხის, საქართველოს სიყვარული და სარწმუნოებაა, დევიზი კი – ,,ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე''.

თიბანეთის
ტკივილი და იმედები

აბა, სოფელზე უკეთ ვინ უწყის თანასოფლელის ავან-ჩავანი?

აქ დაბადებულ კაცზე, მათ თვალწინ გაზრდილ—დავაჟკაცებულზე, მართალ სიტყვას მათზე უკეთ ვინ გეტყვის?

ჯერ კიდევ სკოლაში იჩენდა თავს ეს ყმაწვილი მუყაითობით, ნიჭიერი იყო და საქმის შემსრულებელი.

ილია არჩემაშვილმა მირზა გელოვანის სახელობის პირველი საშუალო სკოლა დამთავრა, მერე სწავლა ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა, მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. სწავლობდა და მუშაობდა. მუშაობდა მაუდ-კამოლის ფაბრიკაში. სწავლის პერიოდში გაიარა სხვადასხვა სამსახურებრივი იერარქია. გახლდათ მშობლიური თიანეთის კომკავშირის მეორე მდივანი. 1991-1994 წლებში იგი ფირმა „აონს" ხელმძღვანელობდა. ამ ახალგაზრდას ბევრი განსაცდელი გადახდა. მშობლები ადრე გამოეცალნენ. ორი ძმა ტრაგიკულად დაეღუპა. იგი ვაჟკაცურად გაუმკლავდა თავს დამტყდარ რისხვას, ოჯახს მოეკიდა. გვერდში ღირსეული ქალი ამოიყენა (მეუღლე პროფესიით ექიმია). მათ ეზოში ჯერჯერობით ერთი ბიჭი დანავარდობს. უთუოდ ილია ერთ ბიჭს არ დასჯერდება — ამბობენ თიანეთელები — ღმერთმა ამრავლოს! სიხარულით ცას ეწივნენ რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ ილია არჩემაშვილი რომ დაასახელეს და აკი ერთხმად აირჩიეს კიდეც.

მოდით, თავად მას გავესაუბროთ.

— ბატონო ილია, როგორც ცნობილია, თქვენ სულ რამდენიმე თვეა ხელმძღვანელობთ თიანეთის საკრებულოს. ამ ხნის მანძილზე თუ გაკეთებულა რაიონისთვის აუცილებელი სამომავლო საქმეები?

— ძალიან ძნელია ლაპარაკი რაიმე სიახლეებზე დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, მე ვგულისხმობ ეკონომიკურ სიძნელეებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვცდილობთ, საქმე წინ წავწიოთ. ამ მოკლე დროში შევძელით რაიონის მოსახლეობის უზრუნველყოფა წყალმომარაგების სისტემით, ეს ომამდე გაკეთებული სისტემაა. ასევე მიმდინარეობს საგზაო მშენებლობა, მოსახლეობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, გავაფართოვეთ და წესრიგში მოვიყვანეთ მუზეუმი, რომელიც აქამდე ერთ ოთახში იყო მოთავსებული. დავაარსეთ ასევე ახალგაზრდობის შეკრების სახლი, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა იყრის თავს და მიმდინარეობს ერთმანეთში აზრთა გაზიარება. დიდი ხნის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა თიანეთის რაიონის ვაჟაფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (კუჟბაღი), რომელიც ამჟამად მუშაობს და ახალგაზრდობა, ასევე რაიონის სტუმრები, ისვენებენ, იმართება სპორტული შეჯიბრებები ისეთ სახეობებში, როგორიცაა: მინიფეხბურთი, ჭადრაკი და სხვადასხვა მხიარული თამაშობები, ასევე პარკს აქვს საცურაო აუზი და ა. შ.

— ბატონო ილია, ვერ გვეტყვით, რა სიახლეებია კულტურის დარგში?

— ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. რაიონში 300 ერთეულით შემცირდა სამუშაო შტატები, რომელიც ფაქტობრივად არ ფინანსდებოდა. როდესაც თანხა გაქვს, ყველაფერს ააღორძინებ, ეს ენთუზიაზმის დონეზე შეუძლებელია. რაც მთავარია, ვუვლით იმას, რაც ჩვენმა წინაპრებმა შეგვინარჩუნეს და ჩვენამდე მოიტანეს. თიანეთის რაიონში მიმდინარეობს მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობა, რომელიც რაიონის ცენტრში იგება. ამ ეკლესიის პროექტი 1998 წელს საკრებულოში შეიქმნა, აქვე დაარსდა ეკლესიის მშენებლობის ფონდი, რომელიც ძირითადად შემოწირულობების ხარჯზეა. რაღა თქმა უნდა, გვეხმარება საპატრიარქო, ასევე დაგვეხმარა წილკნის ეკლესია, კერძო ფირმები, გვაქვს სხვადასხვა სახის დახმარებები, ამაში მთავარი ჩვენი მონდომებაა, მოსახლეობის მხარდაჭერაც იგრძნობა. უკანასკნელი 80 წლის განმავლობაში რაიონში წირვა-ლოცვა არ აღვლენილა. ერთი სიტყვით, ღმერთი თვითონ აშენებს თავის საყდარს. ნახევარწლიანი შედეგების მიხედვით, საქმე კეთდება და რაიდენი წინ მიდის!

— ბატონო ილია, რა მდგომარეობაა ჯანდაცვისა და განათლების დარგში, იღებენ თუ არა პედაგოგები ხელფასებს?

— როგორც ყველგან, ჯანდაცვის სფეროში, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში, მძიმე მდგომარეობაა, ეს იმიტომ, რომ ის თვითონ ფინანსდება პაციენტებისაგან შესული თანხებით. ჩვენი მოსახლეობა არ არის გადახდისუნარიანი, ტარიფები ძალიან მაღალია, მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ახერხებს პოლისებით მკურნალობას, მაგალითად, ექიმმა თავისი ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე შეიძლება გარკვეული პერიოდი უფასოდ უმკურნალოს პაციენტს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ის ბოლომდე ვერ შეძლებს ამას. რაც შეეხება ჩვენს დახმარებას, ეს არის რეზერვების გამოყენება კანონით მინიჭებული უფლებებით, რომ წამალი მაინც შევიტანოთ ჩვენს საავადმყოფოში, ბავშვებს ხომ მაინც უნდა ვუმკურნალოთ. ბავშვებისათვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, — გულისტკივილით აღნიშნავს ბატონი ილია.

რაც შეეხება განათლებას, აქ შედარებით უკეთესობაა, ვინაიდან პედაგოგები დროულად იღებენ ხელფასებს, ხანდახან ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც. ზაფხულობით სკოლებსა და ბაგა-ბაღებს კაპიტალურად ვარემონტებთ, ზამთრის პერიოდში ვამარაგებთ როგორც დიზელის საწვავით, ასევე შეშით. სკოლებისა და ბაგა-ბაღების შენობების რეკონსტრუქციისა და გამაგრების საკითხი უმთავრესია ჩვენს საქმიანობაში.

— პენსიებითაც დროულად უზრუნველყოფთ თქვენს პენსიონერებს?

— აქ ცოტა სხვაგვარად არის საქმე, ჩვენთვის ეს ძალიან მტკივნეულია, გვიანდება პენსიები, მაგრამ ეს ჩვენი მიზეზით არ ხდება.

— რა გეგმები გაქვთ ახლო მომავალში და რას პირდებით მოსახლეობას?

— პირველ რიგში უნდა შემუშავდეს ტურიზმისა და დასვენების პერსპექტივა, თიანეთის რაიონი არის ერთ-ერთი კუთხე — ბარის მოსახლეობისათვის ზაფხულის თავშესაფარი. მოსახლეობა შრომისმოყვარეა, რომ დაფინანსდეს, ყველაფერი აღორძინდება, სოფლის მეურნეობაც და ფერმერული მეურნეობაც. ჩვენ კი ჩვენი მხრიდან ძალ-ღონეს არ დავიშურებთ თიანეთის კეთილდღეობისა და მშრომელთა უკეთესი მომავლისათვის.

— გისურვებთ წარმატებებს. გმადლობთ.

ესაუბრა ჟურნალ „დროშის" საკუთარი კორესპონდენტი

ზვიად ზაქაიძე

სიყვარულის ოსტატი

წიგნი ეძღვნება მამას

• თითქმის თორმეტი წელია მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა სიცილის ოსტატი იპოლიტე ხვიჩია. წლები გადიან... იგი მაინც ჩვენთან რჩება, მისი გამოჩენა ეკრანზე ყოველთვის ღიმილს იწვევს მაყურებლის სახეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლავ ცოცხლობენ მსახიობის გმირები და დღესაც ანიჭებენ სიხარულს ათასობით მისი ნიჭის თაყვანისმცემელთ... ამიტომაც გადავწყვიტეთ სიცილის დიდოსტატი კვლავ შეგვეხვედრებინა საყვარელ მაყურებელთან.

შევხვდით იპოლიტე ხვიჩიას ქალიშვილს, ქალბატონ ნუნუ ხვიჩიას და ვთხოვეთ ესაუბრა მსახიობის „სამზარეულოზე", ანუ იმ უცნაურობებსა და კურიოზებზე, რომლებითაც სავსე იყო ამ დაუდგრომელი კაცის ცხოვრება.

— ქალბატონო ნუნუ, იქნებ მოიგონოთ, ბატონი იპოლიტე სიცილზე რა აზრისა ბრძანდებოდა?

— სიცილზე მისეული, განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. სიცილი მალამოა, სიცილი უპირველეს ყოვლისა, ამშვიდებს ნერვებს, იგი სხეულის თითოეულ ნაწილს იპყრობს,შვებას ჰგვრის და რაც მთავარია, ადამიანს დიდ სიამოვნებას ანიჭებსო, — იტყოდა ხოლმე.

— ბატონ იპოლიტეს შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ ზოგისთვის არაა ცნობილი, რა სპეციალობისა იყო იგი?

— სპეციალური თეატრალური განათლება მამას არ ჰქონია... ახალგაზრდობაში სად არ უმუშავია: ხე-ტყეს ჭრიდა ხაიშში, ლახამულაში, ჭუბერში და აცურებდა ენგურზე, შემდეგ სოხუმში მუშაობდა პურის მცხობელად და მეთულუხჩედ (შემდგომში მეთულუხჩის როლი შეასრულა კინოფილმში „კეცხოველი", ხოლო ხეტყის მუშაობის გამოცდილება კარგად გამოიყენა კინოფილმში „განგაში"). ბოლოს გადაუწყვეტია, ჩაებარებინა თბილისის სამრეწველო ეკონომიკურ ტექნიკუმში. ასე გახდა მგეგმავი ეკონომისტი... „საქეიფო ეკონომიური" მაქვს დამთავრებულიო, იტყოდა ხოლმე ხუმრობით...

— რამდენადაც ვიცი,ბატონი იპოლიტე გადაღებაზე მთელი ჯალაბობით დადიოდა, იქნება რაიმე შემთხვევა გაიხსენოთ?

— მართალი ბრძანდებით, თითქმის ყველა გადაღებაზე ვახლდი მამას. მახსოვს, კინორეჟისორ ნანა მჭედლიძის ფილმის „პირველი მერცხალის" ნატურაზე გადაღებები ფოთში მიმდინარეობდა. გადამღები ჯგუფი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ხალხი იყო საჭირო მასობრივი სცენისათვის. ჯგუფმა განცხადება გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, არავინ გამოცხადებულა. ვის არ მიმართეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვიღაცამ ურჩია რეჟისორს, კიდევ გაეკეთებინა განცხადება და აღენიშნა, რომ „პირველ მერცხალში" მონაწილეობას იღებდა იპოლიტე ხვიჩია. მეორე დღეს მსურველების ტევა არ იყო.

ელმავალმშენებელ ქარხანაში ბატონი სიკო დოლიძე იღებდა ფილმს „ქალაქი ადრე იღვიძებს". ფილმში იპოლიტე მუშის როლს ასრულებდა. მათ საქმიანობას კარგად რომ დაუფლებოდა, უყურებდა, ჩარხავდა, აკვირდებოდა იქ მომუშავეებს. ერთი მუშა, ვინმე თორნიკე, მამას ძალიან დაუახლოვდა. მამას სახლიდან სისტემატურად მოჰქონდა ხოლმე საუზმე და შესვენებისას ერთად საუზმობდნენ... ასე იყო ყოველ დღე. მიუხედავად იმისა, რომ მამა პურმარილიანი გახლდათ, მაინც აღიზიანებდა თორნიკეს ყოველდღიური მეინახეობა. ერთხელაც დედაჩემს სთხოვა, კვერცხები მოეხარშა და ერთი ცალი მოუხარშავი გაეტანებინა. სადილობის დროს მამამ მოუხარშავი კვერცხი მიაწოდა თორნიკეს. თვითონ მოხარშული აიღო და ითხლიშა შუბლში, ამის შემხედვარე თორნიკემაც იგივე გაიმეორა და... კარგი კვალიც დაიჩნია. საღამოს გადაღებიდან დაბრუნებული მამაჩემი აღტაცებას ვერ მალავდა, თავის ოინზე ამბობდა: ეს რა კარგი ნომერი ჩავატარე, რა დიდებულად გამომივიდაო.

— იპოლიტეს კუჭკუჭი მართლაც მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივრის სახედ იქცა, რამაც უდიდესი პოპულარობა მოუტანა მსახიობს და მალე გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს.

— მის წარმატებას ხელი შეუწყო, როგორც მამა იტყოდა ხოლმე, სიდედრის ნიფხავმა. ფილმის გადაღებისათვის იპოლიტეს ტრუსი ვერ მოარგეს, რამდენიც შეუკერეს, ისეთი არ გამოვიდა, როგორიც მხატვარსა და რეჟისორს ჰქონდათ ჩაფიქრებული. ერთ დღეს დიდედა ვერიჩკას თოკზე გადაკიდებული ნიფხავი გაქრა აივნიდან. ვერიჩქამ ყველა მეზობლის აივანი შემოიარა, დაათვალიერა, მაგრამ თავისი საცვალი ვერ იპოვა. გადაღებიდან გვიან დაბრუნებულ იპოლიტეს აივანზე დაუძინია. დილით საბანგადახდილს წასდგომია სიდედრი და: — ა, ბატონო, ა! თურმე ვის აცვია ჩემი ნიფხავი, — ყვირის ვერიჩქა. — კაი, ვერიჩქა, რა მოხდა მერე, სამაგიეროდ, მსოფლიოს მეიარს აგი ნიფხავი მალე. მართლაც ფილმმა მსოფლიო მოიარა, ასე, რომ მამა არ შემცდარა.

— ბატონმა რეზო ჩხეიძემ თავის სკოლის ამხანაგთან, გივი მჭედლიშვილთან საუბარში გაიხსენა კანის ფესტივალი, სადაც უჩვენეს „ბურთი და მოედანი". ბატონი რეზოს გვერდით ეკრანის დიდი ოსტატი, ჟან გაბენი მჯდარა, აღფრთოვანებულს ჩუმად გადაულაპარაკებია რეზო ჩხეიძისათვის, „ეს რა გენიოსი გყოლიათო". ჟან გაბენის ამგვარი შეფასება, მოგეხსენებათ, დიდი პატივი იყო.

— რომელი როლის განხორციელებაზე ოცნებობდა?

— გულით უნდოდა გვადი ბიგვას თამაში კინოში, ბედნიერად ჩათვლიდა თავს სანჩო პანსა რომ ეთამაშა, ხოლო ყვარყვარეში — ქუჩარა.

კინორეჟისორ გია დანელიას ფილმის „არ დაიდარდო" გადაღება რომ დამთავრდა, თითქმის მთელი ჯგუფი მოიწვია მამამ ოჯახში. სახლში მოსული ეროსი მანჯგალაძეს შეეხმიანა და მან-

...ყვარელი ფილოსოფოსი...

ამ სუფრას გავშლიდით, ეროსიც გვეახლა. მოილხინეს დიდად, ანეკდოტებით, სიმღერებით. ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ სერგო ზაქარიაძე და ბუბა კიკაბიძე, კოტე დაუშვილი და გოგი ქავთარაძე, ეროსი და მამა. სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა, მაგრამ ეროსი არ ეშვებოდა მამას — „ამაზე დამიძახეო!" ამ დროს იხმობდა ხოლმე იპოლიტე დედაჩემს და ახალ „შეკვეთას" აძლევდა ყურში ჩურჩულით.

ხაჭაპუროვნა (ასე ეძახდნენ ქალბატონ ლუბას) ამატებდა ნუგბარს. როგორც ჩანს, კიდევ უთხრა ეროსიმ მამაჩემს რაღაც და მამამ იყვირა: — ცოლო, დაკალი სიდედრი და შეწვი!

მინდა ჩვენს მკითხველს მოვაგონო კინორეჟისორ გუგული მგელაძის ფილმი „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი". ამ ფილმში ყარამან ხუსკივაძე უნდა მოკლან თავში აგურის ჩარტყმით. ყარამანი — იპოლიტეა. გადაღებისათვის საგანგებოდ დაამზადეს ბუტაფორული აგურები და დადგა გადაღების დღეც. დაიწყო გადაღება: ჰოპ! — დაარტყეს მამაჩემს, იგი იღიმება — დარტყმა კი არა, სიამოვნებაა! მიდით! — მაგრამ რეჟისორს არ მოსწონს დუბლი — არ ვარგა, გავიმეოროთ კიდევ, ჰოპ! ერთხელ ჰოპ! — და უეცრად მამას თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა და ძლივს ამოილუღლუღა: — მკლავთ ხომ? — და დაეცა.

— შესანიშნავია! — წამოიძახა რეჟისორმა — კიდევ ერთი! — იპოლიტე წამოიწია: — ნუ მკლავთ, ძმებო! — ბრწყინვალეა, მიდი! — რეჟისორის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, ეს რა ბუნებრივად აკეთებსო. — შეჩერდი, ოხერო! — იყვირა იპოლიტემ, მაგრამ გვიანღა იყო. ოცი დღე საავადმყოფოში გაატარა. ამასობაში გამოირკვა მიზეზიც. თურმე რეკვიზიტში ჩვეულებრივი აგურიც ყოფილა.

ბოლო წლებში, როცა მამა საწოლზე იყო მიჯაჭვული, ხშირად მოდიოდნენ კორესპონდენტები რადიოდან, ტელევიზიიდან, გაზეთებიდან და იწერდნენ მის ნაამბობს — ალბათ ასწრებდნენ... ერთხელ ჩვენთან მოვიდა გუგული მგელაძე და სთხოვა მამას მის ფილმში „მაცივარში ვიღაც იჯდა" ეთამაშა პატარა ეპიზოდი — ებრაელი იუველირის. მამას თვალში ცრემლი აუკიაფდა, არ ვიცი, სიხარულის იყო ეს ცრემლი თუ სიძაბუნის. — გჯერა, რომ გამომივა? — ჰკითხა მან გუგულის.

— მჯერა, ბატონო იპოლიტე, დღეს 13 რიცხვია და იმისიც მჯერა, რომ უარს არ მეტყვით.

13 მამაჩემის საყვარელი რიცხვი იყო, — კარგად მაქვს დაცდილიო, — იტყოდა ხოლმე, — ყველაფერი კარგი 13-ში შემხვდაო.

— მგონი, მამაზე მონოგრაფიას უნდა წერდეთ.

— ბედნიერი ვარ, რომ ისეთი მამის შვილობა მერგო, ვინც თქვენ ასე ძლიერ გიყვართ, ჩემო ძვირფასებო, იმაზე მეტს მე ვერაფერს გეტყვით, რაც უკვე თქვა ქართულმა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ. მალე დაისტამბება ჩემი წიგნი — მონოგრაფია მამაზე, სადაც ვეცდები ამომწურავად ავსახო მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრება.

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ქართველ მაყურებელს, მამაჩემის ნიჭის თაყვანისმცემლებს, რადგან მათ არ დაივიწყეს იპოლიტე ხვიჩია და მუდამ გულთბილად იხსენებენ — თქვა ქალბატონმა ნუნუმ.

ესაუბრა ზაირა თოფურია



ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი ბიბილური

ყასიმო ჭორწილი

მოთხრობა

ქვემო სვანეთში, მდინარე ზესხოს მარჯვენა ფერდობზე, ოდნავ დამრეც ტერასაზე, გაშლილია სოფელი ზესხო. იქ ვერ ნახავთ თავაზიდულ სვანურ კოშკებს და მათზე მიდგმულ სახლებს. სოფელში სულ ცხრა ან ათიოდ კომლი ცხოვრობს, რომელთა ეზო-კარმიდამო ხის მაღალი ღობეებითაა შემორაგული. ზესხო მთლად ტყეშია ჩაფლული.

აქ ჩამოსულ სტუმრებს ადგილობრივი სვანები ჭოგრიტებითა და დურბინდებით უჩვენებენ შორეულ კლდეებზე მორბენალ არჩვებს და ჯიხვთა ჯოგებს, რომლებიც მარადიულ თოვლით დაფარულ მთის კალთებიდან ჩამოდიან სოფლის მოპირდაპირე მხარეს მჟავე წყლის სასმელად.

გასული წლის გაზაფხულზე, სოფლის შემოსასვლელში, შედარებით ვაკე ადგილზე, მდინარის სიახლოეს გეოლოგები დაბინავდნენ. გაშალეს კარვები, ფარდულის მსგავსი შენობაც ააშენეს, რომელიც მანქანის სადგომად ჰქონდათ განკუთვნილი.

ახალგაზრდა სვანი შამშე გეოლოგიურ პარტიაში მუშად იყო გაფორმებული და სამუშაო იარაღების მოვლა-პატრონობა ევალებოდა. საჭიროების შემთხვევაში ზოგისთვის ტარი უნდა გამოეცვალა, ზოგი გაელესა. სინჯების დამზადება-შენახვაც მასვე ევალებოდა, ზოგჯერ პროდუქტების მოსატანადაც აგზავნიდნენ.

შამშეს გატაცება კი მთებში სიარული და ნადირობა იყო. როცა გეოლოგები მარშრუტზე გასვლას დააპირებდნენ, შამშე უკვე გამთენიისას ელოდათ ეზოში, მხრებზე სავსე ზურგჩანთით და წელში წერაყინით.

გარეგნობით მაღალი, გამხდარი და ბეჭებგანიერი, თეთრი პირისახისა და წაბლისფერი თმებით დამშვენებული, ერთობ სასიამოვნო გარეგნობისა იყო, რასაც სხივიანი ცისფერი თვალები კიდევ მეტად ამშვენებდა.

შარვალში ჩატანებულ ფართოჯიბეებიან პერანგს ატარებდა, ქამარზე კი განუყრელად ჰქონდა ქარქაშში მოთავსებული მონადირული დანა.

შამშეს ერთი დიდი საიდუმლო გააჩნდა, რომელსაც არავის უზიარებდა: გამყრელიძეების ქალიშვილი თამრო უყვარდა, რომლის საქვეყნოდ ცნობილი სილამაზე ბევრი ჭაბუკის ოცნების საგანს წარმოადგენდა. თამარსა და შამშეს ერთად ჰქონდათ სკოლა დამთავრებული.

სწავლის პერიოდში ბიჭმა ვერ გაბედა გოგონასათვის გულისნადების გამხელა, მაგრამ დაკვირვებული თვალი უდავოდ შეამჩნევდა, როგორ ცდილობდა დღენიადაგ ქალიშვილის სიახლოვეს ყოფნას, ხან სახლთან, ხან წყაროსთან და სადღა არა, თუმცა მათი ყოველი შეხვედრა არაფრისმთქმელი მიკითხვა-მოკითხვით სრულდებოდა.

აგვისტოს ერთ კვირა დღეს, როცა მზე შუბისტარზე იდგა და არემარე ფრინველთა ჟივილ-ხივილს დაეპყრო, პარტიის უფროსმა შამშე იხმო და რაიონში პროდუქტების შეძენა და ჩამოტანა დაავალა. შამშემ თვინიერად ჩამოართვა ფული, შეკაზმა ცხენი და სულ მალე ჭენებით დაეშვა ბარისაკენ.

შამშემ რომ საქმე მოითავა და პროდუქტით სავსე ჩანთები ცხენს გადაჰკიდა, მაღაზიის ნაცნობმა ნოქარმა თავისთან იხმო, მამაშვილურად სთხოვა მასთან ერთად წაეხემსა და არყით სავსე ჭიქა მიაწოდა. ვეღარც შამშემ აკადრა უარი, დაილოცა და გამოსცალა.

ერთ სასმისს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ბიჭი ისე შეთვრა, რომ ვერცკი შეამჩნია. ცხენს რომ მოახტა და სოფლისკენ აიღო გეზი, მაშინ კი იგრძნო სასმელის ძალა, კარგ გუნება-განწყობილებაზეც დადგა და სითამამეც შეემატა, ამიტომაც მოხდა, გამყრელიძეების სახლს ომახიანი სიმღერით გამოუარა და ოჯახის ყურადღებაც უნებლიედ მიიქცია.

შამშეს მეორე დღეს თვრამეტი წელი უსრულდებოდა.

როდესაც სანოვაგე დააბინავა და ოჯახს მიაშურა, შამშეს იქ დიდი სამზადისი დახვდა. მამამისს არჩილ კვიციანს ციკანი დაეკლა და ატყავებდა, დედა კერძებს ამზადებდა, მეზობლის ქალები ზოგი ქათამს პუტავდა, ზოგი ხაჭაპურს აცხობდა. ოჯახის უფროსს ერთი დღით დაეჩქარებინა შვილის დაბადების დღის აღნიშვნა და უქმე კვირისათვის გადმოეტანა.

დაბინდებისას სადარბაზო ოთახში სუფრა გაიწყო, მალე მეგობარ-ნათესავებიც შეგროვდნენ და მაშინ იყო, არჩილ კვიციანმა რომ შვილს გეოლოგებთან წასვლა და მათი მოწვევა დაავალა.

შამშემ, როგორც წესი და ადათი მოითხოვდა, ჯერ უფროსებს — ბატონ ვიქტორსა და ბატონ ალექსანდრეს გადასცა მამის თხოვნა, ვახშამზე სწვეოდნენ, შემდეგ კი გეოლოგიური პარტიის იქ მყოფ ყველა წევრს, ხოლო მიზეზი ვახშმისა დაუმალა — უბრალოდ, მამაჩემს თქვენთან პურის გატეხა მოენატრაო.

სტუმრებმაც და მასპინძლებმაც იმ საღამოს დიდებული დრო გაატარეს, იმღერეს, იცეკვეს და გამთენიის ჟამს დაიშალნენ.

სასმელმა შამშეს გამბედაობა შემატა და როდესაც სტუმრებს დაემშვიდობა, გულმოცემულმა მშობლებს მიაშურა და კარგა ხნის გულში ნადები გაუმხილა — გამყრელიძეების ქალიშვილი მიყვარსო.

— დიდი ხანია ვხვდები შვილო, — უპასუხა მომღიმარმა დედამ, ხოლო მამამ არჩევანი მოუწონა, — მართლაც სანაქებო გოგონაა თამრო, თუ ღმერთმა ინება, საწინაალმდეგო რა უნდა გვქონდესო.

მშობლებმა მეორე დღისთვის დათქვეს გამყრელიძეების ოჯახს სწვეოდნენ და თუ საქმეს სასიკეთო პირი გამოუჩნდებოდა, დაენიშნათ კიდეც თამრო და ქორწინების დროც დაეთქვათ.

მართლაც გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს. ესტუმრნენ საპატარძლოს ოჯახს, მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ, სათქმელიც გაამჟღავნეს და ქალიშვილის ახლობლების თანხმობის შემდეგ, თავად თამარს ჰკითხეს აზრი, სხვაგვარად საქმე სასიკეთოდ არ აღსრულდებოდა და მათდა გასახარად, როდესაც ქალიშვილმა თანხმობა განაცხადა, წინ რაღა დაუდგებოდათ. ცრემლმორეულმა ქალბატონმა პისტიმ — შამშეს დედამ, მშვენიერი ოქროს ბეჭედი გადასცა თამროს, გადაკოცნა, დალოცა, ჭეშმარიტი ქართველი დედობა უსურვა, ხოლო ვაჟის მამამ მცირეოდენი განსჯის შემდეგ მომავალ მძახალს ბატონ ბორის გამყრელიძეს სექტემბრის მესამე შაბათი შესთავაზა ქორწინების დღედ, რამაც შამშეს მომავალი სასიმამრო შეაფიქრიანა.

— ჩემო არჩილ, — დინჯად მიმართა ბორისმა სტუმარს, — შენ ალბათ გამოგრჩა, რომ ჩემს მეუღლეს, მზაღოს შარშან ძმა დაეღუპა, სანაქებო ვაჟკაცი ჩარგუზ გიგანი, ხოლო მისი წლისთავი ზუსტად ოქტომბრის ბოლოს სრულდება. წინაპართა ადათწესს დავემორჩილოთ, ჯერ ჭირის დღე მოვიხადოთ და ბედნიერებას უფრო სიკეთე შეემატება.

— ბატონი ბრძანდებით, — კვერი დაუკრა არჩილმა.

ქორწილის დღედ ათი ნოემბერი დათქვეს.

ოც ოქტომბერს კვიციანების ოჯახში ფოსტალიონმა სამხედრო კომისარიატის უწყება მოიტანა. შამშეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის ჟამი მოსწეოდა და ოცდახუთ ოქტომბერს ლენტეხის სამხედრო კომისარიატში უნდა გამოცხადებულიყო.

დაღონდა შამშე, მოიწყინა ქალბატონმა პისტიმ, ჩაფიქრდა არჩილი.

— შვილო, — მიმართა ცოტაოდენი განსჯის შემდეგ პირმშოს, — ყველა ვაჟკაცი ვალდებულია ქვეყნის წინაშე პატრიოტული ვალი მოიხადოს, გვარის შერცხვენა კი კვიციანებს არ გვეკადრება. მჯერა, შენს თამროს უყვარხარ და როგორც ნამდვილ სვან ქალს შეშვენის, მოთმინებით დაელოდება შენს დაბრუნებას.

ასეც მოხდა, ოქტომბრის დასასრულს შამშე თავგადაპარსული წარუდგა გეოლოგიური პარტიის წევრებს, ყველას გულიანად დაემშვიდობა, ხოლო მათ კი გზა დაულოცეს ახალგაზრდა მეგობარს და შინ მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

***

ამ ამბის შემდეგ საკმაო დრო გავიდა. შემდეგი წლის შემოდგომის დამდეგს გეოლოგებმა კვიციანების სახლის წინ ხალხმრავლობა შენიშნეს. ეზოში რამდენიმე კოცონიც აებრიალებინათ. მიწაში ჩარჭობილ ორკაპა ჯოხე-

ბზე გარდიგარდმო მსხვილი ჯოხები იყო გადებული, რომლებზეც გოჭები და ქათმები იყო წამოცმული.

ოჯახში ქალები დაფუსფუსებდნენ, ყველა პურმარილის სამზადისით იყო დაკავებული, მომღიმარ სახეებზე ეტყობოდათ, რომ სასიკეთო სუფრის თადარიგში იყო მთელი საგვარეულო.

გეოლოგები შეუმჩნევლად გაერიდნენ კვიციანების ოჯახს, ნაძალადევი სტუმრობა რომ არ დაბრალებოდათ, და საკუთარ ადგილსამყოფელს მიაშურეს.

ერთ საათზე ოდნავ მეტი დრო იქნებოდა გასული, რომ ხეობაში უცნაური და გაბმული სროლა გაისმა, რასაც ომახიანი ყიჟინი და შეძახილები დაერთო.

გეოლოგები გარეთ გამოეფინენ და თოფების გამუდმებულ ზათქში ცხენების ფლოქვების ხმაც შემოესმათ. ჯერ კიდევ კარგად ვერ იყვნენ გარკვეულნი მომხდარ ამბავში, რომ კვიციანების ოჯახიდან მსტოვარი ესტუმრათ და ოჯახის უფროსის დანაბარები გადასცათ.

— მაყრიონი უკვე ადგილზეა, — თქვა მან, — ბატონი არჩილი უკლებლივ შვილის ქორწილში გეპატიჟებათ, გთხოვთ, არ გააწბილოთ და ახლავე ესტუმროთ. თქვენ გელოდებიან.

გეოლოგებმა მოპატიჟეს გულითადი მადლობა მოახსენეს, მაგრამ თავად გვარიანად შეფიქრიანდნენ. არჩილ კვიციანს ერთადერთი შვილი ჰყავს და თუ ქორწილს იხდის, რატომ თავად შამშე არ მოვიდა, ხოლო თუ ვერ მოიცალა, დროზე მაინც შემოეთვალათ ქორწილის ამბავი, აბა, რა წესია ასეთი ბედნიერების დღეს უსაჩუქროდ სტუმრობა და თავის შერცხვენა.

ბატონი ალექსანდრე საგონებელში ჩავარდა: არ მისვლა სირცხვილია, ხელცარიელი გამოცხადება კიდევ უფრო მეტი, რა წყალში ჩავარდეს?

ახალგაზრდა გეოლოგმა თეზიკომ საჩუქრად ფულის გადაცემა შესთავაზა, მაგრამ უფროსებმა იმწამსვე იუარეს — ქართულ ადათწესში ასეთი რამ არასოდეს ყოფილა და ჩვენ პირი როგორ შევირცხვინოთ, სვანები თავმოყვარე ხალხია და უდავოდ ეწყინებათ ამგვარი საქციელიო.

როგორც ყოველთვის, ახლაც უხუცესმა ბატონმა ნიკოლოზმა იპოვა გამოსავალი.

— ჩემი სანადირო თოფის ფასი ყველამ კარგად იცით, ბადალი არ მოეძებნება ამ მხარეში. ალბათ ისიც გახსოვთ, თუ როგორი თვალანთებული უყურებდა ამ თოფს შამშე. ჰოდა, აღარ გვინდა დიდი განსჯა, მივართვათ სანაქებო ვაჟკაცს და საუკეთესო მონადირეს ეს ძღვენი. ღირსია ღმერთმანი.

მცირეოდენი სჯა-ბაასის შემდეგ ბატონმა ნიკოლოზმა მაინც თავისი გაიტანა და ძვირფასი თოფით ხელდამშვენებული გეოლოგები მალე კვიციანების ოჯახის ჭიშკარში შევიდნენ.

მასპინძელმა სტუმრები სუფრასთან მიიწვია. სასმისები შეივსო და ყველა ოჯახის უფროსის პირველ სიტყვას დაელოდა.

გეოლოგებმა ყურადღებით შეათვალიერეს სუფრის წევრები, საპატარძლო ახლობლებით გარემოცული მაგიდის თავში იჯდა, ნეფე კი არსად სჩანდა.

ბატონმა არჩილმა წახნაგიანი ორი ჭიქა თეფშზე შემოდგა, ულვაშებზე ხელი ჩამოისვა და დამსწრე საზოგადოებას მიმართა.

— ყველამ კარგად იცით, რომ ჩემი ვაჟი ჯარშია და კაცურად იხდის თავის მოვალეობას. ახლახანს მისი ნაწილის უფროსისაგან სამადლობელი წერილიც მივიღეთ, დამერწმუნებით, საამაყოა ასეთი ბარათი ყველა მშობლისათვის, მაგრამ ამ სასიხარულო ცნობას ბიჭის ბარათიც მოჰყვა თან, რომელშიც ის დაბეჯითებით გვთხოვს მისი გულისწორი, გამყრელიძეების სანაქებო ქალიშვილი თამარი, ოჯახში რძლად მოვიყვანოთ და ამით დიდი საფიქრალი და სადარდებელი მოვაშოროთ.

— ჩვენც, როგორც წესია, ისე ვასრულებთ ერთადერთი ვაჟიშვილის თხოვნას და ტრადიციული ქორწილით საფუძველს ვუყრით ახალგაზრდა, სიყვარულით შექმნილ ოჯახს. ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ, გაუმარჯოს ნეფე-პატარძალს!

დამსწრე საზოგადოება ფეხზე წამოდგა. საერთო სიმხიარულეში, ომახიანი შეძახილებით დალოცეს ახალგაზრდები. ბედნიერება, მრავალშვილიანობა, სიკეთე და მარადიული სიყვარული უსურვეს.

სადღეგრძელოს ახალი სადღეგრძელო მოჰყვა. სიმღერას ცეკვა და საერთო მხიარულება, რომელსაც ხანგამოშვებით თოფების სადღესასწაულო ქუხილ-გრიალიც ერთვოდა.

იყო საყოველთაო აღტაცება და დღესასწაული. ახალი ბედნიერება მკვიდრდებოდა ტრადიციულ სვანურ ოჯახში.

მხოლოდ ერთი გამონაკლისით გამოირჩეოდა დღევანდელი დღესასწაული — ნეფე-ბატონის სკამი ცარიელი იდგა და პატრონს ელოდა.

უდავოდ დამეთანხმებით, მსოფლიოში არსად, ალბათ, არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა ასეთი რამ: ქორწილი უსიძოდ ტარდებოდა. ხომ იშვიათი და უნიკალური ამბავია?!

ცეცხლოვანი მგზნებარებით, ქართული ტემპერამენტით

ხუთი წელია, რაც საკონცერტო ცხოვრებას გამოვეთიშე ოჯახური ტრაგედიის გამო. 31 მარტი ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა – გზადმიმავალმა აფიშა შევნიშნე, ჩემი თანაკურსელის, დირიჟორ ვახტანგ ჟორდანიას საგასტროლო გამოსვლას რომ გვაუწყებდა და მეც იქითკენ გამიწია გულმა...

ვახტანგი კულტურის ცენტრის ეზოში იდგა. მოვიკითხეთ ერთმანეთი, გამაცნო თავისი ცოლშვილი; ძალიან განიცადა ჩვენი უბედურება, ჩემი უმუშევრობა... კონცერტის დაწყებამდე თხუთმეტი წუთიღა რჩებოდა და ისიც დარბაზისაკენ წაგვიძღვა, სადაც პრესის მუშაკებიც შემოგვიერთდნენ სახელდახელო ინტერვიუს ასაღებად. საუბრისას ვახტანგმა პაუზით ისარგებლა, მისთვის გამოყოფილი პატარა ოთახისაკენ წავიდა და დამიძახა: – ეთერ, მოდი!.. – ოთახში შესულს, ასდოლარიანი მომცა დახმარების სახით. გავოცდი! მსგავსი არავის მოსვლია აზრად.

ამ ფაქტის მოტანა დამჭირდა ვახტანგ ჟორდანიას კეთილშობილების, პიროვნული და ადამიანური ღირსებების წარმოსაჩენად, რითაც იგი სტუდენტობაშივე გამოირჩეოდა. და არა მარტო ამ მხრივ, მაღალნიჭიერებით, განსაკუთრებული აბსოლუტური სმენით. იგი უშეცდომოდ გამოიცნობდა და ასახელებდა კლასტერით აღებულ ბგერებს (ნოტებს), რეგისტრებსაც. ერთხელ, ლექციებს შორის შესვენებაზე, ქუჩიდან რკინის დარტყმის ძლიერი ხმა მოისმა. ფა-დიეზიაო, – თქვა მან. როიალზე შევამოწმეთ და მართლაც ფა-დიეზი იყო.

თბილისის კონსერვატორია ვახტანგ ჟორდანიამ 1966 წელს დაამთავრა, როგორც პიანისტმა. შემდეგ ლენინგრადის სახელგანთქმულ კონსერვატორიაში დაეუფლა სიმფონიური და საოპერო დირიჟორის ხელოვნებას, დამოუკიდებლად გაიკაფა გზა...

მეც მქონდა ბედნიერება, იქ დამეცვა დისერტაცია, პირადად მომესმინა იქაური მუსიკოსებისაგან ვახტანგის ქებაც. ბედმაც გაუღიმა... 1971 წელს მთავარი პრიზი მოიპოვა ჰერბერტ ფონ კარაიანის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე; დაიწყო მუშაობა ასისტენტად ცნობილ დირიჟორ ევგენი მრავინსკისთან, ხელმძღვანელობდა ლენინგრადის რადიო – ორკესტრს, თანამშრომლობდა სარატოვისა და ხარკოვის ფილარმონიულ ორკესტრებთან, ეწეოდა დიდ საგასტროლო მუშაობას ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით; გამდიოდა ისეთ გამოჩენილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: დავით და იგორ ოისტრახები, ლეონიდ კოგანი, დიმიტრი შოსტაკოვიჩი, კირილ კონდრაშინი, ემილ გილელსი...

1983 წელს ვახტანგმა გაარღვია საბჭოური სივრცე და ამერიკამდე მიაღწია, სადაც ორი თვის თავზე კარნეგი ჰოლის ცნობილ დარბაზში იდირიჟორა და აღაფრთოვანა უცხოელი სპეციალისტები. წარმატებები ჰქონდა ასევე იტალიაში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, იაპონიაში, ავსტრიასა და ჰოლანდიაში, კანადაში, ესპანეთში, გერმანიაში, ახალ ზელანდიაში, ინგლისსა და კორეაში... აშშ-ში დასახლების შემდეგ ვახტანგ ჟორდანია სხვადასხვა დროს იყო ქალაქ ჩატანუგის სიმფონიური და საოპერო თეატრის, სპოკაინის და კორეის ტელე-რადიო კორპორაციის ორკესტრების მთავარი დირიჟორი. ბოლო ხანს თავისუფალი სტატუსი აირჩია, ამჟამად რუსეთის ფედერალური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელია, ხარკოვის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და სეულის (კორეის) საოპერო თეატრის მიწვეული დირიჟორი და საპატიო მოქალაქე, თუმცა კვლავაც აშშ-ში ცხოვრობს. გასულ წელს ვახტანგი სან-ფრანცისკოს ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს; იმავე წელს იბლას (იტალია) პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე გამარჯვებულს მიენიჭა ვ. ჟორდანიას სახელობის პრიზი.



ვახტანგის წარმატებებში გარკვეული როლი ოჯახურმა ტრადიციებმაც შეასრულა, რაზეც მამამისმა, ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა გივი ჟორდანიამ გვითხრა: – ბებიაჩემი ელენე ტარსაიძე (თედო ჟორდანიას მეუღლე) პიანისტი იყო, აბსოლუტური სმენა ჰქონდა. კარგი სმენა გამოჰყვათ ჩემს შვილებსაც და შვილიშვილებსაც, თუმცა მუსიკის გზას შვილებიდან მხოლოდ ვახტანგი გაჰყვა, შვილიშვილებიდან – გიორგი (ვახტანგის უფროსი ვაჟი) და პატარა ვახტანგი (ჩემი უფროსი ვაჟის – ალექსის შვილი). ალექსიმ აღმოსავლეთმცოდნის პროფესია აირჩია, არაბისტია, პროფესორი, დოქტორი; რეზო ბიოლოგია, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, ნიუ-იორკის აკადემიის ნამდვილი წევრი. მას აბსოლუტური სმენა ფრინველების ხმის ცოდნაში გამოადგა – უშეცდომოდ იცნობს სამასამდე ფრინველის ხმას, ამიტომაც ინგლისის ორნითოლოგიის საზოგადოების წევრიც არის, სადაც აჩუქეს ინგლისის ფრინველთა ხმების ენციკლოპედია (ფირფიტების სახით) 200 ხმით. რეზოს კვალს გაჰყვა მისი ვაჟი – ლევანი, რომელსაც აგრეთვე აბსოლუტური სმენა აქვს. მუსიკის ნიჭი გამოჰყვა ვახტანგის უფროს ქალიშვილს – ნინოსაც, ბიზნესმენია და პეტერბურგში ცხოვრობს.

აბსოლუტური სმენა გვაქვს მეც და ჩემს მეუღლესაც, ბარბარეს, რომელიც ხელოვნების ისტორიკოსი იყო და დიდი როლი ითამაშა შვილების აღზრდაში, თუმც სკოლამდელებს მე ვუწევდი რეპეტიტორობას. დამთავრებული მაქვს თბილისის მუსიკალური ტექნიკუმი ჩერნიავსკაიას კლასით.

ამბები, ამბები, ამბები, ამბები, ამბები, ამბები...

ბილ გეიტსი არ ნებდება

ამერიკულ კორპორაცია „მაიკროსოფტს" გადაწყვეტილი აქვს აპელაცია შეიტანოს ფედერალური მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც იგი მონოპოლისტად აღიარა. ამ კომპიუტერული ფირმის ხელმძღვანელმა ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამ რეალობა თავდაყირა დააყენა და რომ სინამდვილეში მისი ფირმის მოქმედებების შედეგად მომხმარებელმა მოიგო გამომგონებლობით დაწყებული, ფასით დამთავრებული. ადრე მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ კომპანია „მაიკროსოფტმა" გამოიყენა თავისი მდგომარეობა პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე, რათა კონკურენცია ჩაეხშო. ეს განსაკუთრებით ითქმის კომპანია „ნეტსკეიპზე", რომელიც მისი ძირითადი მეტოქე გახლდათ. სასამართლოს გადაწყვეტილებას იუსტიციის მინისტრი ჯენეტ რენიც დაეთანხმა, რომელმაც განაცხადა, რომ ამირიდან მომხმარებლებს დიდი კონკურენციის ნაყოფით სარგებლობა შეეძლებათ. „ბი-ბი-სის" კორესპონდენტის თქმით, საქმის შემდგომ სტადიაზე მოსამართლეს „მაიკროსოფტის" საქმიანობის რადიკალურად შეცვლა შეუძლია და არაა გამორიცხული, კომპანია შედარებით მცირე ფირმებად დაიყოს.

სწორი არ არის რომ...

● თავისუფლების ქანდაკება ნიუ-იორკში დგას. იგი აღმართულია ნიუ-ჯერსის შტატში.

● მხოლოდ ვენეცია იძირება ზღვაში. იტალიის ქალაქი რავენაც, უკანასკნელი 80 წლის განმავლობაში, თითქმის ნახევარი მეტრით ჩაეშვა წყალში. ორჯერ მეტად, ვიდრე ვენეცია.

● ბანანი ხეა. ის ბალახია.

● სპაგეტი – იტალიური წარმოშობისაა. მაკარონი იტალიაში მხოლოდ მე-13 საუკუნეში გახდა პოპულარული. იგი გამოიგონეს ჩინეთში, საიდანაც პირველად მარკო პოლომ ჩაიტანა ევროპაში.

● გველი სლიკინა და ცივია შეხებისას. პირიქით იგი მშრალია და თბილი.

● მარცხენა გვერდზე წოლა ვნებს გულს. სხეულის ამა თუ იმ მდგომარეობას ძილის დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გულისათვის. უბრალოდ, როცა მარცხენა გვერდზე გვძინავს, უკეთ გვესმის ჩვენი გულისცემის ხმა, რამაც შესაძლოა შეაშინოს ეჭვიანი ადამიანი.

... ქალები კაცებზე ცუდად ატარებენ მანქანას. აშშ-ს სადაზღვევო შემთხვევათა ინსტიტუტის მონაცემებით, კაცი მძღოლები ქალებთან შედარებით 68%-ით მეტად ამტვრევენ მანქანას და 3-ჯერ მეტად – სასიკვდილო ავარიით.

მოჭადრაკეებო, ფხიზლად იყავით!

ამას ნამდვილად არ ელოდა ჭადრაკის მეფე გარი კასპაროვი! ნიუ-იორკში, ინტერნეტის საშუალებით მსოფლიოს ყველა ქვეყნის 30 ბავშვს ეთამაშებოდა. მსოფლიოს ჩემპიონმა 29 მოწინააღმდეგეს იოლად მოუგო, მხოლოდ ერთთან დაამთავრა თამაში ყაიმით. ეს გახლდათ 12 წლის გოგონა ვიქტორია ცასკი. ვიქტორიას შინ კომპიუტერიც კი არა აქვს და ამიტომ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად თელ-ავივიდან ჩავიდა. რაც შეეხება შედეგს, ამაზე გოგონამ თქვა – თამაში შუაღამემდე გაგრძელდა და ძალიან დავიღალე, თორემ კასპაროვს მოვუგებდიო. პატარას შედეგით აღფრთოვანებულმა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაქმა ნორჩ მოჭადრაკეს პერსონალური კომპიუტერი აჩუქა.

მისი მოსწავლე შემდეგში (მეშვიდე კლასიდან) გახდა ვახტანგი, მანამდე კი მის მუსიკალურ აღზრდაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პედაგოგ ელიზავეტა ზასლავსკაიას, კონსერვატორიაში — ელეონორა ექსანიშვილს, ხოლო დირიჟორობაში — ედუარდ გრიქუროვსა და ოდისეი დიმიტრიადის.

ვახტანგი ჩვენს შორის ყველაზე უმცროსია, ომის პერიოდში დაიბადა, — გვითხრა პროფესორმა რეზო ჟორდანიამ.

ვახტანგი პატარაობიდანვე განსაკუთრებულად მოსიყვარულე იყო, დამოუკიდებლობის გრძნობით უხვად მომადლებული. მეათეკლასელი მარტო გადაფრინდა მოსკოვში, იყიდა როიალი „ლუტნერი" და მარტომ ჩამოიტანა. ყოველივე ამასთან ერთად, იგი იღბლიანია, გულკეთილი და ამიტომ ვფიქრობ, მტერიც ნაკლებად ჰყავს.

— ძმის სიყვარულით ჩემს შვილსაც ვახტანგი დავარქვი, — ამბობს პროფესორი ალექსი ჟორდანია. — შინაურობაში მას პატარა ვახტანგს ვეძახით. იგი მუსიკისადმი ფანატიკური სიყვარულით, შრომისმოყვარეობითა და ნიჭიერებით თავის სეხნიას დაემსგავსა, სამგზის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია: მონტე-კარლოს პიანისტთა საერთაშორისო ფესტივალისა — „პატარა მოცარტი", მარკო პოლოს პიანისტთა მესამე საერთაშორისო კონკურსისა და კრაინევის ახალგაზრდა პიანისტთა მეხუთე საერთაშორისო კონკურსისა, სადაც მუსიკალურობისათვის სპივაკოვის სპეციალური პრიზიც გადაეცა და კრაინევის სახელობის სტიპენდიაც დაენიშნა.

1999 წლის სექტემბერში ორივე ვახტანგი ერთად წარსდგა ხარკოვში მსმენელთა წინაშე მენდელსონის საფორტეპიანო კონცერტით, სადაც დირიჟორი იყო დიდი ვახტანგი, სოლისტი — პატარა ვახტანგი. ამჟამად პატარა ვახტანგი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლეა, იგი ე. შევარდნაძის სახელობის სტიპენდიანტიც არის. სპეციალობაში პედაგოგი ვეკა (ვერა) სვანიძე ხელმძღვანელობს. ვახტანგამდე მისივე აღზრდილებიდან ლაურეატები გახდნენ: მარინე ნადირაძე, ანანო გოკიელი და რუსუდან ჩიტაია.

— მოხარული ვარ პატარა ვახტანგის წარმატებებისა და გიორგის მიერ თავისი პროფესიით გატაცებისა, — თქვა ვახტანგ ჟორდანიამ თავის ძმაშვილზე და უფროს ვაჟზე, რომელიც სტუდენტობისას შეეძინა და ტყუპისცალივით ჩამოჰგავს მამას. — ბევრი რამ გენეტიკურად ჩემგან მოსდევს, ბევრიც თავისი აქვს. განსაკუთრებით კარგი ხელები აქვს, ამისი ფასი ყველა დირიჟორმა იცის.

— ჩემთვის მამის რეპეტიციები საუკეთესო გაკვეთილებია. — ამბობს გიორგი.

ჭეშმარიტად! ვახტანგ ჟორდანია უდიდესი პროფესიონალია, ექსტრა-კლასის დირიჟორი, ღვთითმომადლებული ყველა საჭირო მონაცემით, რაც ამ საგასტროლო კონცერტზეც წარმოჩინდა. მან ჩვეული მაღალი ოსტატობით ააჟღერა როსინის, რაველისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, ღრმად ჩასწვდა მათ კონცეფციას, გვაგრძნობინა კომპოზიტორთა ინდივიდუალობა, საკუთარი ხელწერა, ჟღერადობის სისავსე და სილამაზე... განსაკუთრებული მუსიკალურობით შესრულდა ჩაიკოვსკის „ვარიაციები როკოკოს თემაზე" ვიოლონჩელისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, სადაც სოლისტად საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი თამარ გაბარაშვილი მოგვევლინა — ამ ნაწარმოების ერთ-ერთი უბადლო ინტერპრეტატორი.

ვახტანგი შინაგანი სიმშვიდითა და თავდაჭერილობით უძღვებოდა ორკესტრს, ბოლომდე იხარჯებოდა, უხვად გასცემდა პოეტურობასა თუ ცეცხლოვან მგზნებარებას, ქართულ ტემპერამენტს... მოწოდების სიმაღლეზე იყო თბილისის სიმფონიური ორკესტრი, კარგად აუბეს მხარი თანამეკრძალეს, მათ მშვენივრად ესმოდათ ერთმანეთისა, ამიტომაც ბოლო არ უჩანდა ოვაციებს...

საკონცერტო მოღვაწეობის პარალელურად ვახტანგ ჟორდანია აქტიურად მუშაობს ჩანაწერებზე. ბევრმა მისმა ჩანაწერმა დაიმსახურა პრიზი.

— მეტი დრო ჩანაწერებს მიაქვს. ამ ხაზით ვმუშაობ სამ ორკესტრთან: რუსეთის, ლონდონისა და ბერლინის. მარტო რუსეთის ფედერალურ ორკესტრთან წელიწადში ოცზე მეტ კომპაქტდისკს ვწერ. ახლახანს ჩემთვის ფრიად სასიამოვნო წინადადება შემომთავაზეს — ამერიკის ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქის საოპერო თეატრში ვუდირიჟორო ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინს". ვცდილობ, გარკვეული დრო ქართულ მუსიკასაც დავუთმო. არაერთხელ შემისრულებია დავით თორაძის საფორტეპიანო კონცერტი პიანისტ ლექსო თორაძესთან ერთად. რეპერტუარში მაქვს სულხან ნასიძის სიმფონიებიც. მსურს ჩემმა მცირეწლოვანმა შვილებმა — მარიამმა და დიმიტრიმ, რომლებიც ფორტეპიანოსა და ვიოლონჩელოზე დაკვრას ეუფლებიან, გარკვეული პერიოდით თბილისშიც ისწავლონ და მშობლიურ ენას დაეუფლონ. რაც შეეხება ჩემს გასტროლებს, ყოველთვის სიხარულით მოვისწრაფვი ხოლმე აქეთ.

ვუსურვოთ შესანიშნავ პიროვნებასა და დირიჟორს ახალი შემოქმედებითი სიხარული, მისი გვარის წარმომადგენლებს კი ვახტანგის სახელოვანი გზით სიარული.

ეთერ ლონდარიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი



ამბები, ამბები, ამბები, ამბები...

„ბმვ" — ჯეიმს ბონდის საყვარელი მანქანა

მოწოდებით, რათა აგენტი 007-ის ფილმებში გადაღებებზე გამოეყენებინათ ინგლისური და არა გერმანული მანქანები, გამოვიდა დიდი ბრიტანეთის ინჟინერთა და ელექტრიკოსთა პროფკავშირის თავმჯდომარე, ხერ კენ ჯეკსონი. ადრე გერმანულმა საავტომობილო კონცერნმა „ბმვ"-მ გამოაცხადა, რომ აპირებს ბრიტანული საავტომობილო ქარხნის „როვერსის" გაყიდვას, რომლის ზარალმაც 3 მილიონ დოლარს მიაღწია. არის იმის საშიშროება, რომ ახალი მფლობელები ქარხანას დახურავენ და 8 ათასი მუშახელი შეცირებაში მოჰყვება. სამ წინამდებარე სერიაში, პირს ბროსნანის მონაწილეობით, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჯაშუში „ბმვ"-ს სპორტული ავტომანქანებით მოძრაობდა.

მფრინავი მატარებელი

ლონდონური ჟურნალის „ნიუ სიანტისტის" ცნობით, იაპონელი ინჟინრები მუშაობენ საჰაერო ღრუბელზე ზემოაღალი სიჩქარის მქონე მატარებლის შექმნაზე. ტოჰოკუს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა მომავალი მატარებლის რვამეტრიანი საბუქსირო მოდელის გამოცდა წარმატებით ჩაატარეს, რომელიც აღჭურვილია ვერტიკალური სტაბილიზატორების მქონე ორი წყვილი ფრთით. ეს პროგრამა 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს და შექმნას „ეროტრეინის" მატარებელი 335 მგზავრითა და 500 კმ/სთ სიჩქარით. პროექტის ხელმძღვანელი იასუაკი კოჰამა თვლის, რომ „ეროტრეინი" ოთხჯერ ეკონომიური იქნება ვიდრე იაპონიაში პროექტირებადი მაგნიტური საკიდების მქონე სუპერექსპრესი.

ძლიერნი ამა ქვეყნისანი

ჟურნალ „ფორტუნის" საიტზე გამოქვეყნებულ იქნა ყოველწლიური ამშ-ს ყველაზე მსხვილი 500 კომპანიის სია. როგორც შარშან, წელსაც ნუსხას სათავეში უდგას „ჯენერალ მოტორსი", მის შემდეგ არიან სუპერმარკეტთა ქსელი „უოლ-მარტი", ნავთობკომპანია „ექსონ მობილი", „ფორდ მოტორი", „ჯენერალ ელექტრიკი", „აი ბი ემი", „მითიგრუპი", „ეი ტი ენდ ტი", „ფილიპ მორისი" და „ბოინგი".

„ჰევლეტ პაკარდმა" მე-13 ადგილი დაიკავა, „კონ პაკ კომპიუტერმა" — მე-20, „მოტოროლამ" 37-ე, ხოლო „კოკა კოლამ" ერთი პოზიციით გადაუსწრო „მაიკროსოფტს" (83 და 84).

უკვდავი

იაპონელმა ჰირო კონოკამ, როცა ჩათვალა, ჩემი ღირსება შეილახაო, თავის მოკვლა გადაწყვიტა. ეს რამდენიმე წლის წინ მოხდა, ახლა 51 წლის ბიზნესმენი ჯანსაღი და საღსალამთია. საქმე ის არის, რომ თვითმკვლელობის აქტისას მთელი მუჭა საძილე აბი დალია, მაგრამ ოთხდღიანი კომის შემდეგ ჩიტივით იყო. მაშინ მან გადაწყვიტა თავისი მდიდრული ბინის ფანჯრიდან გადახტომა — მხოლოდ ფეხი მოიტეხა. შემდგომმა სამმა ნახტომმაც ვერ გაისტუმრა იგი საიქიოს. იგი შვიდჯერ შეუვარდა მანქანას, ვენები გადაიჭრა, რამდენჯერმე თავიც მოიწამლა და თქვენ წარმოიდგინეთ, თავის დახრჩობაც კი სცადა. ყოველი ოპერაციის შემდეგ საწყალი ერთსა და იგივეს უამბობდა ექიმებს — მისი ოთხი ქალიშვილიდან ერთ-ერთი ვიღაც მაწანწალას გაჰყოლია ცოლად.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ჩიკვაიძემ

ჯემალ ოზაანიშვილი

სიკვდილი სიცოცხლეზე მეტია!

■ ბოროტების საბჭოთა იმპერიამ ბევრ სხვადასხვა მანკიერ ჩვევა-ფოვლენასთან ერთად საფლავში ჩაიყოლა სავაჭრო ობიექტების კარიბჭესთან დროდადრო, რაიმე უცხო ნაწარმზე დაფეთებული ადამიანების მიერ შექმნილი მხეცური რიგები.

აქ ბოლოდან მეორე სიტყვა ალალბედზე არ მიხმარია: აბა, გაიხსენეთ იმ სქელ, ბოლომოუკვლეველ რიგებში რანაირი ზედახორა, წეწვა-გლეჯა, ჭყლეტა, წაკვრა-წატანება, დაუნდობლობა და უშვერი წყევლა-ლანძღვა სუფევდა ხოლმე, რა არის რკინის ფარდის გამოღმა მომწყვდეულ საბჭოელს როგორმე, თუგინდ ცხვირ-პირის ჩამტვრევისა თუ თვალების ამოკორტნის ფასად შეეძინა, ვთქვათ, უცხოური ფეხსაცმელი, სუნამო, კონსერვი, საპარსი, ჭურჭელი, ქოლგა, ლუდი, ქსოვილი, სიგარეტი, საპონი, მძივი, ტელევიზორი თუ სხვა რამ უმნიშვნელო ყოფითი ნივთი...

მადლობა უფალს, დღეს ამგვარი ღრიანცელა რიგებისაგან დაისვენა მთელმა ქვეყანამ და პირველ რიგში, ცხადია, დედათბილისმა! რა საჭიროა წეწვა-გლეჯა და ცემა-ტყეპა — ქისაში ფული გიჩხრიალებდეთ და რასაც გინდათ, იმას შეიძენთ, ხოლო თუ მაღაზიებში სიარულის დრო ან განწყობილება არა გაქვთ, ტელეფონით შეუკვეთავთ და ყველაფერი შინ მოგერთმევათ!!! მოკლედ, ისტორიამ ჩაიბარა ის შეურაცხმყოფელი დრო და სცენები, როცა თბილისში მოხვედრილი უცხოელები შორიდან სიბრალულნარევი თანაგრძნობით უცქეროდნენ ხოლმე რიგში მებრძოლ ჩვენს თანამემამულეებს. თუმცა მათ თანაგრძნობაში ოსტატურად შენიღბული ევროპულ-ტაქტიანი დაცინვის სხივიც კრთოდა: კომუნიზმის აშენება გინდათ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, აშენეთო! მაგრამ როცა მაგგვარი ყატყატითა და ერთმანეთის ცემა-ტყეპით კომუნიზმი ააშენოთ, ჩვენ ნურას გვიწილადებთ, სულ თქვენვე მოიხმარეთო!

ერთი სიტყვით, თბილისს მოშორდა ის სამარცხვინო რიგები... მაგრამ რესპუბლიკის დედაქალაქში — თითქოს ბედისწერამ სამარადჟამოდ დაანათლაო! — ისევ გაჩნდა რიგები!!! ოღონდ იმ ძველ რიგებსა და ამ ახალგაჩენილ რიგებს შუა ერთი „პატარა" სხვაობა მაინც ძევს: წინათ რიგები ძირითადად იდგა მაღაზიებთან, ახლა კი თბილისში მიმობნეულ მაღალგანვითარებული სახელმწიფოების საელჩოებთან!

სამსახურის მიზეზით ტრანსპორტით თითქმის ყოველდღე მიხდება გფრ-ს საელჩოს წინ გავლა-გამოვლა. აქ სულ მუდამ დიდი რიგია. უფრო სწორად ჯგუფ-ჯგუფად თავშეყრილი ხალხის მოუსვენარი ღელვა-ტოკვა. ღმერთმა დაგვიფაროს, ეს რიგები სულაც არ ჩამოჰგავს იმ ძველ, მოღრიალე რიგებს, თუმცა ვერც იმ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, საელჩოს სავიზო განყოფილების განაწესი და მსოფლიოში განთქმული გერმანული პუნქტუალურწესრიგიანობა რომ უყენებს გოეთესა და ბისმარკის სამშობლოში მოხვედრის თავგადაკლულ მსურველთ: აშკარად იგრძნობა ქართული მოუთმენლობა და სულწასულობა, დაუდევრობა. უბრალო, მაგრამ აუცილებელი ფორმალურობისათვის გვერდზე ავლის მრავალნაცადი ხერხი, ხვეწნა-ღიჯინი, დაცვის მოსამსახურე ქართველ ჭაბუკებთან ძმაკაცური ენის გამონახვა... არადა, ეს ყველაფერი სულაც არ არის საჭირო: თავის ვადაზე ყველაფერი გაფორმდება და თავის სახეს მიიღებს. საჭიროა მხოლოდ მოთმინება და თავმოყვარეობა! მაგრამ ქართველს, საერთოდ, ფიცხსა და ტემპერამენტიან კავკასიელს, მსგავს გარემოში მოთმინება არ გააჩნია, არ ჰყოფნის, ანდა მისი გამოჩენა თავდამცირებად მიაჩნია! ამიტომ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის მუშაკებს სავიზო განყოფილების გახსნის წუთებიდანვე დიდი ენერგია ეხარჯებათ წესრიგის დასამყარებლად.

— მოითმინეთ, ქალიშვილო, მოითმინეთ! — შესაშური მოთმინებით მიმართავს ზემდეგი ნუკრი გელაშვილი და კარს უღობავს, — დიქტორი მიკროფონით გამოგიმახებთ... ყურადღებით იყავით!

ცოტა ხანში მიკროფონი ახიხინდა, მერე ხმა ჩაეწმინდა და ქალის მკაფიო კილომ გვარსახელების გამოცხადება დაიწყო.

სავიზო განყოფილების ზღურბლს მოუთმენლად აწყდებიან ახალგაზრდები.

— ნელა, ნელა, ყველანი შეხვალთ! — თადარიგს იჭერს დაცვის მეორე მუშაკი რეზო პაპავა და თითოეულის საბუთს გულდასმით სინჯავს, — შემდეგი!

განყოფილებაში შესული თითოეული მოქალაქე გულდასმით მოწმდება მეტალოდეტექტორით — იარაღი ან ასაფეთქებელი მოწყობილობა არავინ შეიტანოს.

კარწინ კვლავ მოუსვენრობენ ახალ-ახალი, გამოძახების მომლოდინე ჯგუფები. მათ პირდაპირ სახეზე აწერიათ — დუნიაზე აღარაფერი აინტერესებთ, გარდა ერთისა — რაც შეიძლება მალე მოხვდნენ აღთქმულ ქვეყანაში! სუსტი სქესის წარმომადგენლები აშკარად ჭარბობენ, თანაც სულ ქორფა-ქორფა გოგოები; მეტი წილი კალმით ნახატია — თითქოს სილამაზის კონკურსის პირველ ტურზე ანდა ჰოლივუდის მიერ გამოცხადებულ სასინჯ გადაღებაზე მოზღვავებულანო.

ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ სტატიისათვის მასალებს ვამზადებ და მსურს გავიგო, ვინ რისთვის და რა მიზნით აპირებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამგზავრებას. გასაუბრება ჭირს. ჭირს კი არა, არსებითად არც გამოგვდის — უბრალოდ ჩემთვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩემი სტატიისთვის არავის სცხელა: მთელი მათი გულისყური ვიზის მოხელეთებისკენ არის მიპყრობილი! უმრავლესობა ცალყბად მპასუხობს, რომ სასწავლებლად მივდივარო, მაგრამ ვერც სასწავლებელს მისახელებენ, არც გვარ-სახელს მიმჟღავნებენ და ისეთი გამომეტყველებით მშორდებიან, რომ თუკი გამაჩნია დაკვირვებისა და სინდისის ნატამალი, ცივად უნდა მოვწყდე, რათა არ დავარღვიო მათი სანუკვარი ოცნება-ფიქრები. მხოლოდ ერთმა — ლალი გელაშვილმა დამისახელა თავისი ვინაობა და მიზანი — იგი ექიმია, „დაად"-ის სტიპენდიანტი ყოფილა და გერმანიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიეჩქარება. დანარჩენებმა კი...

— დანარჩენები? — ეშმაკურად ჩამიკრა თვალი ერთმა ქერაწვერულვაშიანმა ოცდაათიოდე წლის მამაკაცმა და ატყობდა რა, ჩემი საქმეში ჩაუხედაობით ფონს ვერ გავდიოდი და ეწვალობდი, ალბათ, შევებრალე და გადაწყვიტა, საჯაროდ დავეკვალიანებინე, — აი, უკვე მესამე ნაცნობს ვეხმარები ვიზის მიღებაში, აქ ხშირად ვტრიალებ და ამათი ამბავი მე მკითხე!

მან სიგარეტს მედიდურად მოუკიდა.

— ყველას არ დაუჯერო — სასწავლებლად თითო-ოროლა მიდის, დანარჩენები კი მიდიან ალალბედზე, როგორც ზღაპარშია ხოლმე, ბედის საძებნელად, რომ ვინმესთან ხელზე მოსამსახურედ მაინც მოეწყობიან და რაც მთავარია, იქნებ გერმანელ საქმროებსაც გამოჰკრან ხელი!

ეს ბოლო ფრაზა ისეთი ყვედრება-გამომწვევი კილოთი ითქვა, რომ წეღან ჩემთან გამოსაუბრების ხალისდაკარგულ ქალიშვილებს, ეტყობა, შიგ გულში ნესტრად მოხვდათ.

— დიახაც!.. ასეც მოგიხდებათ ქართველ ბიჭებს!.. — ერთდროულად რამდენიმე გოგონა გამოეკაპასა ქერაწვეროსანს.

შემთხვევით წამოწყებული კამათი უცებ ნავთმისხმულ კოცონივით აგიზგიზდა და უმრავლესობა ჩაითრია.

— როგორ, შვილებო, — გაკვირვებით იკითხა ერთმა ხნიერმა, დაშვებულულვაშებიანმა კაცმა, რომელიც შვილიშვილის რაღაც საბუთის მოსატანად თუ წასაღებად მოსულიყო, — ქართველ სასიძოს გერმანელში გაცვლით, კაცო?

ქალიშვილებმა გულიანად გადაიკისკისეს.

— რატომ არ უნდა გავცვალოთ ვითომ? — შემოეკამათა ერთი წერწეტა გოგო, რომელიც ცდილობდა ზრდილობიანად ელაპარაკა ხანსრულ კაცთან, თუმცა დაგუბებული ბრაზი და სათქმელი მაინც თავისას სჩადიოდა, — რა არის ეს ჩვენი ტიპიური ქართველი ახალგაზრდა კაცი, მით უმეტეს თბილისელი? ბაქია, უსაქმური, უგერგილო! სულ არა აქვთ დროისა და რეალობის შეგრძნება!

— მართალი ხარ! — კვერი დაუკრა ერთმა ჩალისფერთმიანმა გოგომ, —ჩემს მეზობლად ვიღა არა ცხოვრობს: სომეხი, თათარი, ებრაელი, პოლონელი, ოსი, ბერძენი და რა ვიცი.. იმათმა ბიჭებმა ყველაფერს აუღეს ალღო და ცხოვრებას ცეცხლივით ეკიდებიან: სისხამზე დგებიან, მთელი დღე ოფლსა ღვრიან და... მოკლედ, თითებიდან ერბო მოწვეთავთ და ცივ ქვაზე რომ დასვა, მაინც ცხოვრობენ!.. ამ ჩვენს უფხო ბოთეებს კი შუადღემდე სძინავთ, ადგებიან და სუფრას მიუსხდებიან...

— ო, ეს სუფრა! — ჩამოერია მესამე, ჩამოქნილი გოგონა, — ქართველ კაცს ხომ უსაზიზღრესი ჩვევა აქვს: უბრალო სადილობა აქციოს ქეიფად, ქეიფი — ღრეობად! ეს ჩვენი ეზოს უსაქმური ბიჭებიც ინათხოვრებენ სადმე ორიოდე ბოთლ სასმელს და მარტო ესღა მესმის: „გახსოვს, ტო, გაგრაში როგორი ნაშა მყავდა." შე დებილო, დღეს ვიღას რაში აინტერესებს, ოდესღაც გაგრაში როგორი „ნაშა" გყავდა?! ხო ხედავ, მეორედ მოსვლაა — ადექი, გაინძერი, ოჯახს, ცოლ-შვილს შენახვა არ უნდა?!

— უი, უი, უი! — ამოიკვნესა სხვა ქალიშვილმა, — ჯერ ჩემს წრეში რამდენ ქართველ ბიჭს ვიცნობ, ფიცარში ლურსმანი ვერ ჩაუყვანია, სალესავზე დანა ვერ აულესია, ალმასით მინა ვერ გადაუჭრია... იმ დღეს ჩემს დას უთო გადაეწვა მოკლე ჩართვით და ქმარმა გამტარის წვერები ვერ გაათავთავა და საიზოლაციო ლენტით ვერ შეკრა. ბიჭო, მაგას რა უნდა-მეთქი, გამოვართვი და მე გავაკეთე. „ეჰ, მაგისი რა ვიცი, ჩემი საქმე ყანწიაო! — იღრიჭებოდა უშნოდ. ეჰ, ერთი გაულაწუნე-მეთქი, გავივლე გულში.

— მესმის თქვენი! — თავშეკავებით გამოეხმაურა წარბებგადართხმული ქალიშვილი, — მაგრამ ეს ყველაფერი მარტო ბიჭების ბრალი როდია — თვით მათი აღზრდის ნაწილია ყალბად ჰეროიკული და დრომოჭმული.

— ეს როგორ გავიგოთ? — არ ცხრებოდა დაშვებულულვაშიანი.

— როგორ გითხრათ, — სიტყვების ძებნა დაიწყო წარბებგადაკალმულმა, — ბიჭს აკვნიდანვე ჩაესმის, რომ ქართული სუფრა აკადემიაა, რომ ყოველი ქართველი მამაკაცი მოვალეა იყოს კარგი თამადა და უნაკლოდ წარმართოს სუფრა. ჰოდა, ბიჭების დიდი უმრავლესობაც ამას ცალმხრივად იგებს და ასე ენერგებათ ყალბი წარმოდგენა: მთავარია, სწორუპოვარი თამადა და მეინახე იყო, დანარჩენი ყველაფერი კი თავისით მოგვარდება ანდა სხვები იზრუნებენ და მას მზამზარეული მოერთმევა!

— ცამდე მართალი ხართ! — პირში ეცა მოქნილი, თვალებმწუხარე ახალგაზრდა ქალი — ქართველი კაცების უმრავლესობას ერთმანეთში ერევა ცხოვრება, ოჯახი და სუფრის თამადობა! როგორც თამადობისას მბრძანებლობენ და თვითნებობენ, ოჯახსა და ცხოვრებაშიც ისე სურთ, ეს კი არ გამოდის... ამის მიზეზით გავეყარე მეუღლეს... ამ გაჭირვებისას ჩემმა სანათესაომ სამჯერ უშოვა სამუშაო, მაგრამ არსად გაჩერდა...

— რატომ? — შემოეკითხა ვიღაც.

— რეჟიმით ცხოვრება და სისტემატური მუშაობა არ შეუძლია, არ სურს. როგორ, მე მისი ხელქვეითი ვიყოო? ასე უბნის გაცრუკაცებულ მამაკაცებს გადაეგო და გადაბმით ლოთობს. აბა, რად მინდოდა ასეთი ქმარი?.. ჩემი სამსახურიც დაიხურა. სამუშაო კი ველარად ვიშოვე. მითხარი, როგორ მოვქცეულიყავი? შიმშილით მოვმკდარიყავ თუ მემეძავა?! ნურას უკაცრავად! ნაცნობს ვიზა გამოვაგზავნინე, წავალ, რაიმე ადგილს ვიპოვი და თუ ბედი გამეხსნა, კიდევაც გავთხოვდები! რა არის ამაში საეუგო? მით უმეტეს, რომ ჩემი ნაცნობებიდან ვინც კი უცხოელზე გათხოვდა, ყველამ ნორმალური ოჯახი შექმნა და თავს ბედნიერად გრძნობენ.

— სწორია! — გამოეხმარა თვალსევდიანი ქალი, — იქაური კაცი გულისხმიერია, გამგები, რეალისტი, თანაგრძნობიანი, ეს ჩვენი კი მარტო თვალებს გიბრიალებს და ყვირილით ქვეყანას იკლებს — „განსხვავებული სასმისები მომაწოდე, განსხვავებული!" ფუჰ! როდემდე და სადამდე?!

— იჰ, მაგის გამო არ გამექცა რძალი! — გულახდილად ალაპარაკდა თვალციმციმა გოგონა, — ღვიძლ ძმაზე ტყუილად ვინ გიჟი იტყვის ძვირს, მაგრამ ველარ გაუძლო ცოლმა და გაექცა! ნაადგომევს სიმამრმა ოცლიტრიანი შტოფით კახური ღვინო ჩამოუტანა. მეზობლის სამი ძმაკაცი მოიყვანა, შემოუსხდნენ ამ შტოფს და ერთ ღამეში სულ ზედ ჩამოიწურეს! გაგონილა და ნახულა?! რა იყო, მეორედ მოსვლაა — შეინახეთ და ზოგი ხვალზეგ დალიეთ — ვინ გეცილებათ! თან როგორი კვეხნა ვიცით — საქართველო ღვინის ქვეყანაა. სმის მაღალი კულტურა გვაქვსო და ჩვენი ჭკუით სხვებს დავცინით — სმა არ იციანო. ოთხი კაცი ერთ ჯერზე ოც ლიტრ ღვინოს რომ ჩაჭყეპს, ეს არის სმის კულტურა?! იტანდნენ მაინც! მერე ორი-სამი დღე ტვინი წაიღო იმათმა ვახვახმა და კვნესახვნეშამ! თან არც ერთი მათგანი ოჯახში კაპიკის შემომტანი არა ბრძანდება და სვავებივით სულ მუქთა ჭამა-ყლაპვაზე უჭირავთ თვალი! აბა, აქ ასეთი ქმარი რომ შემხვდეს, რა გაუძლებს? გერმანიაში მივდივარ დაუყვედრებელი ლუკმა-პურის საპოვნელად, ხოლო თუ გათხოვებაც...

მიკროფონი კვლავ ახრიალდა და ცხარე კამათი უცბად მოისხიპა. დიქტორმა ხელახლა დაიწყო ვიზის მიმღებთა გვარების გამოცხადება.

დარჩენას და გამოკითხვის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა — ისედაც ბევრ რამეს მოეფინა ნათელი.

მას აქეთ რამდენი ავტობუსის სარკმლიდან საელჩოსთან თავშეყრილ ახალგაზრდებს დავინახავდი, წარმოსახვით ვგრძნობდი მშობლიური მიწიდან შორეთში გადასახვეწად თავგადადებული თითოეული მათგანის ტრაგედიასაც, იმედსაც, მერყეობასაც, ვარდისფერ ოცნებასაც, ბუნდოვანებასაც, ბედისწერასაც...

ეს გრძნობა დღითი დღე დამრთგუნავ განცდაში გადამეზარდა. ბოლოს კი, როცა ამ მტანჯველ გრძნობებს ველარ მოვერიე, ავდექი და ტრანსპორტი შევიცვალე — მეტროს მივაშურე.

მე ერთმა უმნიშვნელო კალმოსანმა და პატარა კაცმა სხვა ვერაფერი შევძელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრე კარბელაშვილი

დიდი ქართველი ინჟინერი „სიმენსის“ გენერალური დირექტორი გახდა იტალიაში



■ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას უკვე 1918 წელს კარგად ესმოდა, რომ მთავარი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა იყო და ამიტომ თბილისში შეიქმნა ეკონომიკის სახელმწიფო კომისია, რომელსაც დარგების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა დაევალა. სახელმწიფოს ეკონომიკის კომისიის წევრს, ინჟინერ მიხეილ ყაუხჩიშვილს საზღვარგარეთ ენერგეტიკის მდგომარეობის შესწავლა და მთავრობისათვის სათანადო რეკომენდაციების წარდგენა დაავალეს.

1919 წელს ამ მეტად საპასუხისმგებლო მისიის შესრულების მიზნით მ. ყაუხჩიშვილმა მივლინებით მოიარა სკანდინავიის ქვეყნები, გერმანია, შვეიცარია და 1920 წლისათვის ევროპიდან თბილისში დაბრუნებული, 28 იანვარს და 12 თებერვალს საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში ვრცელი მოხსენებით გამოვიდა.

გაზეთმა „სახალხო საქმემ“ დიდი წერილი გამოაქვეყნა ამის თაობაზე და აღნიშნა:

„იანვრის 28-ს და თებერვლის 12-ს საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებულ ეკონომიურ კომისიის წევრის ინჟ. მ. ყაუხჩიშვილის მიერ წაკითხული იქნა მოხსენებანი, რომლებშიაც მან დაასურათა ევროპის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა და ვრცლად შეეხო წყლის ძალების გამოყენების საკითხს ევროპაში. ამ საკითხს დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან მთელი დედამიწა ქვანახშირის საშინელ კრიზისს განიცდის. საქართველოსათვის, სადაც „თეთრი ნახშირი“ ოთხ მილიონამდე ცხენის ძალა მოიპოვება, წყლის ძალის გამოყენება ფრიად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს“.

მ. ყაუხჩიშვილმა თავის მოხსენებაში განსაკუთრებით აღნიშნა, რომ შვეიცამ, ნორვეგიამ და შვეიცარიამ დაიწყეს რკინიგზების და სხვა ტექნიკურ წარმოებებში ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვა და ასევე მოსალოდნელი იყო რკინიგზების ელექტროფიკაცია გერმანიაშიც, რადგან ელექტროფიკაცია არამარტო ნახშირის კრიზისს შეანელებდა, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას ააღორძინებდა. ამასთან, წყლის ენერგია შესაძლებელს გახდიდა იაფი ენერგია გამოეყენებინათ მეტალურგიაში და მილიონობით ტონა ქვანახშირი დაეზოგათ, რაც პროდუქციის ღირებულებას შეამცირებდა.

მ. ყაუხჩიშვილი ნორვეგიის მაგალითს იყენებდა. „საქართველოს დამოუკიდებლობა, — ამბობდა იგი, — განსაკუთრებულ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ მან ფართო მაშტაბში დაამუშაოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრენი, განსაკუთრებით წყლის ძალები იაფი ენერგიის შესაქმნელად, რათა სამხრეთ ევროპაში მან გაიმეოროს ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთი კუთხის, ნორვეგიის მაგალითი. ეს მით უფრო საჭიროა, და უმოქმედობა ამ საქმეში შეუწყნარებელია, რომ საქართველოს ჰაკა და ბუნებრივი პირობები გაცილებით ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენენ ამ ძალთა ასამოძრავებლად და თავის ინტერესებისათვის გამოსაყენებლად, ვიდრე სუსხიანი ჩრდილოეთის ნორვეგია“.

ნორვეგიაში ენერგეტიკის განვითარებას ქართველი ინჟინერი უკავშირებდა ჩვენში ფერომარგანეცის მიღებას ელექტროენერგიით და ქვანახშირის ხარჯვის შემცირებას მეტალურგიაში. მისი თქმით, „თეთრი ნახშირის“ ფართოდ გამოყენება საქართველოში გამოიწვევდა ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის სწრაფ განვითარებას. ამიტომ სახელმწიფოს მთელი ეროვნული ენერგიაც კი არ უნდა დაეზოგა ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის. „უმოქმედობა ამ საქმეში დიდ დანაშაულად უნდა ჩაგვეთვალოს, — ხაზს უსვამდა მ. ყაუხჩიშვილი და დასძენდა: „ჩვენ, საქართველოს ინჟინრებს და ტექნიკოსებს დიდი მოვალეობა გვაწევს, რათა ღირსეულად შეეხვდეთ და გავუძღვეთ საქართველოს ტექნიკურ აღორძინებას და ამით, დაინტერესებულ წრეებთან ერთად, საფუძველი ჩავუყაროთ საქართველოს ეკონომიკური განმტკიცების საქმეს“.

საინტერესოა, რომ ნორვეგიის ჰიდროელექტროსადგურები აგებული იყო გერმანული ფირმა „სიმენსის“ მიერ 1909-1918 წლებში. სხვათაშორის, ნორვეგიის გარდა „სიმენსს“ 1903 წლიდან 1990 წლამდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აგებული ჰქონდა 331 ჰიდრო და თბოელექტროსადგურები, მათ შორის მექსიკაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, იტალიაში, ინდოეთში, გერმანიაში, ბრაზილიაში, არგენტინაში, ეგვიპტეში, აშშ-ში, ავსტრალიაში, პორტუგალიაში, ჩილეში, პაკისტანში, ბოლივიაში, ჩინეთში, ავღანეთში, იაპონიაში. ნორვეგია მსოფლიოში პირველ ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავებით. ელექტროენერგიის დაახლოებით ნახევარი იხარჯება მრეწველობაში, განსაკუთრებით ელექტრომეტალურგიაში, უმეტესად — საექსპორტო ალუმინის, ნიკელის, სპილენძისა და ფეროშენადნობების მისაღებად. ჭარბ ელექტროენერგიას ნორვეგია დანიას და შვეიცარიასაც აწვდის.

ნიშანდობლივია, რომ ქართველი ინჟინერი თითქოს ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ ხედავდა ნორვეგიის ასეთ უდიდეს მიღწევებს ენერგეტიკის დარგში!

...

სკანდინავიის ქვეყნებში ყოფნის შემდეგ მ. ყაუხჩიშვილი ბერლინში ჩადის, სხვათაშორის, აქ იგი მუშაობს საქართველოსათვის შეძენილი საქონლის გამოგზავნაში და მონაწილეობს ტყვეების გაცვლის საქმეში. გერმანიაში ყოფნის შთაბეჭდილებებიც მან ფართოდ გააშუქა ქართველი საზოგადოებისათვის.

მაშინ გერმანიაში, თურმე, მრავალი ქარხანა და განსაკუთრებით კი მეტალურგიული ქარხნები გაჩერებული იყო.

როგორც მ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავდა, ამ ქარხნებს შორის იყო ქალაქ ბრემენთან აგებული დიდი მეტალურგიული ქარხანა „ნორდ-დოიჩე ჰიუტენ“-ი, რომელიც ადრე იყენებდა საქართველოს მარგანეცს. შედარებით უკეთ მოქმედებდნენ ელექტროტექნიკური ქარხნები, რადგან მათ ჯერ კიდევ საკმარისი ჰქონდათ ადრე შეძენილი სპილენძი.

თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი მ. ყაუხჩიშვილი ამბობდა:

„თუ მნიშვნელობა ექნება საქართველოს მომავლისათვის იაფი ენერგიის შექმნას, საკმარისია აღინიშნოს ელექტრული ენერგიის საშუალებით ერთი მილიონი ტონა ფერო-მარგანეცის გადადნობის შესაძლებლობა და ეს მილიონი ტონა ფერო-მარგანეცი დღევანდელ ფასებში შეადგენს 30 მილიონ გირვანქა სტერლინგის ღირებულებას, რაც ეხლანდელი კურსით უდრის 40 მილიარდ მანეთს. რომ ასეთი ბრწყინვალე შესაძლებლობა გამოყენებულ იქნას, საჭიროა ჩვენი მთავრობის და დაინტერესებული წრეების დაუღალავი და ფხიზელი მუშაობა, რათა ხელი შეუწყოს და ნიადაგი მოუმზადოს როგორც ჩვენი, ისე უცხოელი კაპიტალის ამ საქმეში მიზანშეწონილად და ქართველი ერის ინტერესების შესაფერისად მოხმარებას“...

„ჩვენს ქვეყანას აქვს აურებელი ნედლი მასალა, რომელიც ევროპას სჭირდება და რომლის ღირებულება აღემატება რამდენიმე მილიარდ მანეთს. მარტო მარგანეცის ღირებულება შეადგენს 10 მილიარდ მანეთზე მეტს. საჭიროა მხოლოდ ამ საქონლის და სხვა კიდევ ბევრი მასალის ხელსაყრელ პირობებში განაღდება და მიზანშეწონილად მისი გამოყენება.

მთელი უცხოეთის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის საქმე სახელმწიფომ უნდა აწარმოოს და მტკიცე ფასებში იგი უნდა აძლევდეს ვაჭარსაც და მრეწველსაც, თუ მათი მოღვაწეობა სასარგებლოდ ითვლება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

გარდა ამისა, უნდა იქნეს დასახული მიზნად საწარმოო იარაღების შემოტანა უცხოეთიდან და რაც უფრო მალე მოხდება ეს, იმდენად უკეთესია, რადგან საზღვარგარეთ ფასები საწარმოო იარაღებზე ღღიდან ღღეზე იწევს. ეს არ უნდა დავივიწყოთ.

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, მუშახელის საკითხი ამიერკავკასიაში, საკმაოდ მოწყობილი საქართველოს ნავსადგურები, არსებული მაგისტრალური რკინის გზა საქართველოში, საქართველოს მდიდარი ბუნება და ნოყიერი მიწა-წყალი, აი,

გარანტიები იმისა, რომ ჩვენში უნდა განვითარდეს დიდი ინდუსტრია წყლის ძალების იაფ ენერგიაზე დაფუძნებული, თუ ევროპის ჩრდილოეთ-კუთხე ნორვეგია თავისი სუსხიანი ჰავით და მწირი ბუნებით, რომელსაც თავისი მოსავალი სამ თვეზე მეტს არ ჰყოფნის ღარიბი მადნეულებით, მდიდარია კი მხოლოდ თეთრი ნახშირით — წყლის ძალებით, დღეს უნდა ჩაითვალოს ერის უმდიდრეს და კულტურულ კუთხედ ევროპაში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო, დაჯილდოებული ხოველივე მხრივ და განთავისუფლებული ბოროტ-განზრახულ ოპეკისაგან გადაიქცევა მომავალში ერთს უმდიდრეს და კულტურულ კუთხედ ევროპის სამხრეთ ნაწილში".

თბილისში, საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში მ. ყაუხჩიშვილის მეორე მოხსენებით გამოსვლის შემდეგ 10 თებერვალს (1920 წ.) გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში აქტიურად მონაწილეობდნენ დიდი ქართველი განმანათლებლები ნიკო ნიკოლაძე, ვ. კაკაბაძე, ს. ფირალიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. ბრაილოვსკი და სხვები. საზოგადოებამ დადგინა, რომ საქართველოს ელექტროფიკაციის საკითხი განხილულიყო შესაბამისი სამინისტროების, ქალაქის, ერთობის, სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ბანკების გაერთიანებულ კრებაზე და დამტკიცებულიყო მოხსენება მთავრობაში წარსადგენად.

...

ჯერჯერობით ზუსტად არ არის დადგენილი, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რომელ წელს დატოვა მ. ყაუხჩიშვილმა თბილისი და როდის დაიწყო მუშაობა ბერლინში, კერძო ფირმა „სიმენსში". ის კი ცნობილია, რომ გერმანიაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და სულ უფრო მაღალ და მაღალ თანამდებობებზე ნიშნავდნენ ფირმაში. ლაბორატორიაში ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ატარებდა.

მიხეილ ყაუხჩიშვილის ბერლინში, ფირმა „სიმენსში" მუშაობის დროს, „სიმენსმა" დაამუშავა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობის პროექტი. ზესტაფონში ასეთი ქარხნის აგება განპიროებული იყო ორი მიზეზით: პირველი — მაღალხარისხოვანი ფოლადის მილები საჭიროებდა ფერომარგანეცს, მეორე — ფერომარგანეცის აუცილებელი მასალა იმერეთში მოიპოვებოდა.

ეს კი შესანიშნავად იცოდა მიხეილ ყაუხჩიშვილმა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საქმეს არა თუ ხელი შეუწყო, არამედ სწორედ ის იყო „სიმენსის" ფირმაში ზესტაფონის ქარხნის პროექტის შედგენის მთავარი ინიციატორი.

ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობა 1930 წელს დაიწყო. წინასწარ თბილისში (დიდუბე) ამოქმედდა ფერომანგანუმის საცდელი ქარხანა გიორგი ნიკოლაძის (1888-1931) ხელმძღვანელობით. მას 1913 წელს დამთავრებული აქვს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და რუსეთის დიდ მეტალურგიულ წარმოებებში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

ფერომანგანუმის საცდელი ქარხანა საჭირო იყო, რათა ზესტაფონის ქარხნისათვის დადგენილიყო ტექნიკური ნორმები ფეროშენადნობის მისაღებად და მომზადებულიყვნენ კვალიფიციური ქართველი სპეციალისტები. როგორც იმდროინდელი გაზეთები იუწყებოდნენ: „ტფილისის საცდელი ქარხნის ელექტრო-ღუმელიდან გამოადნეს ძვირფასი შენადნობი ე.წ. მცირენახშირბადიანი ფერო-მანგანუმი. საქარხნო წესით მისი მიღება პირველი შემთხვევაა საბჭოთა კავშირში. საღუმელე და სატრანსფორმატორო მოწყობილობა გერმანულ ფირმა „სიმენსს" ეკუთვნის".

საცდელი ქარხნის მუშაობიდან გერმანელმა და ქართველმა ინჟინრებმა მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთეს: პირველი — ერთადერთ აუცილებელ მასალად, რომელიც ესაჭიროებოდა ფერომარგანეცის გამოდნობას, დონეცკის კოქსის ნაცვლად ზესტაფონში შეიძლებოდა გამოეყენებინათ ტყიბულის ქვანახშირი; მეორე — კირის ნაცვლად კი შეიძლებოდა იმ კირქვის გამოყენება, რომელიც დიდი რაოდენობით იყო ზესტაფონის ქარხნის ახლომდებარე სოფელ მოწამეთაში; მესამე — დადგინდა ელექტროენერგიის ხარჯვა ერთ ტონა ფერომარგანეცზე (3000-3500 კილოვატსაათი); მეოთხე — დაადგლომეტარებული მარგანეცის ნაცვლად შეიძლებოდა დაუგლომერატებული მარგანეცის გამოყენება. ამასთან, დაზუსტდა ტექნიკური ნორმები, რამაც გამოიწვია ფერომარგანეცის თვითღირებულების შემცირება.

თბილისის საცდელი ქარხნის მუშაობის ძალზე მნიშვნელოვანი შედეგები მთლიანად გაითვალისწინეს გერმანული ფირმა „სიმენსის" წარმომადგენლებმა.

ამ დროს კი დიდი სამუშაოები წარმოებდა ზესტაფონში გერმანიიდან ჩამოტანილი ელექტრომოწყობილობის დასამონტაჟებლად ელექტროღუმელებზე. სამი ელეტროღუმელის მონტაჟი, რომელიც უშუალოდ „სიმენსის" ინჟინრების მიერ ხდებოდა, 1933 წლის ოქტომბერში დამთავრდა, მაგრამ მათი ექსპლუატაციაში გაშვებისას გარკვეული ხარვეზები აღმოჩნდა და საჭირო გახდა ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესების ხელახალი გადასინჯვა. „სიმენსის" სპეციალისტებთან ერთად ამ საქმეში დიდი მონდომებით მონაწილეობა მიიღო ქართველმა ინჟინერმა ვასილ შიოს ძე ჩიტაძემ (1901-1937).

ვ. ჩიტაძეს 1928 წელს დამთავრებული ჰქონდა გრენობლის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის ელექტროქიმიური და ელექტრომეტალურგიული ფაკულტეტები. 1933 წლიდან ზესტაფონის ქარხანაში მუშაობდა და სწორედ მან შეიტანა გადამწყვეტი სიტყვა ელექტროღუმელების მუშაობის ცვლილებების პროექტში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფეროშენადნობთა მიღების ტექნოლოგია. იგი აღიარებული იქნა საქართველოში თანამედროვე მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ინჟინერმა ვასო ჩიტაძემ მოაწყო მაცივარი ლითონის გამოსაშვებ ხვრელებზე. წინათ, როცა ეს არ იყო გაკეთებული, ხვრელი ხშირად იწვებოდა ლითონის გამოშვების დროს და იწვევდა გაცდენებს.

ჭიათურის მანგანუმის მაღალხარისხოვანი მადნის, ტყიბულის ქვანახშირისა და რიონჰესის ჰიდროელექტროსადგურის ბაზაზე ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას 1934 წელს მწვანე შუქნიშანი აენთო.

...

1939 წელს ბერლინში „სიმენსის" გამგეობის თავმჯდომარე კარლ-ფრიდრიხ ფონ სიმენსი თავისთან იბარებს მიხეილ ყაუხჩიშვილს. თუ რა მოჰყვა ამ საუბარს — ამაზე შემდგომ, რადგან წინასწარ მკითხველს გვინდა გავაცნოთ ეს პიროვნება.

კარლ-ფრიდრიხ სიმენსი (1872-1941) ვაჟიშვილი იყო „სიმენსის" დამაარსებლის ვერნერ ფონ სიმენსის და ფირმას ხელმძღვანელობდა 1919-1941 წლებში. მან შესანიშნავად იცოდა, რომ მისი მამა საქართველოში სამჯერ ჩამოვიდა, რომ თბილისში მოღვაწეობდნენ და აქ გარდაიცვალნენ მამის უმცროსი ძმები ვალტერ და ოტო სიმენსები. საქართველო ძმები სიმენსებისათვის ძალიან ახლობელი იყო, რაზეც დაწვრილებით წერდა ვერნერ ფონ სიმენსი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი მოგონებები".

კარლ-ფრიდრიხ სიმენსმა ისიც კარგად იცოდა, რომ როცა მისი მამა ვერნერ სიმენსი 1890 წელს უკანასკნელად ესტუმრა საქართველოს, მან იქ ჩაიყვანა მისი დედა ანტონიე და 20 წლის და ჰერტა.

საქართველოსადმი მამის დიდ პატივისცემას კარლ-ფრიდრიხ სიმენსი გამოხატავდა კეთილი და მეგობრული დამოკიდებულებით ქართველი ინჟინრის მიხეილ ყაუხჩიშვილის მიმართ. მითუმეტეს, როცა იგი წლების მანძილზე დარწმუნდა ქართველის ინჟინრულ გამჭრიახობაში და მის მიერ არაერთი ტექნიკურ-სამეცნიერო პრობლემის შესანიშნავად გადაწყვეტის უნარში. მას მიხეილ ყაუხჩიშვილი მიაჩნდა „სიმენსის" ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

და აი, კარლ-ფრიდრიხ ფონ სიმენსის — გიგანტური ელექტროტექნიკური ფირმის გამგეობის თავმჯდომარის შეხვედრა ქართველ ინჟინერთან ბერლინში 1939 წელს.

მოკლედ ვიტყვით: გულთბილი საუბრის შემდეგ სიმენსმა ყაუხჩიშვილს შესთავაზა დაეკავებინა „სიმენსის" ფილიალის ხელმძღვანელობა იტალიაში. ეს იყო იმდროისათვის საპატიო თანამდებობა, ეს იყო ევროპის ამ ქვეყანაში ფირმის საქმიანობის შემდგომი გაფართოების თავკაცობა.

მიხეილ ყაუხჩიშვილი იტალიაში გადავიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად. მან საფუძველი შექმნა იმისა, რომ იტალიაში შეიქმნა სხვადასხვა დარგის საწარმოები, რომელთა რიცხვი წლების მანძილზე იზრდებოდა. სხვათაშორის, ასეთი საწარმოების რიცხვმა სადღეისოდ 50-ს გადააჭარბა და მათი უმრავლესობა რომში და მილანშია.

1948 წლის 13 მაისს მიხეილ ყაუხჩიშვილი რომში გარდაიცვალა და დატოვა დიდი კვალი ინჟინრული აზროვნების ისტორიაში. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა დღეს სიძნელეს არ წარმოადგენს იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც „სიმენსის" არქივებშია შემორჩენილი და, როგორც ჩვენ ვიცით, მისი ქალიშვილის, მილანში მცხოვრებ პროფესორ ნინო ყაუხჩიშვილის ოჯახშიც ინახება. დიახ, ნინო ყაუხჩიშვილისა, რომელსაც საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ქართული კულტურის პოპულარიზაციის, ნაყოფიერი სამეცნიერო და საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა.

დიდი ქართველი ინჟინრის სახელი უფრო ცნობილი უნდა გახდეს საქართველოსთვის.

P. S.

მიხეილ ყაუხჩიშვილი ძმა იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერის სიმონ ყაუხჩიშვილისა.

ნობელის პრემიის ლაურეატების უცნაურობანი

ალფრედ ნობელი

- ნობელის პრემიაზე უარი განაცხადა
- საპრიზო ჩეკი ლიფტში დარჩა
- თხა სასტუმროში „დააბინავა"

1833 წელს სტოკჰოლმში დაიბადა სახელგანთქმული ბიზნესმენი და გამომგონებელი ალფრედ ნობელი, რომელმაც თავისი გენიალური ნიჭით შექმნილი სიახლეებით უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო მრეწველობის განვითარებაზე.

1895 წელს დიდმა შვედმა ინჟინერმა დაწერა ანდერძი, რომ მისი სიმდიდრე გამოეყენებინათ იმ პიროვნებების დასაჯილდოებლად, რომლებიც თავს გამოიჩენდნენ ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ფიზიოლოგიის, ლიტერატურის განვითარების საქმეში და დიდ წვლილს შეიტანდნენ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისათვის.

ალფრედ ნობელი 1896 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა. 1900 წელს შვეციის მეფემ დაამტკიცა სპეციალური ბრძანებით ნობელის ანდერძი და მომდევნო წლიდან დაიწყო პრემიების გაცემა.

არაერთი ამბავი და შემთხვევა გადახდენიათ თავს ნობელის პრემიის ლაურეატებს. ბევრჯერ საკუთარი უცნაურობა გამოუჩენიათ ცხოვრებაში, მოულოდნელი გადაწყვეტილებები მიუღიათ და საზოგადოებისათვის წარმოუდგენელი მოსაზრებებიც გამოუთქვამთ. და ვინ იცის კიდევ რა.

●

თბილისში სასტუმრო „ლონდონში" 1899 წელს ცხოვრობდა გამოჩენილი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნებულმა დაწერა პიესა „თამარ მეფე" და ნაწარმოები „ზღაპრულ ქვეყანაში". ასეთ ქვეყნად მან საქართველო მიიჩნია.

1920 წელს ჰამსუნს ნობელის პრემია მიენიჭა. იგი მდიდარი კაცი არ იყო და, რასაკვირველია, ფული ძალზე სჭირდებოდა. როცა სტოკჰოლმში მას საზეიმოდ პრემია გადაეცა, კარგ ხასიათზე მყოფმა სასტუმროს რესტორანში გემრიელად ისადილა და ღვინოს მიეძალა.

რესტორნიდან გამოსულმა ყურადღება მიაქცია სასტუმროს მოხელეს.

— სიმპატიური მეჩვენებით, — უთხრა მწერალმა.

— მართლა? — გაუხარდა მოხელეს.

— დიახ, და ამიტომაც მინდა დაგასაჩუქროთ, —ჰამსუნმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, იქიდან საპრიზო ჩეკი ამოიღო — გამომართვი, გეთაყვა.

მოხელემ ჩეკზე დაწერილი ციფრი რომ დაინახა, ლამის გული გაუსკდა, გიჟიაო.

— როგორ გეკადრებათ, რას ბრძანებთ! — მაშინვე გაეცალა მწერალს.

ამბობენ, როცა ჰამსუნი სასტუმროში ლიფტით ადიოდა, ახლა აქ უცნობ მოქალაქეს გამოელაპარაკა. ცოტა ხნის შემდეგ ნომერში დაუკაკუნეს. კარებში ლიფტში მყოფი პიროვნება იდგა და ხელში საპრიზო ჩეკი ეჭირა — ჩეკი ლიფტში დაგივარდათო...

●

ინდოელი მწერალი რაბინდრანათ თაგორი (1861-1941), რომელსაც 1913 წელს მიენიჭა ნობელის პრემია, დაჟინებით მოითხოვდა, რომ იმავე სასტუმროში, სადაც ცხოვრობდა, მისი თხაც მოეთავსებინათ. თურმე ინდოელ მწერალს უნდოდა, ახალი რძე მაშინ დაელია, როცა მოისურვებდა.

თაგორისათვის პრემიის მინიჭებამ ბევრი დასავლელი გააღიზიანა. თაგორმა ხომ 52 წლის ასაკში მიიღო პრემია, როცა მისი მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები იყო ინგლისურად თარგმნილი. ვ. უინტსმა, რომელმაც წინასიტყვაობა წარუმძღვარა თაგორის წიგნს, არც კი მიულოცა მას გამარჯვება. და მაშინ თაგორმა პრემია თავის მეგობარ სრი ნეჰალროის გადასცა შანტინიკენის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ქალაქში საკანალიზაციო მილების გასაყვანად.

კნუტ ჰამსუნი

1923 წელს ინსულინის აღმოჩენისათვის ნობელის პრემიით დაჯილდოვეს ფრედერიკ ბანტინგი და ჯონ მაკლეოდი. ამ საკითხზე კი ოთხი პიროვნება მუშაობდა. ბანტინგმა უსამართლოდ ჩათვალა გადაწყვეტილება და თავისი პრემია სტუდენტ-ასისტენტ ბერტს გაუყო, ხოლო მაკლეოდმ — კოლეს. ასე, რომ ნობელის პრემიით დაჯილდოვება შეიძლება ითქვას, რომ ფარსში გადაიზარდა.

●

ნობელის მშვიდობის პრემიაზე უარი განაცხადა ვიეტნამელმა დუკ თომ. მან თქვა, რომ არ სურდა ყოფილიყო ამ პრემიის ლაურეატი ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწე ჰენრი კისინჯერთან ერთად, რადგანაც ეს უკანასკნელი, მართალია, უშუალოდ არა, მაგრამ მაინც მონაწილეობდა მილიონობით ვიეტნამელის განადგურებაში.

●

როგორც ცნობილია, თბილისში 72 ათასი ნომერი საერთო ტევადობის ავტომატური ტელეფონის სადგური მუშაობს ინდექსით „9" და „2". სადგურები გამართულად მუშაობენ. ისინი დამზადებულია ზაგრების ტელეფონების ქარხანაში, რომელიც გამოჩენილი იუგოსლავიელი მეცნიერისა და გამომგონებლის ნიკოლა ტესლას სახელს ატარებს.

1901 წელს ილიასეული „ივერია" წერდა: „ცნობილ ელექტროტექნიკოსს ტესლას, თუ გაზეთებს დავუჯერებთ, გაუმართავს უმავთულო ტელეგრაფი ევროპასა და ამერიკას შუა დეპეშების გადასაცემად. ერთი სატელეგრაფო აპარატი ნიუ-ჯერსიშია თურმე, მეორე — ლისაბონში." 1915 წელს ნიკოლა ტესლას ნობელის პრემია მიანიჭეს, მაგრამ პრემიის აღებაზე უარი თქვა. ტესლას მიაჩნდა, რომ მეცნიერის უმაღლესი ჯილდო ის გამოგონებები და შრომებია, რომლებიც საუკუნეების მანძილზე კაცობრიობისათვის დაუვიწყარი იქნება.

●

ალბერტ აინშტაინი (1879-1955) — მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიზიკოსია. 1921 წელს ის ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

აინშტაინი სადალაქოში პატარა ბიჭს შეხვდა, რომელიც ცხარედ ტიროდა.

ფარდობითობის თეორიის შემქმნელმა ალერსით ჰკითხა ბიჭს:

— რატომ ტირი, ჩემო ბიჭუნავ?

— ფული დავკარგე და თმას ველარ გავიკრეჭავ.

აინშტაინმა, რომელიც გრძელ თმას ატარებდა, ამოიღო ჯიბიდან მონეტა და ბიჭს გაუწოდა.

ბიჭმა ჯერ ფულს დახედა, მერე პროფესორის გრძელ თმას შეავლო თვალი და მიუგო:

— არა, გმადლობთ, თქვენ გქონდეთ, თქვენთვის უფრო მეტად არის საჭირო.

●

ერთხელ შინ დაბრუნებულმა აინშტაინმა კარისკაცს ჰკითხა:

— უკაცრავად, სად ცხოვრობს პროფესორი აინშტაინი?

— ეს ხომ თქვენ ბრძანდებით?

— კი, მაგრამ დამავიწყდა, რომელ სართულზე...

●

აინშტაინი ნიუ-იორკის ქუჩაზე ნაცნობს შეხვდა.

— ბატონო, — მიმართა მან ფიზიკოსს, — თქვენი პალტო ძალიან გაცვეთილია, რატომ ახალს არ შეიძენთ?

— რა საჭიროა? ნიუ-იორკში მე არავინ მიცნობს — მიუგო აინშტაინმა.

რამდენიმე წლის შემდეგ აინშტაინი კვლავ შეხვდა იმავე ნაცნობს. ფიზიკოსს ისევ ის ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალტო ეცვა. ნაცნობმა კვლავ ურჩია ახალი პალტო ეყიდა.

— რა საჭიროა? — გაიცინა აინშტაინმა, — აქ ხომ ისედაც ყველა მიცნობს.

●

... აშშ. ატომური ფიზიკის ლაბორატორია.

ფანჯარასთან ნილს ბორი დგას. გუნებაში რაღაცაზე აინშტაინს ედავება.

— აინშტაინ, აინშტაინ, — რამდენჯერმე გაიმეორა.

სწორედ ამ დროს ლაბორატორიაში ფრთხილად შევიდა აინშტაინი, ფეხაკრეფით მიიპარა მაგიდასთან და თამბაქო აიღო. ნილს ბორი დინჯად მობრუნდა და აინშტაინი რომ დაინახა, ხითხითი დაიწყო. მას აინშტაინიც აჰყვა და როცა სიცილით გული იჯერეს, აინშტაინმა აუხსნა, რომ ექიმმა კი აუკრძალა თამბაქოს ყიდვა, მაგრამ მის მოპარვაზე არაფერი უთქვამს.

●

... ახლა თვით ნილს ბორის (1885-1962) შესახებ. მას ნობელის პრემია ფიზიკის დარგში 1922 წელს მიენიჭა.

1940 წელს ჰიტლერელთა ჯარები დანიაში შეიჭრნენ. ინგლისის მთავრობის ზედა ეშელონებში გადაწყდა ბორი საიდუმლოდ ინგლისში ჩაეყვანათ, რათა დაპატიმრებას გადაერჩინათ.ინგლისის დაზვერვამ ჯერ იგი შვეიცარიაში გადაიყვანა და სასწრაფოდ აეროდრომზე მიიყვანა, სადაც გაირკვა, რომ ინგლისში გაფრენა მხოლოდ სამხედრო თვითმფრინავს „მოსკიტოს" შეეძლო. მაღალ სიმაღლეზე ავიდოდა და თავს აარიდებდა მტრის საზენიტო ქვემეხებს. მაგრამ „მოსკიტოში" მგზავრისთვის ერთი ადგილიც არ იყო. პილოტთან ერთად სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ბორი ყუმბარების ჩასაწყობ ადგილას ჩაესვათ.

თვითმფრინავის აფრენის წინ დაზვერვის უფროსმა პილოტი განზე გაიყვანა და უთხრა:

— თუ ჰიტლერელთა ავიაგამანადგურებლებმა გაიძულეს მათ მიერ მითითებულ აეროდრომზე დაჯდე, წინასწარ საყუმბარე ღილაკს დააჭირე.

— როგორ, მგზავრი ხომ დაიღუპება? — გაოცდა პილოტი.

— შეასრულეთ, რასაც გიბრძანებთ, ნილს ბორი რომ გერმანელებმა ხელში ჩაიგდონ, ატომური იარაღის დამზადებაზე ამუშავებენ.

„მოსკიტო" მშვიდობიანად დაეშვა ინგლისის სამხედრო აეროდრომზე. მხოლოდ ნილს ბორი ვულწასული დახვდათ.

●

ორჯერ მიიღო ბორი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა. შემდეგ ის აშშ-ში ჩავიდა ახლადგახსნილ ატომური ფიზიკის ლაბორატორიაში სამუშაოდ და მას „მისტერ ნიკლის ბეიკერი" დაარქვეს. იგი რუზველტსაც შეხვდა.

ამერიკაში ბეიკერს სამხედრო დაზვერვის ორი ოფიცერი თან დაჰყვებოდა და ეს პირდაპირ სულს უხუთავდა დიდ ფიზიკოსს. რამდენჯერმე დაუსხლტდა მცველებს და ხალხში შეერია. ეს კი თურმე დიდ სიხარულს ანიჭებდა.

ერთ-ერთი ასეთი მოხერხებულობის შემდეგ ნილს ბორი მაღაზიაში შევიდა და კოსტიუმი იყიდა. სახლში რომ დაბრუნდა, მიხვდა, საათი მაღაზიაში დარჩენოდა. მის მოსატანად ვაჟიშვილი გააგზავნა, მაგრამ მაღაზიაში საათი არ მისცეს, თუ მამაშენი ნიკლას ბეიკერია, რატომ აწერია საათს „ნ.ბორი"-ო ვაჟიშვილი იძულებული გახდა აეხსნა მაღაზიის პატრონისათვის, რომ მამამ ამერიკაში გვარი შეიცვალა. ამაზე კი ასეთი პასუხი მიიღო: „დღაიხსომეთ, აშშ-ში ფიქტიური გვარის ტარება აკრძალულია."

ფიქტიური გვარით და „მოსკიტოთი" არ ჩამოფრენილა 1961 წლის 12 მაისს მსოფლიოში გამოჩენილი ფიზიკოსი თბილისში. მას ჯერ კიდევ აეროპორტში დიდი შეხვედრა მოუწყეს ქართველმა მეცნიერებმა.

●

ერნესტ ჰემინგუეი (1899-1961) — დიდი ამერიკელი მწერალია, ნობელის პრემია მიენიჭა 1954 წელს მოთხრობისათვის „მოხუცი და ზღვა".

ერთ ამერიკულ საფირმო მაღაზიაში საუკეთესო ჰალსტუკები იყიდებოდა. ქალაქის ყველა მცხოვრები აქაურ ჰალსტუკს იკეთებდა. მაღაზიის პატრონმა მოისურვა სახელგანთქმული მწერალიც მისი მუშტარი გამხდარიყო, ჰემინგუეის მშვენიერი ჰალსტუკი გაუგზავნა და თან ბარათი მიაყოლა: „ვიმედოვნებ ჩვენი მუშტარიც გახდებით და ჰალსტუკის საფასურად ორ დოლარს გამომიგზავნით".

რამდენიმე დღის შემდეგ მაღაზიის პატრონმა პაკეტი მიიღო, რომელშიც ასეთი შინაარსის ბარათი იდო: „ვიმედოვნებ, ჩემი მკითხველი გახდებით და შეიძენთ ჩემს ბოლო მოთხრობას, რომელსაც ამ პაკეტით გიგზავნით. იგი ღირს ორი დოლარი და ოთხმოცი ცენტი. მაშასადამე 80 ცენტი კიდევ მერგება თქვენგან."

ერნესტ ჰემინგუეი

●

ზოგჯერ ნობელის პრემიის ლაურეატობა პიროვნებებს ცხოვრებაში უხერხულ სიტუაციებს უქმნიდა. სკლოდოვსკაია-მარი კიურემ 1903 წელს ფიზიკის, ხოლო 1911 წელს ქიმიის დარგში მიიღო ნობელის პრემიები. დიახ, ორგზის ნობელის პრემიების ლაურეატი გახდა. და დაიწყო ათასი მოსაბეზრებელი წინადადებები, იდეები, პროექტები სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

„პირდაპირ მიწაში გინდა ჩაძვრე, რომ ოდნავ მაინც მოგასვენონ" — წერდა აღშფოთებული ლაურეატი.

●

ამერიკელი ფიზიკოსი არნო პენზიასი (პრემიის ლაურეატი 1978 წელს) ჩიოდა იმაზე, რომ შეიქმნა რაღაც ბარიერი მასსა და მის გარშემო მყოფ ადამიანთა შორის: „თითქმის შიშით ვამთავრებდი ყოველ ლაპარაკს, რადგან მოსაუბრე დიდი სიამაყით მეუბნებოდა: ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობა, იმის მაგივრად, რომ უბრალოდ ეთქვათ, სასიამოვნოა თქვენი გაცნობაო".

სახელგანთქმული ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი პეტრე კაპიცა (1894-1984) ამბობდა:

„მეცნიერული ცხოვრების დიდი ცვლილებების მიუხედავად ერთი რამ უცვლელი დარჩა — ნობელის პრემია. მისი მნიშვნელობა, როგორც საერთაშორისო მასშტაბით ყველაზე დიდი მეცნიერული ჯილდოსი, საყოველთაოდ აღიარებულია. ეს შვედ მეცნიერთა შესანიშნავ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც პრემიების მინიჭება დიდ სიბრძნეს მოითხოვს."

პეტრე კაპიცამ 1978 წელს მიიღო ნობელის პრემია ფიზიკაში.

თვით დიდი ალფრედ ნობელი არცთუ განსაკუთრებულ პატივს სცემდა ჯილდოებს.

— მოიმბინეთ ბატონო, — შეესიტყვებოდნენ ხოლმე მას, — როგორღა მოახერხეთ შვეციის მეფისაგან მიგეღოთ „პოლარული ვარსკვლავის" ორდენი?

— ამას მე ჩემს მზარეულს უნდა ვუმადლოდე!

— მზარეულს, როგორ?

— მან ერთხელ მოამზადა ისეთი გემრიელი წვნიანი, რომ მეფემ იმწამსვე დამაჯილდოვა... წვნიანისათვის, რომლის მომზადებაში მე წვლილიც კი არ მქონდა შეტანილი.

— საიდან გაქვთ „საპატიო ლეგიონერის" ორდენი?

— ეს მე თვითონაც არ ვიცი, — პასუხობდა ნობელი კორესპონდენტს, — ალბათ ფრანგ მინისტრებს მობეზრდათ ჩემი მოწყენილი სახე და ჩემი ღიმილი რომ დაენახათ, ეს ორდენი მიბოძეს. ბრაზილიის „ვარდის" ორდენი? ეს ორდენი მაშინ მივიღე, როცა ხალხის დიდ ჯგუფში მეფე დონ პედრომ შემნიშნა შემთხვევით.

— რა ღირსება გაქვთ?

— არასოდეს ვუღრენ მოსამსახურეებს და ვცდილობ, არ მოვაბეზრო ხალხს თავი. განა ეს ღირსება საკმარისი არ არის ჯილდოებისათვის?

●

თვით ალფრედ ნობელი რომ ყოფილიყო დაჯილდოებული ნობელის პრემიით, ალბათ არ მივიდოდა დაჯილდოების ცერემონიალზე.

ასე ფიქრობდნენ და ფიქრობს ბევრი, ვინც იცოდა და იცის მსოფლიოს დიდი ადამიანების გასაოცარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განუმეორებელი ისტორიული ფურცლები.

ე.შახოვსკაია-სტრეშნევა

(გაგრძელება)

ვაჟია ფურჩესტანოვას ბედი!..

• „თავადის ასულის გატაცება მაღალი საზოგადოებით და წრით, რომელშიც მას დიდი წარმატება ჰქონდა, იმპერატორთან მეგობრობას ვერ ეგუებოდა. ხელმწიფე იშვიათად გაუხსნის გულს ისეთ ადამიანს, რომელსაც ძალზე ბევრი მეგობარი ჰყავს უფრო განმარტოებული ცხოვრებით მეტ ნდობასაც დაიმსახურებდა და ვცდილობდი, ჩემი მეგობარი ამაში დამერწმუნებია.”

ცდომილებისა გამო ცდილობდა იგი როგორმე შეეგონებინა თავადის ასულისათვის, რომ მისი აზრით სამეფო კარზე მიღწეული მდგომარეობა „მისგან მეფისადმი მხოლოდ და მხოლოდ სუფთა, ყველაფრისაგან განწმენდილ მეგობრობას მოითხოვდა”. ხოლო ,როდესაც სიმართლე გაიგო და მოინახულა, მის წარმოდგენაში მუდამ წმინდა ამბიონზე აღმართული და აწ დანარცხებული თავადის ასული, სიკვდილის წინ კნეინა სოფიო ბობრინსკაიას წერდა:

„ალბათ დამეთანხმებით, რომ მსგავსი ადამიანური სისუსტეები არათუ ღვარძლს, არამედ პირიქით, სათუთ თანაგრძნობასაც კი იწვევს უმანკო მსხვერპლის მიმართ?”

უბრუნდება რა წარსულს, როდესაც იგი ცდილობდა გზა არ აბნეოდა თავადის ასულს, იგონებს „გრძელ წერილებს, უნაზესი ტკბობის საგანი რომ იყო ჩემთვის”.

თუ იმპერატორი თავადის ასულის საქციელს ქარაფშუტობად თვლიდა, გულში არც ქალი ფიქრობდა უკეთესად და ესაყვედურებოდა. მომავალ წელს, აღსასრულამდე რამდენიმე კვირით ადრე კი სასიკეთო ცვლილებას ამჩნევს მასში, რაიც მის დაკოდილ გულს მალამოსავით ეცხო.

„სიცრუეა, თითქოს დიდი ბატონი* აღარ მნახულობდეს... ჩვეულებისამებრ ქალებში ხშირად ყოფნის გამო თუ დაირხა ასეთი ხმები” — მაგრამ ეს ცვლილება არ მოასწავებდა რაიმე სიახლეს და შემობრუნებას მათ ურთიერთობაში და ასეც იყო, თუმცა გოლიცინს წარსულ ზამთარში დაშორდა: — „მე გამოვეთხოვე გოლიცინს” — წერდა იგი.

შემოდგომაზე თავადის ასულ თურქესტანოვას რამდენიმე რჩეულ პირთან ერთად წილად ხვდა ხლებოდა დედა-იმპერატრიცას მოგზაურობაში. იგი დაემორჩილა ამ სრულიად უაზრო განკარგულებას, რაც უცნაურიც კი იყო, რადგან ბედი დედობას უქადდა, თუმცა ალბათ თვითონ ამას არ მოელოდა.* (ნატალია ნიკოლოზის ასულ გოლიცინას აზრი ასეთია: „ყველა, ვისაც კი ახსოვს თავადის ასული თურქესტანოვა, ამბობდა, რომ იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ნარკოტიკული საშუალებებით გააბრუა იგი და ასე დაეუფლა. თავადის ასულს ეჭვითაც არა ცოდნია რა თავის მდგომარეობის შესახებ, როდესაც იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს გაჰყვა სამოგზაუროდ. არც იმპერატორმა იცოდა ეს. როდესაც პატარა მიმი დაიბადა, თავადმა ვლადიმირ გოლიცინმა ისურვა მისი მირქმა და ალექსანდრე პირველის ნებართვა მოიშველია.” ეს ცნობა ზუსტი არ არის. იმპერატორს არ ესაჭიროებოდა ნარკოტიკების მოშველიება, რათა თავადის ასულის გული მოენადირებინა.) კიდევაც რომ ცოდნოდა, იქნებ მაინც ასე მოქცეულიყო: მას დაეკარგა სიცოცხლისადმი ხალისი, აღარავითარ სიფრთხილეს აღარ იჩენდა — იმპერატორისათვის ის აღარ არსებობდა, მით უმეტეს, რომ გოლიცინთან ურთიერთობამ, კერძოდ კი აგვისტოს იმ ერთი ღამის საბედისწერო შემთხვევამ, ალექსანდრეს სულში ისეთი უნდრბლობა აღძრა, რაც ვეღარაფერმა გააქარვა.

• პეტერბურგიდან თავადის ასული დარდით სნეული და ცოცხალ-მკვდარი გაემგზავრა.

დედა-იმპერატრიცას მოგზაურობა 1818 წლის 28 აგვისტოს დაიწყო.

• თავადის ასულს მისი აღმატებულების კარეტაში მიუჩინეს ადგილი, მაგრამ ეს პატივი მას სასტიკად ზღუდავდა, რადგან გამგზავრების წინ მან გრაფს და გრაფინია ლიტას აღუთქვა, რომ ამ ღირსშესანიშნავ მოგზაურობას უეჭველად აღწერდა. მოგზაურობის უმთავრესი მიზანი კი გახლდათ მისი აღმატებულების ქალიშვილების: ვაიმარის დიდი ჰერცოგინიას, ორანიელი პრინცესას და ფირტემბერგელი დედოფლის მონახულება. ალექსანდრე პირველის დედისთვის დროდადრო ასეთი გასეირნება ევროპაში ტრიუმფალურ სვლას მოგაგონებდათ, — ქედს უხრიდნენ და ზედიზედ ესალმებოდნენ მას პრუსიის მეფე თუ ავსტრიის იმპერატორი.

„ჩვენ ბაილონელი მეფეებივით ვმოგზაურობთ, მე კი მომბეზრდა ყოველივე ეს” — წერს საბრალო ფრეილინა. იგი ტკივილებითაც იტანჯებოდა და კოშმარებითაც იყო გულდამძიმებული. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვიტა სულით არ დაცემულიყო, მაინც წამოცდება ხოლმე ისეთი რამ, რის მიხედვით ადვილად ამოსაცნობია მისი სატკივარი.

• ეს დღიური ორცალად იგზავნებოდა, — ერთი კრისტინისათვის იყო გათვალისწინებული, რომელსაც სტრიქონებს შორის შეეძლო ამოეკითხა მისი ფიქრები, მით უმეტეს, რომ იმავე შიკრიკის მეოხებით იღებდა ხოლმე წერილებს, რომლებშიც დაწვრილებით იყო გადმოცემული თავადის ასულის განცდები.

პასუხად იგი წერდა: „იმ წამლების მიხედვით, რითაც თქვენ გმკურნალობენ, უთუოდ ქალური დაავადება გაწუხებთ”.

ყოველ შემთხვევაში, იგი მაშინაც კი ვერ მიხვდა საქმის ჭეშმარიტ ვითარებას, როდესაც თავადის ასული უამბობდა:

• „ანტონ რაძივილმა სადილი გაგვიმართა. მე რომ წარამარა რაიმე არ მტკიოდეს, ალბათ უკთესად შევაფასებდი ამ ჩინებულ კერძებს. მაგრამ იმავე საღამოს, ნავახშმევს, გული ამერია... ერთი განახათ, როგორი მადიანები ყოფილან გერმანელები. თუ ჩემს გვერდით მჯდომი მოხუცი იმ ვახშამს არ გადაყვა, ნამდვილად უკვდავება უწერია.”

• ულამაზეს ადგილებში მოგზაურობას, რაც მისთვის უმძიმეს ფანტასმაგორიად იქცა, ზეიმური შეხვედრებიც ახლდა, რომელშიც თავადის ასული ძალაუნებურად მონაწილეობდა. იგი კეთილსინდისიერად მოუთხრობს თავის მეგობრებს ყოველივეს, მაგრამ კვლავ და კვლავ უჩივის ჯანმრთელობას:

„თუ არ გამოვკეთდი, ყველაფერი ჩამწარდება... პირს ვერაფერს ვაკარებ...”

• იგი ააახენში გამოცოცხლდა, სადაც ალექსანდრე კონგრესს უნდა დასწრებოდა, ნაჩქარევი ყოველდღიური ჩანაწერებიდან ძნელია იმის ამოკითხვა, თუ რა განიცადა ქალმა მასთან შეხვედრისას; მხოლოდ აღნიშნავს: „ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ხელმწიფე ცოტა გამხდარა, ისე ძალზე გამხიარულებული და უფრო გაკოხტავებულიც კი მეჩვენა.”

• „M.Le Grand” — ამ სახელწოდებით მოიხსენიებს თავადის ასული იმპერატორს კრისტინისადმი მიწერილ წერილებში.

• თავადის ასული ხშირად აკვირდება ჰერცოგ ველინგტონს:

„იგი ზუსტად ისეთნაირად გამოიყურება, როგორადაც წარმომედგინა. მას ნატიფი ნაკვთები და ნათელი სახე აქვს. ნადიმის შემდეგ იმპერატორმა (Sic) ინება, რომ ჰერცოგი გამეცნო და წარმადგინა მის წინაშე. შეიძლება ბრიუსელში კვლავ შევხვდეთ.

• ცხადია, მას ეიმედებოდა, რომ უცხოეთში ნახავდა გამიჯნურებულ მონარქს და ამის გამო ძალზე ღელავდა. წუწუნსაც უკლო. შეხვედრებზე ფიქრი ნთქავს ყველანაირ გრძნობას.

• გასაოცარი ის არის, რომ მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში იგი არც დაეჭვებულა თავის მდგომარეობაზე, ეთათბირება ექიმებს, იღებს წამლებს, დაუჯერებელია, ქალიშვილი მის ასაკში იმდენად გაუცნობიერებელი იყოს, რომ თუნდაც იმ ჩივილებს არ აეხილა თვალი, რის შესახებაც კრისტინს წერდა.

• აახენში მას კიდევ ერთი მღელვარება და სიხარული ელოდა — ეს იყო ძველ და ძვირფას მეგობართან შეხვედრა — ასე მოიხსენიებს იგი „კეთილ ჰერცოგ რიშელიეს", რომელიც ახალგაზრდულად და სალუქად დახვდა, თუმცა რუსეთიდან წამოსვლის შემდეგ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნილა.

• ამ სასიამოვნო და მშვენიერმა საზოგადოებამ ექვსის ნახევრამდე შეგვიყოლია ისე, რომ კელნში საკმაოდ გვიან ჩამოვედით — დასძენს იგი.

• ბრიუსელში ჩასვლითანავე, 1 ნოემბრიდან, იგი გულმოდგინედ იწყებს მკურნალობას... „ჯანმრთელობაზე მსჯელობის შემდეგ პოლიტიკაზე გადავინაცვლეთ — ექიმმა მიამბო ბევრი რამ ისეთი, რაც ადასტურებს ჩემს ამასწინანდელ მოსაზრებას ნიდერლანდის სამეფოზე და საფრანგეთზეც კი. ყველაფერი ამაოა."

• ორანელი პრინცესა თავს პოპულარულად თვლიდა და ზღაპრულ ფუფუნებაში ცხოვრობდა იმ ქალაქში, რომელიც სულ მალე, ჰოლანდიიდან გამოყოფის შემდეგ ბელგიის დედაქალაქად უნდა გადაქცეულიყო სხვა სამეფო კვერთხით.

• მეორე დღეს, 2 ნოემბერს, თავადის ასული წერს: „დღევანდელი დღე ჩემს ახალ მკურნალთან შეხვედრით დაიწყო, მან გამომიწერა წამალი, რომლის მიღებასაც ჩვენი კარის ექიმის, პატარა რულლისგან ფარულად ვაპირებ, რაც იქნება, იქნება."

• გაურკვევლობა გრძელდება, მაგრამ იქნებ ეს თვალთმაქცობაა? ვარია თურქესტანოვა იმდენად არაგულწრფელ გარემოცვაში ცხოვრობდა, რომ არც ესაა გამორიცხული. ერთი კი აშკარაა, ძლიერმა წამლებმა მთლად შეურყია ჯანი. ახლომახლო მრჩეველიც არავინ ეგულებოდა: კნეინა ლივენისათვის რომ გაემხილა, იგივე იყო, იმპერატრიცასაც გაეგო, რაც არამც და არამც არ შეიძლებოდა; მოვალეობისდამიხედვით მისი ამხანაგი, მშვენიერი სოფიო სამოილოვა, მომავალი გრაფინია ბობრინსკაია, ძალზე ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რომ მისთვის ასეთი საიდუმლო გაენდო. რა გაეწყობოდა, ისევ ძველი გზით უნდა ევლო.

• დადგა სამშობლოში გამომგზავრების დროც, რასაც თავადის ასული ასე ნატრობდა, უკან დაბრუნებისას გზა ისე აღარ გაგრძელებულა, როგორც იქითობას, მაგრამ მისი სატკივარი ძლიერდებოდა...

• ერთი მოსაზრების თანახმად ამტკიცებენ, თითქოს თავადის ასულს უკვე ამ მოგზაურობის მიწურულში, 28 დეკემბერს, პეტერბურგის ახლოს, ნარვაში შეეძინა გოგონა. მაგრამ ეს სრულიად დაუჯერებელია: არც თარიღები ემთხვევა ერთმანეთს, და გარდა ამისა, განა ასეთი რამ გამოეპარებოდა ჰოფმეისტერინა გრაფინია ლივენის მახვილ თვალს? ამ საიდუმლოებიდან ჯერ კიდევ ყველაფერი როდია ცნობილი, ბევრი თანამედროვე ამჯობინებდა თვალშეუვალი სუდარა გადაეფარებინა ამ ტრაგიკული ამბისათვის, რათა არ შელახულიყო ხელმწიფის ღირსება. ამიტომაც ხალხის თვალის ასახვევად ვლადიმირ გოლიცინს ადანაშაულებდნენ ხოლმე, მაგრამ მომავალმა, მეტადრე კი ერთმა უტყუარმა საბუთმა, გააბათილა საგანგებოდ შეთხზული მცდარი მოსაზრება: თავადის ასულ თურქესტანოვას შვილს, პატარა მიმისაც ეყოლა თავის დროზე გოგონა, რომელიც გასაოცრად, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა იმპერატორ ალექსანდრეს!

(იმპერატრიცა ელისაბედის დროით დაინტერესებული ერთ-ერთი ისტორიკოსი, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა სხვადასხვა სიძველეთსაცავებზე, კერძო წერილში წერდა: „ჩემის აზრით, რასაც თავად ვ. გოლიცინს წამებენ, სიცრუეა. კნეინა თურქესტანოვას მწუხარებასა და სიკვდილში უფრო მაღალი ჩინის პატრონია დამნაშავე. გამოუქვეყნებელი მიმოწერის გაცნობის შედეგად მივედი ამ დასკვნამდე — „რუსული არქივის" შემდგენელის, განსვენებულ პ. ბარტენევის გადმოცემით თავადის ასულ „საფირონას, თავად ვლადიმერ გოლიცინის ქალს, მითვის უთქვამს, რომ თურქესტანოვას გოგონას მამა იმპერატორი ალექსანდრეაო, მაგრამ იგი ჩვენს ოჯახში აღიზარდა და თავადი ვლადიმერი ყოველნაირად ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ ეს მისი ცოდვის შვილი იყოო. თავადმა გოლიცინმა დაიბრალაო ყველაფერი — კვერი დაუკრავს მისთვის გრაფ ალექსანდრე ადლერბერგს.)

ნაკლებ სარწმუნოა ისიც, თითქოსდა მოახლეს ღამით ფარულად შეეყვანა ახალგაზრდა ოფიცერი თავის ქალბატონის საძინებელში, რამაც საშუალება მისცა მას ჩაედინა ძალადობა (გაბრუების შედეგად), ასეთი ღალატი სულაც არ ეთანხმება ქალბატონის უსაყვარლესი მოახლის ნაცად ერთგულებას.

• სამშობლოში, თავის საყვარელ სავანეში დაბრუნებისთანავე, თავადის ასულმა შვებით ამოისუნთქა და როგორც ჩანს, ჩაითრია კიდეც ჩვეულმა ცხოვრებამ. ამ ცხოვრებაში გარეგნულად თითქოსდა არაფერი შეცვლილა — სულში კი იტანჯებოდა, მეტადრე მას მერე, რაც ბოლოსდაბოლოს დარწმუნდა თავის მდგომარეობაში, უფრო და უფრო რომ უარესდებოდა; სხვებისთვის კი თვალი უნდა აეხვია, რათა როგორმე შეტევების შედეგად სინამდვილე არ გამჟღავნებულიყო. სხვათაშორის, მას განსაკუთრებით აწუხებდა ნევრალგიური ტკივილები, რისი გამხელაც შესაძლო იყო, მაგრამ „მათ შეუძლიათ გამაგიჟონო". ისეთი ნებისყოფა გამოიჩინა, რომ ახერხებდა კიდეც უცხო თვალის მოტყუებას. იმპერატორმა ჯერ სიმართლე არც კი იცოდა, მაგრამ მისმა ავადმყოფობამ ცოტა არ იყოს, ააფორიაქა. სიკვდილამდე ერთი თვით ადრე დაწერილ, უკანასკნელ ბარათში იგი ოდნავ ჩივის თავის ტკივილებზე და დასძენს:

„დიდ ბატონს სურს, რომ განსაკუთრებით ვიზრუნო ჩემს ჯანმრთელობაზე! თითქოს ეს შესაძლებელი იყოს ჩვენი კეთილი დიასახლისის ხელში."

თარგმნა **ნანა ღვინეფაძემ**

ენგურჰესის მშენებლები.
ავტორები გიმერ დარჩია და გურამ ქაჯაია

დედაშვილობა

გიმერ დარჩია

კომპოზიცია „დედობა"